ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

7 ივნისი 2024წ. №9 (4087) გამოცემის 93-ე წელი ფასი 2 ლარი

ვანო ჩხიკვაძე

გაუმარჯოს!

გაუმარჯოს, გაუმარჯოს,
ყველაფერს და ყველასაო –
გაზაფხულის მახარობლად
მერცხლის შემოფრენასაო,
ტოტზე კვირტის,
დედის მკერდში
ჩვილის ამოფშვენასაო!

გუთნის უფალს – ლაბასაო,
სალამურს და ნაბადსაო,
ფარეხსა და ბაგასაო,
მყეფარს, ფხიზელ ნაგაზსაო!

ვაჟიშვილს და ქალასაო,
ხელსაფქვავს და ჯარასაო,
ველზე ყანის ღაღანსაო,
ვაზს – დაბლარს და მაღლარსაო –
ღვთისმშობელის წილხვედრ მიწას
ღმერთი მისცემს ძალასაო!

გაუმარჯოს, „ვინმე მესხის“
ბატის ფრთას და მელანსაო,
ოცდაცამეტ ასო-ბგერის
მშობელ დედა ენასაო!

ღვთის წყალობა ყველასაო,
შავგვრემანს და ქერასაო,
ვინც ამყვება,
ვინც შეუწყობს
ხმას ამ ჩემ სიმღერასაო.

ფუძის ანგელოზის ლოცვას,
ჩაუქრობელ კერასაო,
დედა-საქართველოს გულის
ოთხივ კუთხით ძგერასაო!

▶▶ გაგრძ. იხ. მე-7 გვ.

ზეიმი წიგნისათვის

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ოცდამეექვსედ ჩატარდა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ეგიდით. 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით სტუმარი არ მოჰკლებია ექსპო-ჯორჯიას პავილიონებს. მე-11 პავილიონში ტრადიციულად წარმოდგენილი იყო ქართული და საზღვარგარეთული გამომცემლობებისა და ორგანიზაციების სტენდები. მე-5-6 პავილიონები დაეთმო საბავშვო გამოცემებს. იქვე, წელს პირველად, ჩატარდა ეგრეთ წოდებული ფლი მარკეტი.

ფესტივალმა უმასპინძლა პროექტს „მსახიობები ლიტერატურისთვის“ (ხელმძღვანელი – ნინო კასრაძე), რომლის ფარგლებში თეატრისა და კინოს მსახიობებმა წარადგინეს ქართველი და უცხოელი ავტორების ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები.

ფესტივალის სპონსორები იყვნენ აშშ-ის საელჩო, თიბისი ბანკი, ონლაინმაღაზია „ველი“, თბილისის მერია, პალიტრა მედია. სლოგანი – „წინ ევროპისკენ!“ სულ მონაწილეობდა 70 გამომცემლობა და ორგანიზაცია.

ივანე მაჩაბელი – 170

ათონელების სულის ნაპეხი

თუკი საქართველოში უილიამ შექსპირის შემოქმედება პოპულარობით სარგებლობს, ეს, უპირველეს ყოვლისა, ივანე მაჩაბლის დამსახურებაა. ზედმიწევნით კარგად, ღრმად, ფართოდ, „შიგნიდან“ უნდა იცოდე ინგლისური და ქართული ენები, რომ შექსპირი „გადმოაქართველო“, ქართულად აამეტყველო მისი პიესების გმირები: მეფე ლირი, ოტელო, ჰამლეტი, რიჩარდ მესამე, იულიოს კეისარი, მაკბეთი, კორიოლანოსი და სხვანი.

მაგრამ მარტო ენისა თუ ენების ცოდნა საკმარისი არ არის კარგი თარგმანის შესასრულებლად. ამისათვის საჭიროა პოეტური ნიჭი და იმის მიხვედრის უნარი, თუ როგორ გადმოიტანო უცხო ენის ეშხი ისე, რომ ქართულადაც ჟღერდეს დაახლოებით ისე, როგორც დედანში – ანუ კონგენიალურად.

ივანე მაჩაბელმა გადადგა კარგად გათვლილი ნაბიჯი, როდესაც თარგმანებში თოთხმეტმარცვლიანი ურითმო, ეგრეთ წოდებული თეთრი ლექსი გამოიყენა, რაც ბედნიერი ცდა გამოდგა, – იგი სცენიდანაც კარგად ისმის და წიგნშიც სასიამოვნოდ იკითხება:

ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხავი აი ეს არის.
სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის,
რომ იტანჯოს
და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას
და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი?..
მოსპოს სიცოცხლე.
(ჰამლეტის მონოლოგი)

მარჯორი უორდროპი ივანე მაჩაბელს პირად წერილში სწერდა: „თქვენი თარგმანი „იულიოს-ცეზარისა“ საამაყო რამ არის. იგი ერთსა და იმავე დროს არის დადასტურება თქვენი უაღრესი ნიჭიერებისა და თქვენი ენის საოცარი სიმდიდრისა. მე წამიკითხავს ფრანგული, გერმანული, რუსული, ბულგარული ვერსიები ამ პიესისა, მაგრამ არც ერთი იმათგანი არ არის ისე ერთგულებით შესრულებული, როგორც თქვენი. თქვენ ისეთი რამ შექმენით, რომლითაც შთამომავლობა აღტაცებული იქნება, თუნდაც თანამედროვეთაგან ქებაც ვერ მიიღოთ. მე იმედი მაქვს, თქვენ თანდათან გადათარგმნით მთელ შექსპირს“.

გადათარგმნა შექსპირი და შექმნა ქართული შექსპირიანა ქართული ენის მოქმედების ეპიცენტრში, თამარაშენში, 1854 წლის 28 იანვარს დაბადებულმა მესიტყვემ.

ფართო გონებრივი და პრაქტიკული თვალსაწიერი მის განსაკუთრებულ შესაძლებლობებზე მეტყველებს: დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტი – ბუნებისმეტყველებისა და სამართლისა; ჰოპენჰაიმში აგრონომიულ მეცნიერებებს სწავლობდა, სორბონაში – ქიმიასა და ფილოსოფიას; მუშაობდა სათავადაზნაურო სკოლაში ინსპექტორად, „ივერიაში“ მეორე რედაქტორად, „დროების“ რედაქტორად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, სათეატრო კომიტეტის წევრად, თეატრალური დასის მზრუნველად, საადგილმამულო ბანკის მოხელედ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ცხოვრების მიზნად, მთავარ გზად, სისხლხორცეულ საქმედ ლიტერატურა ექცა, კერძოდ, თარგმანი, რომელიც იმ დროისათვის მეტისმეტად დაკნინებულიყო და თავის მხსნელს, სიცოცხლის მომნიჭებელს ელოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მისტიკური მისია, რომელშიც დიდი ათონელების სულმა გაიღვიძა

მისტიკა იყო ისიც, რაც 1898 წლის 26 ივნისს მოხდა. უგზო-უკვლოდ გაქრა, დაიკარგა სამუდამოდ გაუხსნელ-დაუდგენელი ვერსიით.

ავი ბედისწერა დღემდე კვალში დაჰყვება. ოსმა სეპარატისტებმა მისი სახლ-მუზეუმი დაწვეს, დაანგრიეს და აღგავეს პირისაგან მიწისა.

ის კი მარადი და ხელშეუხებელია – ქართული გენია მშობლიურ სიტყვაში დავანებული – ივანე მაჩაბელი

დიალოგის დასასრული

თ. ხმალაძე-გ.გოგოლაშვილი

გვ. 3

პროზა

ლევან ლორია

გვ. 8-9

ტაო იუან მინი

თარგმანი მ. ჯგუბურიასი

გვ. 10

ყოფიერების სავანე



რევაზ სირაძის გახსენება

გვ. 11

სერგული პოეზიიდან

თარგმნა მანანა დუმბაძემ

გვ. 15

გოგლას ყანწები

ორმოცდაცხრამეტი წლის შემდეგ

25 მაისის წვიმიან დღეს პატარძეულშიც მოწყენილობა იყო, მაგრამ შუადღისას უჩვეულო გამოცოცხლება დაეტყო გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს, რომლის წინ ერთმანეთის მიყოლებით ჩერდებოდნენ ავტომანქანები და ეზო სტუმრებით ივსებოდა. ეს არ იყო გოგლაობის ტრადიციული ზეიმი (ის გადაიდო და ერთი კვირის შემდეგ ჩატარდა). ამჯერად სხვა რამ ხდებოდა და რაც ხდებოდა, ეს იყო უცნაური, უჩვეულო, იშვიათი ამბავი. პატარძეულის მუზეუმს გადაეცა საჩუქარი, რომელიც გიორგი ლეონიძეს უნდა მიეღო 59 წლის წინათ...

რატომ ვერ მიიღო თავის დროზე. ან თუ მიიღო, მერე სად გაქრა, რატომ აღმოჩნდა სხვაგან, სხვა ადგილას? არავინ უწყის.

ვიცით მხოლოდ ის, რომ ცოტა ხნის წინ ერთმა თბილისელმა კაცმა, სიძველეთმოყვარულმა მამუკა ხუციშვილმა ერთ-ერთ ოჯახში აღმოაჩინა წყვილი ყანწი წარწერით: „სახსოვრად გოგლა ლეონიძეს პატარძეულის ახალგაზრდებისგან. 20. II. 1966 წელი“.

მამუკა ხუციშვილმა ხმა მიაწვდინა ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორს, ანდრო ბედუკაძეს, რომელიც, თავის მხრივ, დაუკავშირდა კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ გენერალურ დირექტორს, ზურაბ ჩხაიძეს. კომპანიამ შეისყიდა ეს ძვირფასი მემორიალური ნივთები და, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, გადასცა გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს.

ეს ამბავი ხდებოდა 25 მაისის ავდრიან დღეს პატარძეულში.

საგარეჯოს კულტურის სახლის დირექტორმა ბესიკ ღვინაშვილმა და ზურაბ ჩხაიძემ ხელი მოაწერეს მემორიალური ნივთების ჩაბარების აქტს.

ასე დაუბრუნდა საჩუქარი დიდ გოგლას დიდი ხნის – ორმოცდაცხრამეტი წლის – შემდეგ.

გელა ცინცაძე

ლიტერატურის ინსტიტუტში

29 მაისს რუსთველოლოგიურ სემინარზე ლია წერეთელმა წარმოადგინა მოხსენება „სიმბოლოსმეტყველებითი ასპექტები „ვეფხისტყაოსანში“.

მომხსენებელმა გაიხსენა ზვიად გამსახურდია, რომელსაც წელს 85 წელი შეუსრულდებოდა, მის ხსოვნას მიუძღვნა ეს მოხსენება და აღნიშნა, რომ ასპირანტებთან წაკითხული მისი ლექციები და რუსთველოლოგიური საუბრები დღესაც განსაზღვრავს სახისმეტყველურ და სიმბოლოლოგიურ კვლევას. ამ სათაურით გააერთიანა ის ასპექტები, რომელიც „„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“ -ს მისდევს. ისაუბრა „ანტონ I-სამი სტილისა და რუსთაველის“ შესახებ. კათალიკოსმა სემინარიის სტუდენტებისათვის შექმნილ სახელმძღვანელოში ჩამოაყალიბა „ყრმათათვის“ შემეცნების გზაზე სამი საფეხური, სამი სტილი საღვთისმეტყველო ლიტერატურისა. პირველი გულისხმობს მარტივად გასაგებ, ადვილად აღსაქმელ ბიბლიურ მოთხრობებს, მეორე- უფრო რთული და ღრმა შინაარსი სახარებისა და ბიბლიური თხრობისა, მესამე „სტილი“ გულისხმობს უკვე მომზადებულ მკითხველს სიმბოლურ-ალეგორიული და მითო-პოეტური შინაარსის აღსაქმელად...ეს რუსთველური დაყოფის იდენტურია პოემის პროლოგიდან. ანტონ I თითოეული სტილის მაგალითს მოიხმობს, ასახელებს ავტორებს და მესამე სტილის ნიმუშად გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, დიონისე არეოპაგელის გვერდით ასახელებს შოთა რუსთაველს....

დიონისე არეოპაგელის თხზულებები, მისი სააზროვნო სისტემა რუსთველის პოემის უმთავრესი წყაროა, პოემის სიმბოლოთმეტყველება ეფუძნება არეოპაგეტულ მოძღვრებას.მოხსენებაში განხილული იყო „ცვარ-ნამის“ რუსთველური სიმბოლიკა, რომელიც ეფუძნება ბიბლიურ-სახარებისეულ და ფსალმუნურ ტრადიციას, რომელიც ჰიმნოგრაფიასა და საისტორიო მწერლობაშიც დასტურდება, რუსთველური „ბროლის ცვარი“, „ნამსა ცხელსა აწვიმებდა“, „ტარიელის ცრემლი იყო, დათრთვილული, არ დაზრული“,„ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა“.... „ცვარის“ არეოპაგელისეულ გააზრებას გულისხმობს და ანტინომიური შინაარსი აქვს:“ საღვთო და გონით სიტყვებს ამსგავსებენ ცვარსა და წყალს, უგალობენ ღმერთს ვითარცა ცხოველმყოფელსა და ამაღორძინებელს, სრულმქმნელს“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). ცვარის, როგორც საღვთო მადლის საზრისის ნიმუშად მომხსენებელმა ისაუბრა ბიბლიური „სამი ყრმა ბაბილონელის“ და „მეოთხე“ ანგელოზური, საღვთო მადლის ცხოველმყოფელი მადლის სიმბოლოზე, რომელიც თამარ მეფის მემატიანეს აქვს თხრობაში განსახოვნებული. სიმბოლიკა გულისხმობს, რომ სამი ყრმა ნაბუქოდონოსორ მეფის მიერ ცეცხლის ალში ჩაყრილნი დაიცვა „მეოთხემ“, რომელიც მეფემ თავისი თვალით დაინახა, როგორ გამოჩნდა ცეცხლის ზემოთ, „ცვარს“ აწვიმებდა და მლოცველი ყრმანი დაიცვა უვნებლად. მეფემ აღიარა, რომ ეს ღვთის მადლი და ძალა იყო ყრმათათვის და თავად უძლური აღმოჩნდა...სახისმეტყველება გულისხმობს, რომ თამარ მეფე, როგორც ბაგრატიონი, ბიბლიური წარმომავლობის მეფე, იმ მეოთხის მსგავსად იცავს და იფარავს საქართველოს ღვთის მადლით....სამწუხაროდ, ეს სიმბოლო ათეისტურ პერიოდში „მეოთხე ჰიპოსტასად“ იყო გააზრებული, რაც მემატიანის სახისმეტყველურ აზროვნებას ამცრობს.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი თავის თხზულებებში სიმბოლოთა გააზრების გასაღებს გვთავაზობს, რომელსაც ეფუძნება რუსთველი, ჰიმნოგრაფია, ანტონ კათალიკოსი, „ქართლის ცხოვრების „მემატიანეთა თხრობა და ეს სააზროვნო სისტემა იმდენად მდგრადია, რომ ზეპირსიტყვიერებასა და ქართული პოეზიის შედევრებშიც განსახოვნდება.

„ზეცამ გაპკურა ცვარნამი“, „დაცვარული, პიროფლგადამდინარე“, „ციურნი ცვარნი“.. ამის დასტურია.

მოხსენების მოსმენის შემდეგ გაიმართა საუბარი, საინტერესო დაკვირვებები გამოთქვა თეიმურაზ ჭანტურიშვილმა, რომელიც არის ექიმი, მთარგმნელი, ლიტერატორი, რუსთველოლოგიით დაინტერესებული, „ვეფხისტყაოსნის“ მცოდნე და მკვლევარი.

წიგნი გამოიცა 2023 წელს, ავტორი: ***შორენა დოლიძე,*** *ლიტერატურული ფსევდონიმი –* ***აღაზა მთისშვილი.*** *წიგნის რედაქტორი– ზურაბ ფირცხალაიშვილი. წიგნის წარდგენა გაიმართა თბილისში, მწერალთა სახლში 2024 წლის 22 მაისს. ღონისძიება მიეძღვნა პოეტის, ლალი გულისაშვილისა და პედაგოგის, ნინო რამიშვილის ხსოვნას.*

კრებულის ავტორისეული წინასიტყვაობა გამოყენებული იყო პრეზენტაციის წინასიტყვაობადაც:

„ეძღვნება დრო-ჟამში ჩაკარგულ ყველა პოეტს, ყველა დავიწყებულ უბრალოს, ყველა შეწირულ უსახელოს და ყველა აღაზას, რომელიც ერთხელ მაინც შელეწვია წუთისოფლის უსამართლობას, ეძღვნება ჩემს მკითხველს და ზოგადად, სწორფრობის მისტერიების დღეს უკვე არაგვის დინებად ქცეულ ენერგიას.

უფრო ვრცლად, წინათქმის მაგიერ წიგნისათვის „აღაზა“

– ნამდვილი დავრიში ხანაგიდან იწყებს... ხელდასხმიდან, გასხივოსნებიდან. გადაიცმევს თავის გასაოცარ მადლს და მიდის, რომ იპოვოს თავისუფლება, სიყვარული. მე ვინ მომაშავა ან კაბა, ან სუფიური ცოდნა-მადლი, ან პოეტი-მისტიკოსის ნიჭი? სამყაროს შემოქმედის ამ გზით აღქმა, მის მიმართ სიყვარულის უკიდურესად პოეტურად გამოვლენისა და საკუთარი თავის დავიწყების ყველაზე ფათერაკიანი გზაა. ვაი რომ, არც დავრიში ვარ, არც ბეითების მღერისა ვიცი, არც თარის გაწყობისა... მხოლოდ ქრისტეს სახებას ველაციცები შორიდან. სულს კი მიჰყავხარ... შორს, შორს და ეძახი: უფალო, უფალო, შენკენ მოილტვის ჩემი დაღლილი, წარმართი სული!.. ამ ფათერაკიანი გზის ნაწილია აღაზაობაც... არხოტისა და ხახმატის გამოუთქმელი სიყვარულით.

რატომ არხოტი?

რატომ ხახმატი?

ჭოროხთან ვცხოვრობ... იქ, სადაც მდინარე ჩქარი დინებით ერწყმის შავ ზღვას... აქ, სადღაც, შორიახლო, კოშკი იდგა ყამარისა. ჩემი არქეტიპული პირველსახის. ზღვის სიღრმეში მორევები ტრიალებენ, კოლხთა ნავების ჩანმთქმელები. მარცხნივ, სამხრეთის კარიბჭეა, ასჯერ აღებული, დალეწილი, ერთადერთი ლაზური სოფელი საქართველოში... ჯიუტი, გამტანი ლაზური სულით. ლაზეთმა და აჭარამ რა უბედობაც გამოიარა, სულ გამოწვლილვით უნდა იცოდეს ყოველმა ქართველმა, როგორც იციან ხევსურეთის კარიბჭის აუღებლობის იგავმიუწვდომელი ამბავი. ქავისკარს რომ ღვთისშვილები იცავდნენ და ასაც ხმაურიანად მოქუხდა თავის კალაპოტში. სამხრეთის მეკარიბჭეთა ტრაგიკული ბედის გამზიარებლობის და ჩრდილო-აღმოსავლეთის აუღებელობით გამოწვეული სიამაყის სინთეზია აღაზას პოეზია, თუმცა გაუნელებელია ხევსურეთის დაცლით გამოწვეული ტკივილიც. არ ეპატიათ ქართული საქმისადმი ერთგულება. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხევსურეთის დაცლისა... გარედან ვერ გატეხეს გაუტეხელი და სხვა გზა მოძებნეს, უფრო სასტიკი. დავიწყების ბურუსში გაახვიეს უძველესი ქართული ცივილიზაცია. რა გატეხს ხევსურს? არცრა, სამშობლოსაგან ღალატის გარდა.

ფრთხილად „მსაყვედურობენ“' ხოლმე, მაღალმთიან აჭარას და ზღვისპირეთს რომ ტოპონიმიკა აქვს, რატომ არ იყენებ შენს ტექსტებშიო. ტოპონიმიკის ან მითებად ქცეული ამბების პერიფრაზს არ ვახდენ. იცის აჭარამ, საჭიროებისას, დაუფიქრებლად დავუდგები ფარად. არა სიტყვით, არამედ, სიცოცხლით. ჩემი ხუთი შვილის მინაა აქ. ჩემში გურული სილაღე, მესხური ფესვები და კოლხური სისხლი ამბობენ სათქმელს, ჩქარი ვარ და მღელვარე, მაგრამ პოეზიაში ვფრთხილობ... შინაგან ხმას ვუსმენ. ვერაფერს დავწერ ყასიდად, იმას ვამბობ, რასაც ძვლები სისხლად აქცევენ. როცა გულთან მიაწევს სისხლი, და მშობლიური ენა მელოდიად წამოიღებს, მაშინ შეიძლება განსხეულდეს კიდეც და ლექსად იქცეს.

ხახმატი? ქრისტესიანი ვარ... მაგრამ... თეთრი გიორგი, როგორც ქართული წარმართული ღვთაება, ჯვარი, ხატი, როგორც დაკარგული თავისუფლების, ქართული ისტორიის გამისტიურებული სიმბოლო, სულს მიფორიაქებს. დიდ საიდუმლოს ფარავს

თეთრი გიორგი. განსაკუთრებით, წმიდა გიორგი ნაღვარმშვენიერი-ხახმატის ჯვარი, სამძიმ(ვ)არ ყელღილიანი, აშექალი და სხვანი... დღე-ღამის გაყრის ჟამს, როცა თან ფხიზლობ, თან არ, ჩაგესმის ზანზალაკების წკარუნი. ცხენის ნალების თქარათქური, გიზიდავს... გეძახის ... მიჰყავხარ. ეს არა მხოლოდ მეტაფორული მსჯელობაა. რეალობაში შეუძლებელიაო ეს.... რადგან მხოლოდ რჩეულებს და ისიც მხოლოდ ხევსურთაგან ჰგებიათო ამგვარი პატივი. – ხევსურ ორ! ვიმეორებ ჯიუტად... ვერავის აუბამ ხორციელ თვალებს. ვინც სულის თვალით იხედება, ის ჩემს გულსაც დაინახავს.მიხვდება ვინც ვარ. არღუნის ტალღა რომ ჩამოირბენს შატილს, ჩემი სისხლი ყეფს მაშინ... ქავისკარსა ან თინიბექაის ციხეს რომ ლოდი დასცვივა, ჩემი სხეული გოდებს. არხოტს რომ მთის წვერი შეინისლება, მე აქ ვმწუხარებ. მთვარის სხივზე აქ რომ ტალღა ათამაშდება, იქედან თორღვაის ჯაჭვის ჟრიალი ისმის.

რამდენი ათასწლეულით დავაგვიანე ვინ იცის?. „აღაზა“ იმ ძალისძალობით გაკიდულ ბეწვის ხიდზე გადის, მე თავად რომ გადავჭიმე ყოფნა-არყოფნის ქარაფებზე, რომლის ფსკერუწვდენელ ხევებში პროტო-იბერიული, გნებავთ, პელაზგური სისხლი ჩქრიალებს და ვაი, თუ სადმე სიტყვამ უმტყუნოს, ან სიყვარული გამოელიოს.

აღაზა (შორენა დოლიძე)

ავჯორი და მისი პერსონაჟები

საუბრობენ მწერალი **თამაზ ხმალაძე** და ენათმეცნიერი **გიორგი გოგოლაშვილი**

▶▶ დასასრული, დასაწყისი „ლს“ №6,7,8

თ. ხ. – ასეთი შემთხვევები ხშირად არის კახურ მეტსახელებში: უყუროს შეიძლება ყურა დაარქვან, მოკლეცხვირიანს – ცხვირა, დაბალსა და ჩამრგვალებულს – გრძელა... ასეთი თიკუნი პერსონაჟს კიდევ უფრო სასაცილო ელფერს ანიჭებს; აქ ალბათ გაუცხოების ეფექტიც არის გასათვალისწინებელი... მაგრამ თათქარიძე როგორ მოერგო ლუარსაბს, არა? თან სათავადო გვარიაო... შეიძლება ჩვენ ვერა ვხვდებით, თორემ უმოტივაციოდ არც ეს გვარები უნდა იყოს შემოტანილი.

გ. გ. – აქ „სცენებიდან“ გლახა ჭრიაშვილის გახსენებაც გვმართებს. ორსიტყვიანი სინტაგმა იქცა სახელ-გვარად: გლახა ჭრიაშვილი – გლახად (ცუდად) ჭრიალებს, გლახად ჭრის... ანუ გაუჩერებლად, გაუთავებლად, უაზროდ მრავალსიტყვაობს და იკარგება აზრი... იმდენად ზუსტად და საინტერესოდ არქმევს პერსონაჟს გვარ-სახელს, იმდენად საინტერესო პერსონაჟებს ხატავს, რომ თათქარიძეც და ჭრიაშვილიც განზოგადდა... უნდა ვიფიქროთ, რომ მე-19 საუკუნის ქართულ პროზაში მოტივირებული სახელ-გვარები სათავეს ილიასთან იღებს...

თ. ხ. – ილიას სხვა მოთხრობებში რა ხდება? ოთარაანთ ქვრივს, გიორგის, არჩილს, გაბრიელს, პეპიას, დათიკოს, პეტრეს გვარი არა აქვთ... არ სჭირდებათ?... ალბათ, არა... ეტყობა, ილიასთან „გვარიანობაც“ და „უგვარობაც“ მოტივირებულია...

ხომ გახსოვს, ზემოთ კლდიაშვილის ნათქვამი რომ დავიმოწმეთ – „გვარმა სახელი მოათრიაო“? ჯერ იყო და ავტორმა რეალურ გვარს ფონეტიკური სახე შეუცვალა, მერე „მოათრია“ მორბელაძემ სოლომანი და მოთხრობაც იოლად დაიწერა... ამ შემთხვევაში გვარს ეძლევა უპირატესობა... მორბელაძეს რომ მიაგნო, მერე გაეხსნა გზა მოთხრობას...

გ. გ. – ძალიან საინტერესოა ის, რომ დავითი ვარიანტებში გვარსაც უცვლის პერსონაჟს და სახელსაც: არჩილ სანებლიძე პლატონ სამანიშვილი გახდა („სამანიშვილის დედინაცვალი“), ოტია ქამუშაშვილი – ქამუშაძე („ქამუშაძის გაჭირვება“), ბაბო სარალიძე – გარაყანიძე („წრფელი გული“)... რეალური გვარი იცვლება რეალური გვარით, „ძეზე“ დაბოლოებული „შვილზე“ დაბოლოებულით და პირიქით... მოტივაცია თითქოს არ ჩანს...

თ. ხ. – ცხადია, ჩვენ ვერ ვამჩნევთ, თორემ...

გ. გ. – პერსონაჟის გვართან დაკავშირებით დ. კლდიაშვილთან ესეც საინტერესოა: პიესაში „დარისპანის გასაჭირი“ ყველა პერსონაჟს გვარი აქვს (მართა ქვიტირიძისა, პელაგია საბელაშვილისა, დარისპან ქარსიძე, ონისიმე მათარაძე, ოსიკო ხარაბაძე...), ხოლო პიესაში „უბედურება“ არცერთ პერსონაჟს გვარი არა აქვს.... ან ერთგან რა დატვირთვა აქვს „გვარიანობას“, ან მეორეგან – „უგვარობას“, ალბათ მხოლოდ დავითმა იცის...

თ. ხ. – არადა რომ აქვს ეს დატვირთვა, ფაქტია: „სოლომან მორბელაძე“ ვერ დაიწერა, სანამ პერსონაჟის გვარს არ მიაგნო...

გ. გ. – აქ ესეც საინტერესოა: ვარიანტებში შეიცვალა გვარი, შეიცვალა სათაურიც: სანებლიძე გადაკეთდა სამანიშვილად და სათაური „ძილი მოსვენებაა“ იქცა „სამანიშვილის დედინაცვლად“... ქამუშაშვილი ქამუშაძედ შეიცვალა და შესაბამისად „გამოსაცვლელი ცხოვრება“ – „ქამუშაძის გაჭირვებად“... არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი...

თ. ხ. – კლდიაშვილისნაირ მწერლებთან შემთხვევითი არაფერია... მაგრამ რა ხდება, რატომ და რა მიზნით, ეს ალბათ მხოლოდ ავტორმა იცის... ან იმან, ვინც ან „რაიც ავტორს შთაგონებით წყალობს“... გახსოვს, ამაზე მე არ მიფიქრიაო, ვწერდი, როგორც იწერებოდაო...

გ. გ. – ამ თვალსაზრისით მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძე თუ გივი შადური, ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხია ძალზე საინტერესოა... სხვაც, რა თქმა უნდა. მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას დღეს ნუ წავალთ უფრო შორს...

თ. ხ. – ლიტერატურის ისტორიამ მსგავსი შემთხვევები იცის...ზემოთ კონან დოილი ვახსენეთ... მაგრამ, მართალია, გაგვიგრძელდა საუბარი...

გ. გ. – ისევ შემოქმედებით პროცესს მივუბრუნდეთ: რეზო ინანიშვილს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ვილაც თუ რაღაც მკარნახობს წერის დროს. როცა არ მკარნახობს, ვიტანჯები, თავის მოკვლა მინდა, ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ. დღეს, 25 აგვისტოს, სულ რომ არ ვფიქრობდი ასეთი რამის დაწერას, უცებ მეკარნახა მოთხრობა „სულ ოდნავ მარჯვნივ“ („წრე“), ჩავიწერე იგი საათნახევარში“.

თამაზ, „მკარნახობს“, „მეკარნახა“, „ჩავიწერე“... აქვე ვიტყვი ბარემ, არასოდეს ანა კალანდაძე არ ამბობს, ლექსი დავწერეო; ამან დამაწერინა, დაიწერა ლექსი... თამაზ ხმალაძის კომენტარი მაინტერესებს.

თ. ხ. – როცა „გეკარნახება“, როცა მოდის („წრფელი გულის“ დასაწყისისა არ იყოს), არ უნდა გაატარო... იმას თუ გაუწიე ანგარიში, უხერხულია, მეგობარს აქ ხომ არ მივატოვებ და მე საწერად ხომ არ წავალო და ა. შ. ... ჩაივლის ის, რაც „მოვიდა“!... უხერხულობა ცხოვრებისეული ამბავია, შემოქმედებითი პროცესი – სხვაა... როგორც ჩანს, ამ გადასახედიდან რომ ვუმზერ, ბევრჯერ გავუწიე ანგარიში ამგვარ „უხერხულობას“...

გ. გ. – მოდი, ისევ პერსონაჟებთან მივიდეთ...

თ. ხ. – პერსონაჟი მაინც საინტერესოა. ხანდახან მოდის და გულს გიჩვილებს, გეფერება კიდეც...

გ. გ. – ვინა გყავს ასეთი?

თ. ხ. – არიან...

გ. გ. – მენახირე გაბო გამახსენდა („სავსე მთვარე“); შენისთანა გულშემატკივარი, თანამგრძნობი და მესაიდუმლე არავინა ჰყავს... ამგვარ პერსონაჟს მწერალი ეყვარება, ცხადია.. თამაზ, სიტყვამ მოიტანა და – პერსონაჟი კვდება და ავტორი გლოვობს, პერსონაჟს უყვარს ავტორი, ეფერება მას... ის თუ შეიძლება, მწერალს თავისი პერსონაჟი შეუყვარდეს, გაუმიჯნურდეს?

თ. ხ. – განა არის ამქვეყნად ისეთი რამე, რაზეც შეიძლება ითქვას: არ შეიძლებაო? მაგალითისთვის რაღა შორს წავიდეთ, ეგეთი ამბავი მეც გადამხდა თავს, „დროის მკვლელების“ წერისას ნაია შემიყვარდა... უნდა გვევარაუდნა, რომ ამას სასიკეთო შედეგი მოჰყვებოდა. რა გასაკვირია, როცა გიყვარს ადამიანი, რეალურ ცხოვრებაში იქნება თუ ვირტუალურში, უფრო მშვენიერად, უზადოდ და სრულქმნილად მიიჩნიო იგი. მაგრამ პირიქით კი მოხდა, ეს პერსონაჟი იმასთან შედარებით, ბევრად უფერული გამოვიდა, რაც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. ბევრი რამე დავაკელი გარეგნულადაც და ხასიათის მხრივაც. ვერ გეტყვი, რა იყო მიზეზი, ვითომ მკითხველზე ვიეჭვიანე? რა ვიცი, ცხოვრებაში ეჭვიანი არა ვარ და აქ რა ღმერთი გამინყრებოდა? ფაქტი ის არის, რომ მისი ბევრი საუკეთესო თვისება დავმალე, არ გავამჟღავნე... რომ გითხრა, ბოლომდე გამიარა-მეთქი მისადმი გრძნობამ, ტყუილი იქნება; მისი სახელის ხსენება ახლაც სასიამოვნოდ ელამუნება გულს... სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც გეტყვი, რომ, საერთოდ, მწერალი ხშირად შეგნებულად და ზოგჯერ უნებურად ყველაფერს არ უმხელს მკითხველს, რაღაცას საიდუმლოდ ინახავს და მის ალღოს ენდობა ამ საიდუმლოს ამოსაცნობად. თავში ვთქვით, ყველა ხელობის ადამიანს არსთაგამრიგესაგან ევალება თავისებური შემოქმედი იყოსო. „მკითხველობაც“ პროფესიაა; მისი „შემოქმედობა“ კი იმით მჟღავნდება, რამდენად შეუძლია მწერლის მიერ საიდუმლოდ გადანახულის ამოცნობა...

გ. გ. – უდავოდ საინტერესოა. ეს შენი პირადი გამოცდილებაა, მაგრამ სხვებთან რა ხდება? სხვა მაგალითის მოყვანა შეგიძლია?

თ. ხ – უფრო შთამბეჭდავ მაგალითს გეტყვი, გიორგი; მშვენიერ ძველბერძნულ მითს გაგახსენებ პიგმალიონზე, კვიპროსის მეფეზე. თუმცა მან შთამომავლობას როგორც მონარქმა კი არა, როგორც ხელოვანმა, ისე დაამახსოვრა თავი; სწორუპოვარი მოქანდაკე გახლდათ. ერთხელ პიგმალიონმა სპილოს ძვლისაგან ქალწული გამოაქანდაკა – გალათეა და მოხდა უცნაური რამ: შემოქმედს თავდავიწყებამდე შეუყვარდა თავისი ქმნილება და მუდმივ სატანჯველად ექცა. ვეღარ შორდებოდა თავის ქანდაკებას და ევედრებოდა, ხმა გამეციო... აფროდიტეს შეებრალა შემოქმედი და გალათეას სული ჩაუდგა. ბედნიერმა პიგმალიონმა გალათეა ცოლად შეირთო, შვილებიც ეყოლათ...

შედგომში ამ თემაზე მრავალი მხატვრული ქმნილება შეიქმნა ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათ შორის ალბათ საუკეთესოა ეტიენ მორის ფალკონეს ქანდაკება „პიგმალიონი“, აგრეთვე ფრანსუა ბუშეს „პიგმალიონი და გალათეა“ (შიშველი გალათეა დგას და პიგმალიონი ხელზე კოცნის)... ძალიან ბევრი ქვეყნის სცენაზე დაიდგა და ალბათ დღესაც იდგმება ბერნარ შოუს კომედია „პიგმალიონი“... ჯილბერტსაცა აქვს პიესა „პიგმალიონი და გალათეა“... კინემატოგრაფიც დაინტერესდა ამ თემით; ვთქვათ, ჩვენი დროის ფრიად ნაქები მელოდრამა „ლამაზმანი“, სადაც რიჩარდ გირი და ჯულია რობერტსი თამაშობენ...

რა უნდა ვქნათ, რა ნემსის ყუნწში უნდა გაძვრე, რით უნდა გააკვირვო ჩვენი მკითხველი? განა არსებობს რაიმე სიუჟეტი, რომელიც ან ბიბლიაში, ან მითოლოგიაში არ იქნება? თუ მოვახერხებთ და ჩვენეულ ვარიანტს შევქმნით, თუნდაც ჩვენეულ მცირე დეტალს შევძენთ, ჩვენი სამზერიდან დავანახებთ ვინმეს, მე მგონია, ესეც უკვე წარმატებად მისაჩნევია...

გ. გ. – თამაზ, მოდი ისევ შენს პერსონაჟებთან დავბრუნდეთ... როცა შენს მოთხრობებზე ვფიქრობ, ნასყიდა და ჯაღალა სხვაგვარად ეჭიდება გულს. მგონია, რომ ეს სახელებიც შენი საკუთრებაა, სხვა ვერ შეეხება. ანდა, თუ სხვა მოჰკიდებს ხელს, იმგვარად, გოდერძი ჩოხელმა „მიჯაჭვულ რაინდებში“ ილიას ლუარსაბი და დარეჯანი რომ გამოიყვანა (ანდა, დონკიხოტი და სანჩო პანსა...)...

თ. ხ. – ჰო, გოდერძიმ სხვისი პერსონაჟები გადმოასახლა თავის მოთხრობაში, სხვა გარემოში დაასახლა...

გ. გ. – ასე ვთქვათ, სხვისი პერსონაჟები არიან; გოდერძიმ დროებით ისტუმრა, „მდგმურად“ არიან... მაგრამ მთავარი ისაა (ამისთვის დავიწყე ამაზე საუბარი), რომ გოდერძის ჰქონდა ენის განსაკუთრებული გრძნობა და ამ პერსონაჟთა საუბარში ეს კარგად გამოიყენა... შენთან არის ასეთი ენობრივ-სტილისტური საინტერესო გადასვლები. აი, ის მოთხრობები – „ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“ და „ორი ზოლი“... სხვადასხვა თაობის პერსონაჟები როგორ ცდილობენ, თან „ერთნაირად“ ილაპარაკონ, ერთ დიალექტზე და თანაც „სხვადასხვაგვარად“ – თაობათა შორის წარმოშობილი ენობრივი სხვაობის გათვალისწინებით. გულწრფელად გეტყვი, აქ მწერალს ურთულესი ამოცანა აქვს (თუ პასუხისმგებლობას გრძნობს დედაენის წინაშე)... ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მწერალი თავს კარგად ართმევს ამ ამოცანას. თამაზ, ამის თაობაზე წინასწარ გიფიქრია, თუ ეს ყოველივე „გეკარნახა“?

თ. ხ. – ისევ გავიმეორებ: „ის“ განსაზღვრავს ყველაფერს; აქაც ასეა: დაიწყო ლაპარაკი მოხუცმა. იწყება წინადადება, მერე ეს წინადადება თვითონ წაგიყვანს თავის გზაზე... ამ გზაზე ჟარგონი არ არის, – ვერ გამოიყენებ. მიჰყვები და თვითონ გაწერინებს ყოველივეს. ნალფარიანთ დედაბერი რომ მიმართავს „ახტაჯანა“ ელიკოს: „ამაიცმევ პაწაწკინა ნიფხავს, ჩაიცმევ მოკლესა და გულამოღებლ კაბას და მიდიიი! ქვევით და ზევით დაჰფრიალობ ეგრე შიშლიკანა“... გოგო თავისას ეტყვის, თავისებურად: „შენ რაღას ამბობ, ქა, ნეტა რა იცი, რას ამოვიცვამ ხოლმე და რას არა!.. ვისი რა საქმეა, იქნება მე არც ეგ პაწაწკინა უნდა ჩავიცვა?!.. – არ ჩაიცმევ და ნუ ჩაიცმევ! ჩვენ რას გვაგულისჭირებ, ქა! სიმართლე გითხრა, სულ რო ტატრაყუნებმა ირბინოთ, არც ეგ გამიკვირდება, მამიჩემის სულის ცხონებამა!“ აი, აქ, მსგავსებაც არის სტილში და განსხვავებაც... მე არაფერ შუაში ვარ, ამას თვითონ ის პერსონაჟები აგვარებენ...

გ. გ. – ორივე ერთ დიალექტზე ლაპარაკობს, მაგრამ სხვაობა მაინცაა...

თ. ხ. – ორივე თანამედროვე დიალექტზე საუბრობს, ოღონდ „თავთავიანთ თანამედროვე დიალექტზე“... ნალფარიანთ დედაბრის დიალექტი უკვე „გასული“ დიალექტია, „ახტაჯანასი“ – დღევანდელი...

გ. გ. – ამას ისინი თავად აწესრიგებენ და როგორც დავით კლდიაშვილი იტყვის, „ამაზე მე არ მიფიქრიაო“...

თ. ხ. – ასეა, ცხადია. აქ ჩემი მხოლოდ „ნალფარია“. „ნალფარი“ ქართულ ნალს ერქვა, რომელიც რუსების შემოსვლის მერე იშვიათად იხმარებოდა და სიტყვაც დაიკარგა. მე ვეცადე ჩემს შემდგომ მცირე ხნით მაინც გადამერჩინა რაღაც ფორმით.

გ. გ. – თამაზ, წეღან შენ დაახლოებით ასეთი რამე თქვი: პერსონაჟი საუბარს რომ დაიწყებს, მე აღარ მეკითხება, წინადადება თავისით მიდისო...

თ. ხ. – ჰო.

გ. გ. – ჯემალ აჯიაშვილმა შუა საუკუნეების ებრაელ ავტორთა პოეზია რომ თარგმნა, შეხვედრა მოვუწყვეთ უნივერსიტეტში. ჯემალს ძალიან საინტერესო ენა აქვს; მდიდარი ლექსიკა, სიახლეები სიტყვაწარმოებაში, ლექსიკური ინიციატივები. ვკითხე, რა იყო საიდუმლო ამ ლექსიკური ინიციატივებისა, როგორ იბადება ახალი სიტყვა, ფრაზა... ვერ გეტყვიო, მითხრა; ერთი სიტყვა რომ მოვა, იმას მოჰყვება მეორე, მესამე და ასე შემდეგო. პირადად მე ამ განმარტებიდან გამომდინარე პროცესი ასე მესახება: მწერალი ელოდება სიტყვას, ფრაზას, წინადადებას... ხმა ესმის და აი, გვირაბიდან გამოდის „მატარებელი“: გამოჩნდა ორთქლმავალი და მერე ჯერ ერთი ვაგონი, მერე – მეორე, მესამე და ა. შ.

თ. ხ. – საინტერესო გააზრებაა... მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ენის შესაძლებლობებს; სწორედ ამ შესაძლებლობათა ცოდნა აძლევს იმის საშუალებას, „გააკეთოს“ ახალი ფორმა; „აღმოაჩინოს“ ახალი სიტყვა... თუმცა ეს „გაკეთებული“ ფორმაც და „აღმოჩენილი“ სიტყვაც ბუნებრივი ქართულია...

გ. გ. – სწორედ ამის შესახებ წერს ბესიკ ჯორბენაძე: „მწერალი პირველაღმომჩენია და არა გამომგონებელიო“... მე ამ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისის დასტურად, მკითხველს თამაზ ხმალაძის წიგნებში ჩახედვას ვურჩევდი... მსჯელობამ შენი პერსონაჟების ენის შესახებ ერთი უცნაური კითხვაც გამიჩინა: თამაზ, ასეთი კარგი ქართული შენ ასწავლე შენს პერსონაჟებს თუ იმათ გასწავლეს შენ?

თ. ხ. – ვითომ გვეტყობა რამე ნასწავლობისა ან მე ან ჩემს პერსონაჟებს? განა ბუნებრივი არ არის ჩვენთვის ასეთი ქართული?... ისე კი, არ დავმალავ და, ჩემ გარეშე ისინი ასე ვერ ისაუბრებდნენ და მეც სხვებს ასე ვერ ავალაპარაკებდი. ჩემს მოთხრობებში (და რომანშიც) თბილისელებიც ხომ არ არიან სანთლით საძებარნი და არა მგონია, საუბრისას მათაც რამე „იაღლიში“ მოსდიოდეთ.

გ. გ. – კარგი, ახლა ისიცა ვთქვათ: თუ უმაღლეს შემოქმედს გაუჩნდა სურვილი თავისი შექმნილისადმი დამოკიდებულება სხვისთვისაც გაეზიარებინა, მიწიერი ხელოვანიც (ჩვენს შემთხვევაში მწერალი) ხომ გულისხმობს შემოქმედების პროცესში იმას, ვისთვისაც ქმნის ნაწარმოებს, მკითხველს ვგულისხმობ.

თ. ხ. – უჰ, ეს ძალიან ძნელი თემაა, დღეს ვერ მოვერევით (საერთოდაც, ოდესმე თუ შეეძელით მორევნა). მკითხველი ტრიადის აუცილებელი წევრია და დღეს მხოლოდ ერთ სახალისო ამბავს მოგიყვები, რომელიც ჩვენმა ერეკლე საღლიანმა მიამბო:

ერთხელ გურამ დოჩანაშვილთან სტუმრად ყოფილა ერეკლე (ამ ამბავს გურამის მეუღლე ნათელაც ესწრებოდაო); ვიღაც ქალს დაურეკავს მწერალთან. მცირე ხნის საუბრის მერე გაოცებულ გურამს ერეკლესთვის გადაუცია ყურმილი: ნახე, რას მეუბნებაო:

– რაო, რა გნებავთ, ქალბატონოო; – უკითხავს ერეკლეს.

– იცით, მე გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟმა გამაუპატიურა და მწერლისაგან მორალურ კონპენსაციას მოვითხოვო!...

ერეკლე არ დაბნეულა:

– მე ვარ, ქალბატონო, ის პერსონაჟი და ეხლა მაგ საქმის გამო ავტორთან აღსარების სათქმელად ვარ მოსულიო!

ტელეფონში მხიარული კისკისი გაისმა და ყურმილი დადესო.

აი, ზოგჯერ ასეთ დამოკიდებულებასაც გადავეყრებით ცხოვრებაში იმ ტრიადას შორის, მწერალი, პერსონაჟი და მკითხველი რომ ჰქვია. მაგრამ ამ საკითხზე, მოდი, სხვა დროს ვისაუბროთ, დღეს ეს ვაკმაროთ...

▶▶ დასასრული იქნება

▶▶ დასასრული. დასაწყისი "ლს„№8

გენერლის საბედისწერო შეცდომა

მიხო მორჩილაძე

როდესაც პარლამენტარი რევაზ გაბაშვილი მივიდა ფრონტის სარდალთან თბილისიდან გამოგზავნილი ბრძანებით, კოჯორი-ტაბახმელას ფრონტის მეთაური, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი თავის შტაბში იმდღევანდელ ბრძოლებში გამორჩეულ მეომრებს წმიდა გიორგის ჯვრებით აჯილდოვებდა.

– მოხალისეთა ბატალიონის რიგითი მიხეილ მაჩაბელი! – წარმოთქვა არტილერიის კაპიტანმა ნოდარ ნიჟარაძემ და გენერალს ჯილდო გადააწოდა.

გენერალმა მაშინვე იცნო მაღალი, საფეთქელზე ჭაღარაშეპარული ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ორი წლის წინ იბრძოდა სომეხი დაშნაკების წინააღმდეგ საქართველოს გასათავისუფლებლად. მაშინ, გამოცდილი გენერალი სასიამოვნოდ გააოცა ამ მოხალისე მებრძოლის ფიზიკურმა მომზადებამ და სიმამაცემ.

...სომხეთის სრულიად მოულოდნელი შემოტევა, სამშობლოში შემოჭრილი დაშნაკების ზღვარგადასული სისასტიკე, შოკიდან გამოსულმა ქართულმა ჯარმა გმირულად დაძლია და შეტევაზე გადავიდა... განდევნილ მტერს კვალში ედგნენ უკვე სომხეთის ტერიტორიაზე და ფეხდაფეხ მისდევდნენ ერევნისკენ მიმავალ მთიან გზაზე, როდესაც ქართველები უეცრად „ხაფანგში“ აღმოჩნდნენ. გოგჩის ტბისკენ, დათოვლილი ველისკენ ზიგზაგით ეშვებოდნენ, როდესაც სროლის ხმა გაისმა. ქართული ჯარის ნაწილები კილომეტრებზე იყო გაშლილი. რამდენიმე საათის განმავლობაში გზაზე არავითარი წინააღმდეგობა აღარ შეხვედრიათ და უეცრად ზემოდან, დაბურული ტყიდან სროლა გაისმა. ქართველთა შემტევ ჯარს სნაიპერული ცეცხლი გაუხსნეს. დაშნაკები გაუვალი ტყის საფარიდან შესაშური სიზუსტით ისროდნენ. ქვემოდან მათთან მიახლოება შეუძლებელი იყო, ხშირი, გაუვალი ნაძვნარი ზუსტად გზისპირზე შვეულად ეშვებოდა და ტყესა და გზას შორის ხუთ-ათმეტრიან კედლად აღმართულიყო ციცაბო, თითქმის ვერტიკალური კლდეები... სამწუხაროდ, ნაღმტყორცნები არ ჰქონდათ, რაც შეუცვლელია მსგავს სიტუაციაში. მტრის სნაიპერები ბრიყვები არ იყვნენ. მათი აღმოჩენა შეუძლებელი რომ ყოფილიყო, ამიტომაც მხოლოდ შემხვედრი ცეცხლის მიმართულებით ისროდნენ და ზუსტად ახვედრებდნენ მიზანში. ასე რომ, ამ მოულოდნელი შეტაკებისას ქართველებმა რაღაც ოციოდ წუთში ათამდე თანამებრძოლის გვამი დაითვალეს და ამაზე ორჯერ მეტი დაჭრილი... მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა. პანიკას რომ მოეცვა მებრძოლები, მსხვერპლის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა... ტყიდან კი სნაიპერების გამოტყუება შეუძლებელი ჩანდა, მით უმეტეს, რომ უკვე საღამოვდებოდა. ღამით კი ისინი უსათუოდ უკვალოდ გაქრებოდნენ. შეიარაღება რომც მიეტოვებინათ, მაინც, მათ დავალება ბრწყინვალედ ჰქონდათ შესრულებული. რაღაც წუთებში, ათამდე ქართველი იმსხვერპლეს და დანარჩენ მეომრებშიც საშინელი შიში დათესეს... ქართველების შენაერთმა რამდენჯერმე ზალპი დაუშინა „სნაიპერების მთას“. უმისამართო, უშედეგო სროლა პერმანენტულად გრძელდებოდა, ამ სროლებისას, რამდენიმე ქართველი მოხალისე კლდესთან მიიჭრა, რომლის თავზეც, სავარაუდოდ, ტყეში მტრის სნაიპერები უნდა ყოფილიყვნენ ჩასაფრებულნი. ქართველებმა კლდეს ახალმოჭრილი მაღალი ნაძვი მიაყუდეს, ერთ-ერთი მათგანი ხეზე აძვრა. ნაძვს რომ ასცდა, ზემოთ უკვე კლდის სლიპინა ზედაპირი იწყებოდა. მოხალისე ხელის ცეცებით ეძებდა კლდეზე მხოლოდ მისთვის შესამჩნევ ნაპრალებსა და ღრმულებს. სწრაფად



მიაღწია ჰაერში გადმოშვერილ ხის ფესვებამდე, მათზე აიწია და ტყეში გაუჩინარდა. სროლები შეწყდა, სიჩუმე ჩამოვარდა. ნელ-ნელა გადიოდა მტანჯველი მოლოდინის წუთები, უეცრად მაუზერიდან სამი გასროლა გაისმა და ტყის სიღრმიდან გმირი მოხალისე გამოჩნდა, რასაც დიდი ოვაციები მოჰყვა მებრძოლთა რიგებში, რომლებიც მეგობარს კლდის ძირში ელოდნენ. მოხალისე მაშინვე შებრუნდა ტყეში. ცოტა ხანში, თოკით სამი სნაიპერული შაშხანა ჩამოუშვა, მცირე ხანში კი, კიდევ ერთი ნადავლი ტყვე, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ სამ რუს სნაიპერთაგან, რომლებმაც ცოტა ხნის წინ ათი ქართველი მეომრის სიცოცხლე შეიწირა.

როგორც გაირკვა, ტყვე და კიდევ ორი მოკლული რუსი სნაიპერი ბოლშევიკების გამოგზავნილნი იყვნენ სომეხი დაშნაკების დასახმარებლად. ტყვე სნაიპერი და ქართველი მთამსვლელის მიერ მაუზერით ტყეში ჩაცხრილული ორი სნაიპერის საბუთები გენერალ მაზნიაშვილს გადაეცა. ახლა კი მის წინაშე იდგა იმ დღის გმირი.

– სად ისწავლეთ კლდეზე ცოცვა და მიზანში სროლა? – ჰკითხა გენერალმა.

– თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სპორტჯგუფ „შევარდენში“, სროლა კი დიდმა პაპამ, ნიკა მაჩაბელმა მასწავლა, თქვენო ბრწყინვალებავ! – უპასუხა ახალგაზრდამ და დამუშტული მარჯვენა მკერდთან მიიდო.

– ვიცი, და არა მარტო ვიცი, კარგადაც ვცნობ მის ხელწერას... გადაეცით ჩემგან დიდი მადლობა თავად მაჩაბელს თქვენი აღზრდისათვის. გილოცავთ სამშობლოს ჯილდოს. – გენერალმა ახალგაზრდა მებრძოლს გულზე დააბნია წმინდა გიორგის ჯვარი და მოხალისეს მხედრულად მიესალმა.

– ვემსახურები საქართველოს! – მკერდთან მიიდო დამუშტული მარჯვენა და მხედრული სალმით უპასუხა მიხეილ მაჩაბელმა.

ეს ჟესტი ნაცნობი იყო გენერლისთვის, ასე ესალმებოდნენ ერთმანეთს ქართველი „შეფიცულები“ ფიცის წარმოთქმისას...

მიიღო რა უკანდახევის ბრძანება, გენერალი შინაგანად აჯანყდა. წლების შემდეგ, პარიზში გამოცემულ ქართულ გაზეთში მაზნიაშვილი წერდა: უკანდახევისა და საქართველოს დედაქალაქის უბრძოლველად დატოვების მოღალატეობრივი გადაწყვეტილება მიიღეს შტაბის გენერლებმა და მთავრობის მეთაურმა, – მათ დასაღუპად გასწირეს საქართველოს მეომრები, რომლებმაც უსასტიკეს ბრძოლებში გამარჯვება მოიპოვეს ბოლშევიკური რუსეთის რამდენიმე არმიაზე, რომლებიც ხუთი მხრიდან უტევდნენ და გუდავდნენ თავისუფლებისმოყვარე ქვეყანას. იმის ნაცვლად, რომ ბრძოლით მოპოვებული შეენარჩუნებინათ და შეტევაზე გადასულიყვნენ ყველა ფრონტის მიმართულებით, მათ ბრძოლის შეწყვეტის ბრძანება გასცეს, რათა გაქცეული მტრისთვის ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. გამარჯვებულ ქართულ ჯარს კი უბრძანეს, მტრის დევნა შეეწყვიტა, მცხეთისკენ დაეხია და ქვეყნის დედაქალაქი უპატრონოდ, მტრის საჯიჯგნად მიეტოვებინათ...

გენერალი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. მხოლოდ ნახევარსაათიანი წვალების შემდეგ შეძლო გენერალურ შტაბთან დაკავშირება. სამწუხაროდ, დეპეშის სიზუსტე უკანდახევის შესახებ შტაბში დაუდასტურეს... ტექსტის ეს გადაწყვეტილება ძალზე საეჭვოდ გამოიყურებოდა, ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა არსებული ვითარებიდან გამომდინარე ლოგიკას. ამ ყველაფერს ღალატის ელფერი დაჰკრავდა.

23 თებერვალი ქართული არმიის მნიშვნელოვანი გამარჯვება ყველა ფრონტზე. ქართული ჯარის გამარჯვებით მოზეიმე თბილისელებით გარშემორტყმულმა 1500 მეტმა დატყვევებულმა რუსმა, – რამდენიმე გენერალმა და ოფიცერმა, ჯარისკაცებმა, გოლოვინსკზე სირცხვილის დერეფანი გაიარეს, 24 თებერვალი – ქართველები კვლავ წარმატებით ფლობენ საომარ ვითარებას, გამარჯვებას, გამარჯვება მოსდევს. მათ ტყვედ აჰყავთ რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი საარტილერიო პოლკი სრული შეიარაღებით, რამდენიმე ასეული ოფიცერი და ჯარისკაცი... და უცებ, უკანდახევის ბრძანება... რატომ?

რა თქმა უნდა, უცებ, შეუმზადებლად, არაფერი ხდება! უეჭველია, ეს ღალატია!.. გაქცევა, მთავრობის ევაკუაცია წინასწარვე იყო ჩაფიქრებული... უბრალოდ, არც რუსები, არც საქართველოს მენშევიკური მთავრობა არ ელოდა, რომ ქართული შეიარაღებული ძალები გაიმარჯვებდნენ, ამიტომაც საქართველოს ქონება – ფული და ძვირფასეულობა, რუსებთან შეთანხმებით, წინასწარ გაიგზავნა საფრანგეთში.“ ვთქვათ და გენერალ მაზნიაშვილს ჟორდანიას ბრძანება არ შეესრულებინა, ბრძოლა განეგრძო და გაემარჯვა. რას უპასუხებდა ჟორდანია კითხვებზე, რესპუბლიკის ხაზინის, ქვეყნის სავალუტო და ოქროს ფონდების შესახებ.? ეს დოკუმენტაცია, ქვეყნის ქონებასთან ერთად, ემიგრაციაში წასულმა საქართველოს მთავრობამ თან გაიყოლა. რაც შეეხება რარიტეტებს, ხელნაწერებს, უძველეს წიგნებს, ისტორიულ ფასეულობებს, ვითარება მალევე გაირკვა. მის გასატანადაც თადარიგი ადრევე დაეჭირათ. ერთ სატვირთო ვაგონში მოთავსებულ საქართველოს ჭეშმარიტი განძის დასაცავად კი მხოლოდ ერთი თოფი აკმარეს ღვაწლმოსილ მეცნიერს, ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს, ღამით, ვაგონთან რომ ეყარაულა?! მას იმ ღამით, ალბათ, პირველად ეჭირა ხელში იარაღი. მხოლოდ ეს ფაქტიც კი საკმარისზე მეტია, რათა იმდროინდელი ქვეყნის მეთაურთა განწყობა და ფასეულობათა აღქმა წარმოვიდგინოთ...

მაშასადამე, მენშევიკური ხელისუფლება საფრანგეთში გასაქცევად წინასწარ ემზადებოდა და ამის შესახებ ბოლშევიკებთან იყვნენ გარიგებულნი... როგორც შემდგომ გაირკვა, ქართულ ემიგრაციაშიც არ იყო ერთიანი აზრი, იქაც ლაპარაკობდნენ თბილისიდან ევაკუაციის მცდარ გადაწყვეტილებაზე, სავარაუდო ღალატზე, ქართული ინტერესების გაყიდვაზე....

ამ ყველაფრის უშუალო მონაწილე, პოლკოვნიკი სტოკი წერს, საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება პარტიულ (რუსულ) ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეროვნულს... ეს, ის უსამართლოდ დავიწყებული, საქართველოს მოამაგე კაცია, ვინც 1920 წლის ივლისში ანტანტის სახელმწიფოების სახელით, ბათუმი საქართველოს გადასცა...

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარედ ყოფნისას, ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში შეკითხვაზე: თქვენი პარტიულობა? ქვეყნის მეთაურმა სიამაყით უპასუხა: – ვარ რსდმპს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი...

საერთოდაც, ვინ იყო ნოე ჟორდანია?..

მაშინ გენერალ მაზნიაშვილს უკანდახევის ბრძანება რომ არ შეესრულებინა, საქართველოს ისტორია დღეს სულ სხვაგვარი იქნებოდა! – ამაზე თავად წერდა საკუთარ დღიურში გენერალი მაზნიაშვილი: „დამნაშავე ვარ, დასანაკუწებელი, ქართველი ხალხის ხელით, რომ შევასრულე უკანდახევის მოღალატეობრივი ბრძანება“.

...რეალობა კი ასეთი იყო; საქართველოდან საფრანგეთში გაიგზავნა 248 ყუთი. სტალინისა და დე გოლის მოლაპარაკების შედეგად ექვთიმე თაყაიშვილმა დაიბრუნა და სამშობლოში ჩამოიტანა სულ 38 ყუთი. დანარჩენი 210 ყუთი შეეწირა მენშევიკური მთავრობის „საჭიროებებს“.

ის დაკარგული 210 ყუთი ქართული განძისა არც არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენმა ბედოვლათობამ 1921 წელს დაგვაკარგვინა;

1. საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა.

2. საქართველომ დაკარგა ტერიტორიის ნახევარზე მეტი. საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა.

3. საქართველომ დაკარგა ერის საუკეთესო ნაწილი (ასი ათასობით რეპრესირებულის სახით).

გენერალ მაზნიაშვილს შეეძლო საქართველოს ხსნა, ისტორიის ჩარხის ქართველების გამარჯვებისკენ შემობრუნება. გამარჯვება კი ისე ახლოს იყო, მას მხოლოდ ძალაუფლება უნდა წაერთმია მათთვის, ვინც საქართველოს დაღუპვისთვის სწირავდნენ. ამისთვის გენერალს ყველა წინაპირობა ჰქონდა. მთავარია, რევოლუციებ და ომგამოვლილი ქართული ჯარი გაგებით და დიდი აღტკინებით შეხვდებოდა რუსებთან საიდუმლო კავშირებში გახლართული მოღალატე მთავრობის გაყრას და სამხედრო წესრიგის დამყარებას. ამასთანავე, მას ხელთ ექნებოდა უზარმაზარი მატერიალური სამხედრო არსენალი, რომელიც თბილისში, არსენალის საწყობებში ხელუხლებლად ეწყო: ათიათასობით ჯარისკაცისთვის სამხედრო აღჭურვილობა, იარაღი, ტყვია-წამალი, ტანსაცმელი, პროდუქტები, სამხედრო მანქანები, საწვავი, თვითმფრინავები. ამიერკავკასიის სამხედრო საწყობები ჭეშმარიტ პატრონს ელოდა... გენერალ მაზნიაშვილს შეეძლო ოკუპანტების, რუსების სასტიკი დამარცხება. ამისთვის ერთადერთი ფრაზა «Приказы не обсуждаются, а выполняются!» – მხოლოდ ეს ფრაზა უნდა დაენგრია.

ამ ყველაფერს გენერალი მაზნიაშვილი მიხვდა. მაგრამ გვიან, ძალიან გვიან.... გადაწყვეტილების მიღების სიმამაცეზე კამათისას, ნათქვამია, რომ:

სამშობლო იშვიათად აძლევს ადამიანს თავის გამოჩენის საშუალებას, სად და როგორ გამოიყენებ ამ ნდობას, – ამაშია კაცობის არსი...

***

რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მოხალისეებს შორის იყვნენ შალვა იმედაშვილი და მიხეილ მაჩაბელი. ისინი ოქროყანის სიმაღლის დაცვისას დამეგობრდნენ, ერთად გაემგზავრნენ ტაბახმელა-კოჯრის ფრონტზე, სადაც ქართველი იუნკერების მხარდამხარ იბრძოდნენ. მოგვიანებით კი, როდესაც საქართველოს მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით – დედაქალაქი დატოვა, ისინი უკანდახეულ სამხედრო ნაწილებთან ერთად გაემგზავრნენ ბათუმში. მერე, მაზნიაშვილის დაქვემდებარებაში იბრძოდნენ ქალაქ ოზურგეთის, გურიის გასათავისუფლებლად და აჭარიდან ოსმალური ჯარის ნაწილების განსადევნად...

ზაალ ბოტკოველი

„ცხოვრების მრავალწერტილი“...

სწორედ ეს სათაური შეურჩევია თავისი ახალი პოეტური კრებულისათვის გამოჩენილ ქართველ მწერალს ნუგზარ წერეთელს.

დიახაც რომ მრავალწერტილი.

რა ზუსტი, რა ზედმიწევნით ზუსტი სათაურია, ბატონებო, ზუსტი სწორედ იმიტომ, რომ მიუხედავად საკმაოდ ხანდაზმული ასაკისა, ნუგზარ წერეთელს პოეტური საფანელი არ შემოკლებია და კვლავაც ჭაბუკური შემართებით ერკინება ქართულ სიტყვას, კოჭლი იაკობივით ერკინება და ხშირად გამარჯვებული გამოდის ამ უთანასწორო ორთაბრძოლიდან. გაეცანით კრებულს და, დარწმუნებული ვარ, ამ შეფასებას თქვენც დაეთანხმებით. ასე რომ, წერტილის დასამადე ჯერ კიდევ შორია და ბატონი ნუგზარიც გულის სისხლში განბანილი სტრიქონებით კიდევ დიდხანს გაგვახარებს მის მკითხველებს.

ვინც იცნობს მას, კარგად მოეხსენება, რომ ეს შემოქმედი პოეზიით სულდგმულობს, პოეზიით სუნთქავს და სხვანაირად არსებობა არ ძალუძს. რა საოცრად გაისიგრძეგანა ყოველივე ეს გურამ გეგეშიძემ, დიდებულმა შემოქმედმა, რომელმაც თავის დროზე განაცხადა:

„პოეზია ნუგზარისთვის ყოველთვის იყო და ახლაც არის კაცობრიობის უკვდავი სული, რომელიც ღვთაებრივ სიბრძნეს, სიმშვენიერეს და ქველობას გვიქადაგებს და იდუმალ საფარველში გახვეული განუწყვეტლივ გვიხმობს თავისკენ, როგორც უზენაესი ჭეშმარიტება!. “

მართლაც, ძნელია უფრო უკეთ შეაფასო ნუგზარ წერეთლის დამოკიდებულება პოეზიისადმი, მისი არსისადმი. ვის-ვის და ამ პოეტს ხომ კარგად მოეხსენება, რომ თუ ლექსს წერ, უპირველესად იმაზე უნდა იფიქრო, შენი ნააზრევით რას იტყვის სიტყვა ქართული, მტლედ და სალბუნად დაედება თუ არა შენი ქვეყნის მარადიულ სისხლმდინარე იარებს, დაედინება თუ არა ცრემლები, რომლებსაც მთელი სამყაროს დაპყრობა ძალუძს. ამხელა ტვირთის ზიდვა, მსგავსი პასუხისმგებლობა ბევრ რამეს ავალებს შემოქმედს და, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ გამუდმებით ეძიებდეს ჯერაც უთქმელ სიტყვას, ჯერაც უთქმელ ფორმებს საკუთარი ნააზრევის გადმოსაცემად.

მთელი ცხოვრება სწამდა, უყვარდა, იტანჯებოდა, უანგაროდ, დაუზოგავად გასცემდა სიკეთეს და, მაინც, ახლა, როცა ზამთრისპირი კარს მოდგომია, როცა დარაბებს მიღმა სუსხსა და ყინვას, ქარაშოტებს გაუდგამს ფესვი, ჰგონია, წლებისგან გამოფიტული დავრჩი, რამდენი რამის გაკეთება ვერ მოვასწარიო.

უფრო და უფრო გეძალება
ფიქრი მსუსხავი,
რა გააკეთე,
რა ბილიკი გრჩება თაობის?

დიახ, თუ პოეტი, თუ ჭეშმარიტი პოეტი ხარ, ეს ეჭვი მუდმივად დაგედარება ხოლმე შემოქმედს, რომელსაც მთელი ცხოვრება ჩუმად, უდრტვინველად გივლია წუთისოფლის უღრანებში და არასოდეს შელევიხარ კაცობის და ნამუსის ქუდს. ამიტომაც ვაჟკაცურად ებრძვის ყველა ჭირსახდელს, ყველა განსაცდელს, მაგრამ სულში ჩაგუბებულ ნამქერებს როგორ ებრძოლოს, რა იღონოს მათ წინააღმდეგ, ეს კი აღარ იცის...

ეს ავისმომასწავებელი ნამქერები კი სამშობლოზე გამუდმებულმა ფიქრმა წარმოშვა. მისი საესავი ქვეყანა ხომ ყოველდღიურად გადის ბეწვის ხიდზე, იმ გულსაკლავ გზაზე, „ვია დოლოროსა“ რომ ჰქვია სახელად, წამების გზა, ჩვენმა მაცხოვარმა რომ განვლო თავის დროზე. ჰო, აღარ გამოიდარა ჩვენს მამულში, ზეცაც შავადაა შეჭმუხნილი, ქართა ლაშქარი ისე შემოგვესია, ისე წამოიზარდა ზღარბის ეკლები, თითქოს აღარასოდეს აპირებდეს ჩვენგან დახსნას.

კავკასიონს წარბი კვლავაც რისხვით შეუყრია და, ვინ იცის, მერამდენე განსაცდელს გვიმზადებს. ქარი კი ჩიტივით მიაფრენს მცირე ბუმბულივით იმედს, ცაც ჩვენს თავზე მუდამ საავდროდ გვრგვინავს და ელავს. პოეტი ხედავს, თუ როგორ ასდევნებია ბელზებელის აჩრდილი მაწანწალა ძაღლივით ივერთა მინას და მოსვენებას უკარგავს, უკვირს, როგორ ვერ გავიგენით გზა ამ ცოდვის ოკეანეში, რატომ შემოგვეცალა ლურჯი აპრილების მადლი და მირონი, რატომ ჰყვავის ბესიკის ბაღში ჭინჭარი, რატომ გაეხსნა სადინარი ზიზღსა და სიძულვილს, რატომ ემსგავსება სამშობლო ვეება გამოქვაბულს, რომელშიც სინათლის ერთი სხივიც კი ვერ აღწევს.

ბევრი ეცადე,
ბევრი ეწამე,
დარდი კი მაინც ვერ გამოლიე,
ზღვისპირ ხლართავდა
ლერწამს ლერწამი
და ზღვას ახლიდა ქარი თოლიებს.



რამდენი სევდა და დარდია ჩაქსოვილი პოეტის ამ მშვენიერ სტრიქონებში, პოეტისა, რომლისთვისაც სამშობლო მომაკვდავი გედის ფარფატა ლანდს დამსგავსებია, რომელიც ხედავს, რა გავეშებით, რა გეგმაზომიერად ცდილობენ ეშმას მოციქულნი, ფრთები დააჭრან ქართველი კაცის სურვილებსა და ოცნებას უკეთეს მომავალზე; რა მძიმედ და ცივად იხშობა სიკეთის კოდი, რა სისწრაფით მივექანებით არყოფნისაკენ, როგორ პატარავდება შაგრენის ტყავივით ჩვენი მამული. იქ სადაც სიყვარულის სურნელი ქროდა, გაუტანლობამ და ავკაცობამ დაისადგურა. რა უნდა იყოს იმაზე შემზარავი, როცა საკუთარი თვალით შესცქერი, რომ შენს მამულში მზე სწრაფად ჩადის, უფრო ჩქარა, ვიდრე ამოდის, ჰორიზონტი კი ნაბადივით გაშავებულა.

აღარ გაისმის სიმღერა დების,
და აღარც სმენას ატკბობს ურმული.
ხმალი უსაქმოდ ტალახში გდებით
დაჟანგულია და გამურული.

მწუხარებას გამოუხრავს ბებერი მუხის ქერქი და, ჰოი საოცრებავ, შესეულმა მუმლმა ლამის წამოაქციოს ჩვენი მარადიული უკვდავების სიმბოლო.

ასე როგორ უნდა ვიარსებოთ, ასე რადემდე გაძლებს ხმლებით დაჩეხილი მრავალტანჯული სული საქართველოისა? - შეშფოთებული ეკითხება საკუთარ თავს, თუ რამეს შესთხოვს არსთაგამრიგეს, ერთიანობის განცდას შესთხოვს, რაზეც დავითისა თუ თამარის ძალა და შემართება უნდა წამოიზარდოს. იცის, გმირ წინაპართა გოლიათური ძლიერი მხრებით მოვიდა მრავალტანჯული ეს ქვეყანა დღემდე. ამიტომაც ქართულმა სისხლმა ისევე უნდა იდინოს, როგორც დიდი დავითის დროს რბოდა, ისიც იცის, რომ წინაპართა სამამულო გზა ნატვრისთვალივით უნდა მოიძებნოს, რათა ძველებურად იქუხოს ქართველმა ერმა ისე მძლავრად და შემართებით, რომ ცისკიდურზე ისევ დაჩნდნენ ცისარტყელები ქართველობის გადარჩენის დასტურად. დიახ, სწორედ დიდგორიდან უნდა დაუბეროს ქარმა, მერმე გრიგალად და მეხთატეხად რომ დაატყდება თავს ყველა ქვებუდანსა და მუცლითმეზღაპრეს. იმ მწვერვალებს შენატრის, საიდანაც ფრთაგაშლილი არწივივით მოსჩანს ნოსტე, ლურჯ ნისლებში გახვეული ნოსტე, ქართველთა გმირობისა და მსხვერპლთშეწირვის ერთი უებრო ნიშანსვეტი. ეშმასთან და სატანასთან უთანასწორო ომებში პოეტს ჩვენი დიდებული ტაძრებიც ეგულება თანამოაზრედ.

ჩვენი ნუგეში და იმედი, რა მნიშვნელობა აქვს მათ სახელს, სვეტიცხოველი იქნება თუ ალავერდი, ჯვარი თუ შიომღვიმე, გელათი თუ ბაგრატი, ნიკორწმინდა თუ სამთავისი... მთავარი ისაა, რომ აქ, წმინდა სალოცავებში, დღემდეა დავანებული ქართველ გმირ წმინდანთა უკვდავი სული, ჩამუხვლის უფლებას რომ არ გვაძლევს. ამ ტაძრებში დღე ცისფრად მოკამკამე ღამეს გადაედნობა და სიწმინდის, სათნოების საუკეთესო სანატრიონს გვაზიარებს. დიახ, ქრისტეს რჯული, წმინდა ნინოს თმებით შეკრული ქრისტეს ჯვარი გადაარჩენს ღვთიშობლის წილხვდომილ ქვეყანას, რომელიც სულ ახლახან დაუსხლტა, ხელიდან ბოროტების იმპერიის მარწუხებს და ძნელად, რთულად, ნაბიჯ-ნაბიჯ უბრუნდება უფლის წიაღს, აცნობიერებს იმ ათი ცნების უზენაესობას, არსთაგამრიგემ რომ უქადაგა კაცობრიობას. დიახ, ბატონებო, უფლის წიგნი – წიგნთა წიგნი უნდა გახდეს ის უპირველესი ნიშანსვეტი, რომელზეც სწორება უნდა ჰქონდეს ქართველობას და მაშინ, როგორც ნუგზარ წერეთელი ბრძანებს, საქართველოც მყინვარწვერივით ამაღლდება და თავის წილ, თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს ცივილიზებულ სამყაროში.

ზოგი რამ ქართული მწერლობის ავთანდილზე

თუ რამეზე წუხს პოეტი, იმაზე წუხს, რომ სიყვარული დაიკარგა ამქვეყნად, რომ სიყვარულმა დაკარგა ფასი და მის ადგილზე სიძულვილი, ზიზღი და გაუტანლობა ბატონობს. ეს გარემოება მით უფრო ტანჯავს ბატონ ნუგზარს, რომ მას თავად ერთი დღეც არ უცხოვრია უსიყვარულოდ, უფრო მეტიც, სიყვარულის აპოლოგეტად რჩება და დღემდე ვერონელი მონტეგებისა და კაპულეტების ტრაგედიას პირად ტრაგედიად მიიჩნევს.

რომ ყველა გზები, დღემდე მოვლილი,
ჩემთვის თუ შენთვის იყო ნებითი,
რომ ჩვენი ლტოლვაც არის თოვლივით
უხვი,
ლამაზი
და დროებითი.

ამ მშვენიერ ლექსს თავის უსაყვარლეს მეუღლეს უძღვნის...

ასე წერა მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, ვინც უფალმა ჭეშმარიტი სიყვარულის ნიჭით დააჯილდოვა და ისე გაუშვა წუთისოფლის უღრანებში სახეტიალოდ. ნუგზარ წერეთლის ამ ღვთიურ ნიჭზე გაამახვილა ყურადღება პოეტისადმი მიძღვნილ წერილში მისმა კოლეგამ, თავადაც ჩინებულმა შემოქმედმა თამარ ჯავახიშვილმა:

„სწორედ სიყვარულია ის უმთავრესი, რითაც ნუგზარის პოეზია გვხიბლავს – დიდი, ვაჟკაცური სიყვარული უფლისა, სიცოცხლისა და მოყვასისა... ეს განაცხადი ჭეშმარიტი ადამიანის, – ვაჟკაცობის დევიზია, დიდი მგოსნების, დიდი ერისკაცების დევიზი. სიყვარულს ისე ვერ ისწავლი, თუ მისი ფესვი უფალმა არ ჩაგინერგა, დაგანათლა... ის ფესვი უთუოდ ყველას გვეძლევა, ოღონდ პოეტია ის ბედნიერი, ვინც ამ ფესვიდან მშვენიერ ნაყოფს აღმოაცენებს“.

ამ სიყვარულის, ამაღლებული, ზნეობრივად გასპეტაკებული სიყვარულის გამოვლინებად გვესახება პოეტის შთაგონებული სტრიქონები, რომლებიც მან თავისი მეგობრების: ერლომ ახვლედიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, გოგი წერეთლის, დავით ჯავახიშვილის, ნიკო ლეონიძის, გენო კალანდიას, ვახტანგ ბოჭორიშვილის, გია ნანავას, სხვათა და სხვათა ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

ახლა მივადექი მთავარ სათქმელს.

ამ წერილის სათაურში ნუგზარ წერეთელი ქართული მწერლობის ავთანდილად მოვიხსენიე.

რატომ?

იმიტომ, რომ ამ მრავალწახნაგოვან, ფართო თვალსაწიერის მქონე შემოქმედს, მშვენიერ პოეტსა და მთარგმნელს, ჩინებულ პროზაიკოსსა და პუბლიცისტს, წერეთელთა დიდი გვარის ღირსეულ შთამომავალს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში სულ რომ არაფერი შეექმნა, ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ისტორიაში მაინც დაიმკვიდრებდა ქართული მწერლობის ავთანდილის სახელს. დამკვიდრებით კი იმიტომ დაიმკვიდრებდა, რომ ათწლეულების განმავლობაში ამ ჩვენს პრაგმატიზმით, შურითა და ღვარძლით სავსე სამყაროში საარაკო თავდადებით უპატრონა მისი უპირველესი მეგობრის, უღვთოდ აღსრულებული უნიჭიერესი მწერლის გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობას. რაოდენი სითბო, ერთგულება, სევდა და ნაღველი ჩააქსოვა გურამისადმი მიძღვნილ წიგნებს, ისეთებს, როგორიცაა „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, „აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენს წინ“, „გურამ რჩეულიშვილის ლეგენდა გრძელდება“. რა მდუღარება იგრძნობა გულისა გურამისადმი მიძღვნილ ამ სტრიქონებში:

ნისლი, სქელი და რძესავით თეთრი,
აგვისტოს თვეში დაფარავს გაგრას,
გეძებთ
კვლავ სხვათა გადასარჩენად
ზღვაში შეჭრილს და უკვალოდ გამქრალს.

ასე პატრონობს, ასე ელაციცება პოეტი ზეცად ამაღლებულ მეგობართა და ძმადნაფიცთა სულებს და, კაცმა რომ თქვას, მეჩვენება, რომ სწორეედ ამაში პოვებს შვებასა და მისი არსებობის უმთავრეს დანიშნულებას. აკი არსთაგამრიგემ ასე უხვად დააბერტყა რუსთაველის ავთანდილისეული დიდი, უკიდეგანო, გაუხუნარი მეგობრობისა და სიყვარულის ნიჭი. ნახეთ, როგორ იხსენებს იმ ბედნიერ დღეებს, როცა ყველანი ერთად იყვნენ და ოცნების კოშკებს აგებდნენ.

იმდენად მნიშვნელოვანია ნუგზარ წერეთლის ღვაწლი უდროოდ და უღვთოდ აღსრულებული გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების პოპულარიზაციაში, იმდენად მნიშვნელოვანია მისი წიგნები გურამზე, რომ ამით აღფრთოვანებულმა ჭაბუა ამირეჯიბმა, საუკუნის რომანის შემქმნელმა ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ სიკეთით სავსე შემოქმედისადმი:

„გურამ რჩეულიშვილის გარდაცვალება, მე თუ მკითხავს ვინმე, მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვენი სულიერი მომავლისთვის უმნიშვნელოვანესი დანაკლისი იყო და ვითომ რა გასაკვირია, რომ მასთან ერთად გამოვლილმა სიცოცხლემ მისი მართლაც რომ საკადრისი, ნაღდი და აღტაცებული წიგნები დაგაწერინა. ბარაქალა, ნუგზარ წერეთელო, მწერალო და მარად მებრძოლო მამულიშვილო“.

მე, თქვენს მონა-მორჩილს, თითქმის არ მეგულება მეორე ისეთი მწერალი, ასეთი სასოებით, უდიდესი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის განცდით უვლიდეს „ადრე წასული კაცის ფიქრებს“, როგორც ლადო ასათიანი იტყოდა.

ნუგზარ წერეთელი პოეტია, ჭეშმარიტი პოეტი და მის გარშემო ბევრი ისეთი რამის დანახვა თუ შემჩნევა შეუძლია, რისი აღქმაც ჩვენ, რიგით მოკვდავებს, არ გვეხელწიფება, იმის დანახვა შეუძლია, თოვლი როგორ თქორავს რძისფრად ღამეს, როგორ ბელავენ მთვარის სვეტები პრიალა ხმლებით თოვლში თავდახრილ ფიჭვებს. საერთოდაც უყვარს თოვლი პოეტს და ამიტომაცაა მოხიბლული ბაკურიანის პირველქმნილ-მშვენიერებით. ათასგვარი ომებით და დაპირისპირებებით სავსე სამყაროდან გამოქცეულს, ანდამატივით იზიდავს სამოთხედ ქცეული ეს დასახლება თავისი ქათქათა და უსპეტაკესი თოვლით...

ნუგზარ წერეთლისთვის უფლის მარადი კალთასავით გადაშლილა ალაზნის ველი, საიდანაც მოფარფატე გედივით მოჩანს ალავერდი, ჩვენი რწმენისა და ქედუხრელობის სიმბოლო. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ეს რომანტიკული სულის მქონე შემოქმედი მოგზაურობის ტრფიალია და ლამის მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი, უცხოელთა ნაღვაწის შეფასებაც შეუძლია და დაფასებაც. აკი წერს კიდეც ერთგან, ვენეცია და ფლორენცია ღმერთმა უსახსოვრა კაცობრიობასო. მაგრამ მშობლიური ბალახვანი თუ ნადიკვარი, სტეფანწმინდის სანახები ყველაფერს ურჩევნია და მათ შეტრფის უპირველესად. საქართველოს წმინდა ცრემლებს აგონებს მთებიდან მოვარდნილი ქართული მდინარეები, უხარია ზამთრისგან თავდაღწეულს იმის ცქერა, თუ როგორ მიუძღვება აპრილი გამოზაფხულის ქარებს ზუსტად ისე, როგორც მწყემსი მიერეკება ხოლმე ატორტმანებულ ფარას.

ბატონ ნუგზარს, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე შემოქმედს, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს მტკიცედ სწამს, რომ ქართული მწერლობა, ადრე თუ გვიან, დაიბრუნებს უწინდელ დიდებას და ადგილს. სწორედ ამისთვის ილვწის ეს დიდებული პიროვნება, რომელიც ასე ამშვენებს მის სამწერლო ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს სამშობლოს სამსახურში უებროდ დახარჯულ პოეტს.

ლიბროკუბიკულარისტის შთანაბეჭდები

პაატა ნაცვლიშვილი

წიგნის ფესტივალეგისა

იმ დღეს, რა თქმა უნდა, წიგნის ფესტივალზე ვიყავი. 2024 წლის საერთაშორისო ფესტივალზე. წინა დღეს გაიხსნა. გუშინ სად იყავიო, – ძველმა გამომცემლებმა მომისაკლისეს. წიგნის დანახვას ველარ ვიტან-მეთქი, – მწარედ ვიხუმრე.

რომ არ მეგონა, იმდენი ხალხი დამხვდა „ექსპო ჯორჯიაში“. ჯენზის თაობის გოგო-ბიჭების სიმრავლემ სამომავლო იმედებით ამავსო. თითო და ორ-ორი წიგნი არა, მეტი მიჰქონდათ. ჩემი სტუდენტებიც ვნახე და ამან განსაკუთრებით გამახარა.

არ ვიცი, ეს მერამდენე წიგნის ფესტივალია თბილისში, ის კი ვიცი, რომ ყველას მონაწილე ვარ – დღეს უკვე როგორც მუდმივი სტუმარი, თავიდან კი როგორც ამ ფესტივალების ერთ-ერთი მასპინძელი და მონაწილე. ამ 30 წლის წინათ ფესტივალი საერთაშორისო არ იყო და ფილარმონიის ფოიეში იმართებოდა, სურათების გალერეაშიც გამართულა. მაშინ საქართველოში სულ რამდენიმე კერძო გამომცემლობა იყო. მათ შორის – ერთ-ერთი პირველი „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა“, რომელიც 1993 წელს დავაფუძნე.

სახელი ჩემს გამომცემლობას ფლამარიონისა და საბაშნიკოვის ანალოგიით დავარქვი. გვარს, რა თქმა უნდა არა, სახელობითობას ვგულისხმობ. „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა“ სულ-სულ პირველი სახელობითი გამომცემლობა იყო საქართველოში. მერე და მერე წამოვიდნენ: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, „ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა“, „ქარჩხაძის გამომცემლობა“, „ამონაშვილის საგამომცემლო სახლი“, „ზვიად კორძაძის გამომცემლობა“, „ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა“... ბაკურ სულაკაური ამათგან პირველი იყო, თქვა კიდევაც ერთ-ერთ ინტერვიუში, პაატა ნაცვლიშვილის მიბაძვით დავარქვი ეს სახელიო. ბაკურმა იმთავითვე დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ დღეს ქართული საგამომცემლო საქმე ბევრ ჩვენზე დიდ ქვეყანას შეშურდება. სწორედ ბაკურთან ერთად დავწერე მაშინ საკმაოდ ხმაურიანი საგაზეთო წერილი, „როგორ დავეწიოთ კოლუმბიას ანუ რა მანძილია უწიგნობიდან უწიგნურობამდე“, რომელიც „დილის გაზეთში“ დაიბეჭდა 1998 წლის 10 აპრილს.

ორიოდე ფრაგმენტი მინდა გავიხსენო იმ პუბლიკაციიდან:

„დასამალი არ არის და ველარც ველარავინ მალავს. დღეს საქართველო უწიგნოთა ქვეყანაა. ორ-სამწლიან საგამომცემლო ბუმს ჩვენში ამ საქმის ღრმა და ხანგრძლივი კრიზისი მოჰყვა. დღესდღეობით, საყოველთაოდ და ამაყად დეკლარირებული სტაბილიზაციის პირობებში, ეს კრიზისიც სტაბილიზებულია და თუ დროზე არ ვიღონეთ რამე, ერთ დროს ყველაზე წიგნიერი ერი ყველაზე უწიგნურ ერად იქცევა მსოფლიოში... არაერთხელ ითქვა და დაიწერა: ქართული წიგნის საქმე დაღუპვის პირასაა მისული. ქართველ მკითხველს მხოლოდ პირობითადღა ჰქვია მკითხველი, მშობლებს შვილებისათვის სკოლის სახელმძღვანელოების შეძენაც კი ვერ მოუხერხებიათ. წლების განმავლობაში საქართველოს ბიბლიოთეკებში არ შესულა ახალი გამოცემები, წიგნის მაღაზიები კი თავს არყისა და საღეჭი რეზინის გაყიდვით ირჩენენ.“

და რა შუაშია კოლუმბია?

აი, ისევ ფრაგმენტი იმ წერილიდან:

„კოლუმბიას როგორც ქვეყანას, რამდენიმე საერთაშორისო ფუნქცია აქვს: ბრაზილიის შემდეგ მას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში ყავის წარმოებით და მეექვსე – ბანანის ექსპორტით. გარდა ამისა, კოლუმბია პირველია ზურმუხტის ამოღებით და მესამე – პლატინის მოპოვებით. ამასთან, კოლუმბია ცნობილია, როგორც ნარკობიზნესის მსოფლიო ცენტრი და ლიდერი. ასეთი ოფიციალური თუ იატაკქვეშა ფუნქციების მქონე ქვეყანას, ბუნებრივია, დიდად აღარ სჭირდება სხვა დარგებში ლიდერობა, მით უმეტეს ისეთ სფეროში, როგორიც წიგნის გამოცემაა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კოლუმბია, როგორც ესპანურენოვანი ქვეყანა, იოლას გავა ესპანეთში, არგენტინაში, მექსიკაში, ჩილეში, ვენესუელაში, პერუში თუ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში გამოცემული ლიტერატურითაც, მაგრამ – და ეს ალბათ მოულოდნელი იქნება ბევრისათვის, – კოლუმბია, ვთქვათ, ზიმბაბვესთან ან იმავე რუსეთთან ერთად მსოფლიო საგამომცემლო ბიზნესის ნამდვილი სამოთხეა!.. ქვეყანაში, სადაც წიგნიერი მოსახლეობა ნაკლებია, ვიდრე საქართველოში, ყოველწლიურად 1800-მდე დასახელების წიგნი გამოდის, ოთხჯერ მეტი, ვიდრე საქართველოში... თავისთავად იბადება აქტუალური დასკვნა: კოლუმბიას ნარკობიზნესში კი არა, საგამომცემლო ბიზნესში უნდა გავეჯიბროთ“...

მე არ ვიცი, რა მდგომარეობაშია ახლა კოლუმბიის საგამომცემლო საქმე, არ მიძებნია ახალი ციფრები, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველოში არათუ თითქმის ყველაფერია თარგმნილი დიდი კოლუმბიელის მრავალფეროვანი შემოქმედებიდან, არამედ მისი წიგნები მეორე და მესამე და მეოთხე გამოცემებსაც უძლებენ. და ეს მხოლოდ მარკესს როდი ეხება. საგამომცემლო საქმე საქართველოში ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ კარგი იქნება თუ სხვა დარგებსაც მისი წყალი გადაესხმებათ. განსხვავებით კოლუმბიისაგან ეს ჩვენში სახელმწიფოს პროტექციის შედეგი არ ყოფილა, სახელმწიფოსაგან გამომცემლებს დიდი არაფერი დახმარება არ მიგვიღია, პირიქით კი – ხელის შეშლა ბევრი ყოფილა. თუ ჩვენში ეს საქმე ასე აყვავდა, უცხოური ფონდებისა და მცირერიცხოვან ენთუზიასტთა თუ მათ გარშემო შემოკრებილ თანამოაზრეთა დამსახურებაა. მიხარია, რომ იმ პირველ გამომცემელთა შორის საწყის ეტაპზე მეც ვიყავი და ჩემი ერთადერთი თანამოაზრე ჩემი კომპიუტერი იყო. მერე და მერე, რაკი დავინახე, რომ საგამომცემლო ბიზნესი უჩემოდაც დევის ნაბიჯებით მიდიოდა წინ, ნელ-ნელა ჩამოვშორდი ამ საქმეს, და დღეს მხოლოდ ხანდახან თუ გამოვცემ ხოლმე ჩემსავე წიგნებს. ახლაც „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა“ ისევ მე და ჩემი კომპიუტერი ვართ, მეტი არაფერი. თუმცა კომპიუტერი უკვე სხვაა.

მაშინ კი, როცა კოლუმბიის საგამომცემლო საქმე გაბრიელ გარსიასავით მიუწვდომელ სიმაღლედ გვეჩვენებოდა, ბაკურ სულაკაური იმ პირველ ენთუზიასტთა მიერ შექმნილი „დიოგენეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. ჯერ არ ვიცნობდი და ერთ მშვენიერ დღეს გამომცემლობა „დიოგენესგან“ წერილი მივიღე – მუშაობას იწყებდნენ პროექტზე „ვინ ვინაა საქართველოში“ და პირველი წიგნისთვის 500 ადამიანს კითხვარი გაუგზავნეს. მეც აღმოვჩნდი იმ ხუთასში და იმ პროექტის ყველა გამოცემაშიც მოვხვდი.

მერე და მერე ბაკურ სულაკაურს სხვებიც ამოუდგნენ მხარში – „ინტელექტი“, „არტანუჯი“, „პალიტრა L“, „აზრი“, „ბაკმი“, „სიესტა“... ისინი „დიოგენესთან“ და „სულაკაურის გამომცემლობასთან“ ერთად დღევანდელი ქართული საგამომცემლო საქმის მეთაურები არიან. ბაკური კი შეეშვა საგამომცემლო საქმეს, მაგრამ „სულაკაურის“ სახელი კი დატოვა. ხოლო ის „დიოგენე“ – ახალი ქართული საგამომცემლო საქმის პიონერი – კვლავაც ამ სფეროს ერთ-ერთი ლიდერია და მას კვლავაც მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი თამარ ლებანიძე ხელმძღვანელობს, რომელიც დღეს ამავე დროს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ბორდის თავმჯდომარეა.

რაც მაშინ, როცა კოლუმბიას ვეტოლებოდით, საქართველოში წიგნი გამოდიოდა წელიწადში, ყველას ვყიდულობდი და მათი რაოდენობა სამ-ოთხ თაროსაც ვერ ავსებდა. ბოლო ფესტივალების განმავლობაში კი, რაც ძალიან მჭირდება ან რაც ძალიან მომწონს, იმის მეათედსაც ველარ ვყიდულობ და მაინც შინ მიტანილს მთელი სტელაჟიც აღარ ჰყოფნის.

ამჯერად რა და როგორ მოვიტანე სახლში, მერე და მერე გამოჩნდება. ახლა კი იმას ვიტყვი, რომ ამ ფესტივალზე ორი ჩემი წიგნიც იყიდებოდა: „ამოცანები და გამოცანები გიორგი ნიკოლაძისა“ და „სიკვდილი და სიცოცხლე ვიქტორ სანეევისა“. სულ რამდენიმე დღეა, ისინი სტამბიდან გამოვიდა და ჯერ საავტორო ეგზემპლარებიც არ მიმიღია. ეს წიგნები ნაწილო ბიზნესი უჩემოდაც დევის ნაბიჯებით მიდიოდა წინ, ნელ-ნელა ჩამოვშორდი ამ საქმეს, და დღეს მხოლოდ ხანდახან თუ გამოვცემ ხოლმე ჩემსავე წიგნებს. ახლაც „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა“ ისევ მე და ჩემი კომპიუტერი ვართ, მეტი არაფერი. თუმცა კომპიუტერი უკვე სხვაა.

ვიკითხე, როგორ იყიდება-მეთქი და არც სხვაზე უკეთ და არც სხვაზე უარესადო. ჯერ არ გაუგიათ ამ ახალი სერიის არსებობა და იმიტომ-მეთქი. წიგნის მოყვარულებმა იციან – სერიას სხვა ფასი აქვს. და შეიძლება გიორგი ნიკოლაძე, ვიქტორ სანეევი ან ოთარ ქორქია რომელიმე მკითხველს ლიონელ მესიზე ან დავით ყიფიანზე ნაკლებად უყვარდეს და იცოდეს, მაგრამ სერია – სერიაა! ფეხბურთი მეც სპორტის ყველა სხვა სახეობაზე მეტად მიყვარს, მაგრამ ლეგენდები ლეგენდები არიან სპორტის ნებისმიერ სახეობაში. ამ ფოტოზე ცხრავე წიგნი არ დაეტია.

მანონ მინაშვილისა

წიგნის ფესტივალზე ცნობილმა გამომცემელმა ზვიად კვარაცხელიამ ერთი ყმაწვილი გამაცნო, სომეხიაო – უამრავ წიგნებს ყიდულობს ფესტივალზეო.

რუსულ-ინგლისურად ლაპარაკობდა. რუსულ-ინგლისურად დაველაპარაკე. მართლა ბევრ წიგნს ვყიდულობო. ნაწილს ერევნის ბიბლიოთეკებისთვის, ნაწილს კი ჰარვარდის ბიბლიოთეკისთვის. ვინ იხდის ამ ყველაფრის საფასურს-მეთქი. სახელმწიფოო. რასაც ჰარვარდში ვაგზავნით, იმას ჰარვარდი იხდისო. ყოჩაღ, სომხეთი. ჩვენ რომ გავაგზავნოთ ჰარვარდში ქართული წიგნები, უკეთესი არ იქნება? ადრე წინა ფესტივალებზე ერთი ქალი დადიოდა ამ საქმეზე, იმან ქართულიც იცოდა და კარგად არჩევდა წიგნებს, რა იყო სომხეთისთვის აუცილებელი და რა არა. ვწერდი კიდეც ამის შესახებ. მაშინ „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობასაც“ ჰქონდა თავისი სტენდი. ჩემი რეპორტაჟი კი იმ ფესტივალიდან გაზეთ „ბიბლიოთეკაში“ დაიბეჭდა 2003 წლის ივნისში სათაურით „მე წიგნზე ვზივარ“:

„სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას თავისი წარმომადგენელი ჰყავს საქართველოში, რომ ახალი არაფერი გამორჩეთ. დადიოდა ეს ქალბატონი სტენდიდან სტენდზე ვეება სიით ხელში და ყიდულობდა ქართულ წიგნებს. ჩემი თითქმის ყველაფერი შეიძინა, ზოგიერთი ორ-ორიც კი. ერთ წიგნს ვერ შეწვდა, ეძვირა. ძვირი იყო და ეძვირებოდა აბა რა იქნებოდა. თანაც ძალიან ძვირი იყო. დაგვიკელითო, გვთხოვა, არ დავუკელით. საქმე შემდეგში გახლავთ: იმის მიუხედავად, რომ ფესტივალის გახსნაზე ხანდაზმულმა პოლიტიკოსმა მიხეილ სააკაშვილმა ახალგაზრდა მწერლად მომიხსენია, შარშან ოქტომბერში 50 წელი შემისრულდა. ამასთან დაკავშირებით ჩემმა კოლეგამ, „დილის გაზეთის“ რედაქტორმა მანანა კარტოზიამ გულუხვად დამასაჩუქრა: ერთ წიგნად გამოსცა ყველაფერი, რაც მე „დილის გაზეთში“ დამიბეჭდავს. ძალიან ლამაზი წიგნი გამოვიდა, შესანიშნავად დასტამბული, 352-გვერდიანი. მერე აიღო მანანამ და ეს წიგნი უნივერსიტეტში გამართულ ჩემს იუბილეზე მოსულ სტუმრებს უფასოდ დაურიგა. მეც მომცა გარკვეული რაოდენობა და მეც ვარიგე და ვარიგე, ისე რომ, სახლში რამდენიმე ცალიღა დამრჩა. ჰოდა ამ წიგნის ორი ეგზემპლარი გავიტანე ფესტივალზე – სტენდი გავალამაზე. არ მინდოდა, რომ გაყიდულიყო და შეუსაბამოდ მაღალი ფასი დავადე – 25 ლარი! სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ამ წიგნს ვერ შესწვდა, მაგრამ ფესტივალის ბოლო დღეს ერთი ცალი, ჩემდა სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, მაინც გაიყიდა. ერთმა კაფანდარა გოგომ იყიდა, ალბათ სტუდენტმა. როგორც მერე ჩემმა თანამშრომლებმა მითხრეს, ეს გოგო თურმე მთელი ოთხი დღე უტრიალებდა ამ წიგნს, ბოლოს, აკი გითხარით, ეყიდა და სტენდთან მელოდებოდა ავტოგრაფისთვის. მანონ მინაშვილი ყოფილა. ჩემგან ყველაზე გონივრული და ზნეობრივი საქციელი იქნებოდა, გადახდილი ფული უკან მიმეცა, მაგრამ მე ეს არ გამიკეთებია. ჯერ ერთი გავოგნდი და მეორეც – გავამაყდი. განა რომელი ჟურნალისტის, გნებავთ მწერლის, წიგნში იხდიან ამდენ თანხას საქართველოში? გურამ დოჩანაშვილის „ლოდი ნასაყდრალიც“ კი ფესტივალზე ამის ნახევარი ღირდა!

მანონ მინაშვილს კი დღეის შემდეგ ყველა ჩემს ახალ წიგნს საჩუქრად მივართმევ. ავტოგრაფით. მე მისი მისამართი არ ვიცი, ეს გაზეთი მას ხელში შეიძლება არ ჩაუვარდეს და მკითხველს ვთხოვ, თუ ვინმე იცნობს, ხმა მიაწვდინოს! სანამ ასეთი ახალგაზრდები იქნებიან საქართველოში, ქართულ წიგნს, ქართულ ენას და საქართველოსაც ვერავინ ვერაფერს დააკლებს. სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ჩემს წიგნს ვერ შესწვდა, იგი ქართველმა ახალგაზრდამ მანონ მინაშვილმა იყიდა.

ოთხი ათეული წელიწადია წიგნზე ვზივარ და ასეთი ამაყი და იმედიანი არასოდეს ვყოფილვარ.“

მას შემდეგ 21 წელიწადი გავიდა და მანონ მინაშვილი არ გამოჩენილა. მაშინ ფეისბუქი არ იყო, მე კი ახლა ამ ამბავს ფეისბუქზეც გამოვაქვეყნებ და იქნებ ბოლოს და ბოლოს მოიძებნოს ის კაფანდარა გოგო, ალბათ უკვე ბებია, რომელმაც თავის დროზე სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას აჯობა.

და თუ მანონი მოიძებნა, ჩემი მაშინდელი წინადადება ძალაშია – მას მერე კი არა მანამდეც გამოცემულ ყველა ჩემს წიგნს მივართმევ ავტოგრაფით. თუ ვინმე მის მოძებნაში მომეხმარება, ისიც თავის მხრივ რომელიმე ჩემი წიგნით დასაჩუქრდება. ფეისბუქთან ერთად აქ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველთა იმედიც მაქვს.



ვანო ჩხიკვაძე

ვბა გამოიცანი

გარეთ როგორ გამოვა,
სოროს თუ არ დაგვის,
მერე კაკლის ხახალზე
რა დაძვრება?
- თ - - - ი!

კუდში დაგდევს, ლუკმა პურს
თუ არ დაამადლი,
ისე ვინ გიერთგულებს,
როგორც ეზოს ძ - - - ი?

მოჟივჟივე ბარტყებს,
ვიდრე ფრთებს გაშლიან,
ვინ უზიდავს საჭმელს,
ვინ არ მოაშიათ?

აბა მ - - - - - - ს გარეშე,
ტვინიც რომ ვიჭყლიტოთ,
გაზაფხულს რა მოიყვანს,
რომ არ იჭიკჭიკოს?

საქათმეში ფრთამალი,
დაბრძანდება ამალით,
ყოველ დილით გვაღვიძებს
დეზიანი მ - - - - ი!

მზისგულზე რომ ნებივრობს,
თავს არიდებს ნიავს,
გამოიცან, რა კნავის,
„მიავ – მიავ – მიავ?“

უყვარს ერბო, გაჭიმავს
სიხარულით ყირას,
გამოტლეკს, თავახდილი
თუ დაგრჩება ქილა.

ფარეხიდან, მითხარი,
ჩაუფიქრდი კარგად,
სხვა რა შემოგკიკინებს
დედა ცხვარის გარდა?

თუ ალესავ, მზად არის,
გამოთიბოს სამკალი – პირი რომ უპრიალებს,
თქვი, რა ჰქვია? – ნ - - - - - ი!

გადაძოვა მინდორი,
ტყისპირები, ახო და,
ცურით რძე ვისთან მიაქვს
ძროხას საბალახოდან?

მაისში მოღაღანე,
მწვანედ თმაგაჩეჩილი,
ვიდრე დათავთავდება
თავს იწონებს ჯ - - - - ი!

ვიცი, ჩემო პატარავ,
უთქმელადაც მიხვდები,
თუკი ერთგულ მეგზურად
გეყოლება წ - - - ი,
მერე ნახავ, რა გოგო
ან რა ბიჭი იქნები!

ცოცხი

ცოცხისთვის ვინა თქვა
კვირა ან უქმე,
მორჩილად სუყველას
გუნდრუკს რომ უკმევს.

მისი სიყოჩაღე
არავის უკვირს,
აქ როცა გგონია,
იქ არის უკვე!

ნამცეცს არ დატოვებს,
მთელ ბინას ზვერავს,
სადაც ცხვირს არ შეჰყოფს
ეს მაცაცერა.

მთავარი როლი აქვს
ოჯახურ შოუში – კარადის ქვეშ ნახეთ,
სანოლქვეშ მოუსვით.

დაკარგულ საფულეს,
„სამგზავროს“, საყურეს,
მხოლოდ ეს პოულობს – ქებას იმსახურებს.

ასეა, ყველა რომ
გარბის და გამორბის,
არ აგვიანებენ
ცოცხების წყალობით.

როცა ჩათავდება
ლხინი და ქორწილი,
აივნის კუთხეში
დაღლილებს, მორჩილებს,
მანამდე ჩამოთვლემთ, – უკვირთ და აეჭვებთ,
დაკარგულ სინდისს რომ
არავინ დაეძებს!

დღედაღამ შრომაში – ასეთი ბედი აქვთ,
როდესაც ესენიც
ჩამობერდებიან,
მივიწყებულებს და
მწარე ფიქრებიანს
ერთხელაც ზღაპრეთის
კეთილი ბებია,
სათნო ჯადოქარი
ეწვევა აივანს,
გულში ჩაიკრავთ და
თავისთან წაიყვანთ...

ორი გოჭი

ხომ გინახავთ ორი გოჭი,
ორი ცქვიტი ლოტოს კოჭი.

წარამარა, მოღრუტუნე
დედას მიეხუხებიან,
ძუძუს მიაძღებიან და
ისე გაიბურთებიან,
აღარც ჭყვიტინის თავი აქვთ,
ვეღარც გვერდზე ბრუნდებიან.

ბრაზობს დედა:
„ორივენი
მწარე სახრით საცემია,
სადმე ტლაპოს თუ მიაგნეს,
მაშინვე შიგ ჩაწვებიან.

არა სჯობდა,
სათითაოდ
დილით რომ არ დამებანეთ?
თითისტოლა ხართ და უკვე
მამას როგორ დაემგვანეთ!“

რა ქნას, როცა ვეღარა სცნობს
შეფუთულებს ლაფის ჭოჭით,
დედაა და მაინც უყვარს
ორი გოჭი – ლოტოს კოჭი.

გაბაუხოლილ წვიმა

იელვა – შეყვარებულმა
ღრუბელმა ღრუბელს აკოცა,
მოვიდა, წვიმამ, შხაპუნამ,
ხნული, მარცვალი, კალოცა,
აკურთხა მინის ბარაქა,
ჯეჯილის მოსვლა დალოცა.

ღმერთო, თუ შეყვარებულმა
ღრუბელმა ღრუბელს აკოცა,
არ მოაწყურო მინდვრები,
წვიმამ სულ ასე ნამოსა!

ობობა

ქინქლა, კოღო-ბუზებო,
სკაიპით და ტაეპით,
გაფრთხილებდით – ობობას
ქსელში მაინც გაებით.

მახეს უგებს სუყველას,
ავდარი თუ დარია,
სადაური წესია
ან რა სამართალია!

არავის ერიდება,
გმირია თუ მშიშარა,
დაბერდა და თავისი
მაინც არ მოიშალა.

არ შეიცვლის ბუნებას,
თუნდ პასუხი მოსთხოვო,
მერე რა გააკეთოს,
მახე რომ არ მოქსოვოს?!

მთვრალი ყურდღელი

ცოტა თუ არ იმყოფინე
საქეიფოდ ჭიქა ღვინო,
როგორ უნდა იხალისო,
იხუმრო ან იღიღინო!

ტყეში აქამდე ჰყვებიან
რაც ყურცქვიტას დაემართა,
ენაც, ფეხიც ერეოდა,
ედებოდა ალთა-ბალთას.

დააღვიძა ირგვლივ ყველა,
ხმა სადამდეც უწიაო,
მგელი, ტურა, ჩუმჩუმელა
მელა, თვალებპრუწიაო.

ვერაფერი შეასმინეს,
ხმას უფრო აუწიაო,
ერთი ორად მოეჩვენა – კენტი არა, ლუწიაო!

ვითომ ცეკვავს,
აქამდე რომ
თათი არ გაუშლიაო,
არ მომხდარა, შეგონება
არ შეეშვას ყურშიაო:

– გვითხარი, რა გემართება,
ცქვიტო, რა დროს „ტუშიაო?!“

ბოლოს მიხვდნენ, – განა ცოტა,
კარგა გადაკრულშიაო!

თოფოს ცხოვრება

ადგომა არ აცალა,
საძინებლის ფანჯარა,
რა უნდოდა,
კუდიან
ქარს რომ შემოუღია?!

კუდიან ქარს კი არა,
თურმე, ნიავწანწალამ,
კოპწია დედოფალი
სახლში შემოაბრძანა.

იის ფურცლის ხალიჩა
როგორ არ დაუფინოს,
გაზაფხულმა ჯერ ჩვილი
ფეფი რომ არ იტკინოს...

შენც წამოხტი, უბოძე
მოსაცვლელი კიჟი მზეს,
თოკო, დილის მერცხალი
ვიდრე შემოგჭიკჭიკებს!

ცომი და ცვეფერი

ენას ისე დაიგრძელებს,
თუ არა გაქვს ფხიზლად თვალი,
აფუვდება და ჯამიდან
ჩამოხტება საფუარი.

ბებომ მოზელილი ცომი
როცა ზვინად დააყენა,
ეგონა, რომ საფუარი
ვარცლში გააჩერებს ენას.

მაგრამ როგორც თავისთავი
ცომიც უცებ გააბრიყვა:
„აბა, ვარცლის ტყვეობაში
ვინ გაიგებს, რა ხარ, ვინ ხარ!“

მართლაც, როგორც ბებო ამბობს,
განა ყველა სანდო არის? —
ცომიც ისე გაიბერა,
როგორც ჯამში საფუარი!

გაღვივდა და გადიდგულდა,
ვარცლში ყოფნა ითაკილა,
მუცლით რომ გადმოეკიდა,
ლამის ძირს გაჭიმა ყირა.

მაგრამ ბებომ არ აცალა,
სულ მუშტებით ბუსკნა, ბუსკნა,
არ მოეშვა, ორივენი
ვიდრე კარგად არ ჩაბუსკნა.

იმის ძალაც აღრ შერჩათ,
საშველად რომ ვინმეს უხმონ –
ახი არის,
ახლა ენა
საკუთარ თავს გამოუყონ.

სერიალი

ტელესერიალებმა
ვინ არ გამოაშტერა,
თინეიჯერი ყვავი
თუ ბებერი პანტერა.

ზეცაც რომ ჩამოიქცეს,
ელვა-ჭექა-ქუხილით,
მაინც ვერ მოაცილებ
ეკრანს, მიმჯდარს კრუხივით.

რვაას ათი სერიის
ჩიკორივით ბზრიალმა,
მარტოხელა გუგულისთვის
უქმად არ ჩაიარა – ისე გამოათაყვანა,
გამო – ასე – რიალა,

რომ ვერაფრით გაიხსენა
კვერცხი, ბოლოქანქარამ,
ბოლოს ვის ბუდეში ჩადო,
ანუ ვის მიაბარა!..

ეკრანის გმირებთან ერთად,
თვითონაც რომ ბერდება,
არ ადარდებს,
მთავარია,
სერიალი გრძელდება!

ლევან ლორია

პირველყოფილი

დღეს მამა მთვრალი მოვიდა. არ მიყვარს მამა მთვრალი რომ არის, იმიტომ რომ დედას ეჩხუბება. არა, ჯერ დედა ეჩხუბება, სულ მთვრალი რატომ მოდიხარო. მერე მამაც ეჩხუბება, აბა ამდენ ღვინოს და ოტკას რომ უშვებს ქვეყანა, ვინმემ ხომ უნდა დალიოსო. ბებია გამოდის ოთახიდან და, ბავშვების მაინც მოგერიდოთო. ბაბუას ფეხები სტკივა და სიარული უჭირს, ამიტომ თავის საწოლზე წევს და ახველებს ისე, რომ ყველას გვესმის.

– მამა, სად წვიმდა? – ვეკითხები მამას. ბაბუა ეკითხება ასე ხშირად, თუ ნასვამი მოდის. მამა მიღიმის და მპასუხობს

– დათა, მალე გაიზარდე რა, რომ მერე ერთად დავლიოთ!

საბავშვო ოთახიდან კესო გამოდის. კესო ჩემი დაა. როცა რამე უნდა და ვერ წვდება, დადაო, – მეტყვის, ხელს მომკიდებს, რაც უნდა, იმასთან მიმიყვანს და თითით მიმანიშნებს, რომ მივცე. ჯერ ორი წლისაც არ არის და წესიერად ვერ ლაპარაკობს. ახლა უცებ ჯუმბერ ტყაბლაძეო, თქვა და მერე რამდენჯერმე იმეორებს: „ჯუმბერ, ჯუმბერ...“ და ცეკვას იწყებს...

– ვინ არის, ქალო, ჯუმბერ ტყაბლაძე? – ბრაზობს მამაჩემი, თუმცა დარწმუნებული ვარ, იცის, ვინც არის მწვანე დათვი ჯუმბერიც და ჟირაფი ჟოზეც – ამათ გარეშე კესო საჭმელს არ ჭამს.

– მაცდით თუ არა მეცადინეობას?! – ვამბობ მე. არადა მართლა ვმეცადინეობდი, მათემატიკის ამოცანას ვხსნიდი. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ უცებ სახლში სიჩუმე ჩამოდგა, კესომაც კი ცეკვა შეწყვიტა. ბაბუა წამოდგა და მეორე ოთახიდან გამოდის. ბებია სავარძელზე ჯდება. დედა მასთან მიდის და პულსს უსინჯავს.

– ოჰ, დათა, გამახსენე აბა რომელ კლასში ხარ?! – მეუბნება მამა.

– ღმერთო, ისიც არ იცის, შვილი რომელ კლასში ჰყავს! – ამბობს ბებია და ცივ ტილოს შუბლზე იდებს...

* * *

დღეს მათემატიკის მასწავლებელთან სერიოზული დებატები მქონდა: გვეუბნება, ნული რომ ხუთზე გავყოთ, ნულია, მაგრამ ხუთს ნულზე ვერ გავყოფთ, არ შეიძლებაო – არ მიყვარს აკრძალვები...

– სრული აბსურდია, იზო მასწ! – სისულელე უფრო მეგონა, მაგრამ დავინდე მთელი მათემატიკა.

– რატომ, დათა?

– მას, მინდა ამ სახელმძღვანელოს ავტორი მოვძებნო და სად ვნახავ?

– რატომ?

– ეს წიგნი თავზე უნდა დავაფხრიწო!

– დათა ასე საუბარი არ შეიძლება, ეს არის ძალადობა, შენ შეგიძლია, ავტორს მისწერო შენი მოსაზრება, გაეცნობა მას, იქნებ გაიზიაროს და მადლობაც გითხრას!

– თუ არ გაიზიარა, მაშინ გამოდის, მე უნდა დავწერო წიგნი?!

– დაწერე და დაარქვი – დათას მათემატიკა! – ამბობს სესილი და იღიმის და ჩემკენ აპარებს თვალს. ვიცი, რა მათემატიკაზეც საუბრობს. სესილი, უნდა გამოვტყდე, ძალიან მიყვარს, თუმცა სხვებსავით სისულელეები მასაც სჭირს, მაგრამ კეთილი სისულელეები. ერთხელ, მაგალითად, ნინო მასწავლებელს, ჩვენს დამრიგებელს ეუბნება: – ვარსკვლავები, ნინო მასწ, ღმერთის ღიმილიაო – თითქოს ღმერთი, მით უმეტეს გაცინებული, სადმე ენახოს. არადა სესილი ისეთი გოგოა, მარტო მისი სახელი რომ დავწერო დაფაზე ცარცით, ან რვეულში პასტით, უცებ კარგად ვგრძნობ თავს და ეს სესილიმაც იცის, ჩემმა რვეულმაც და ყველამ, მათ შორის თემუკამაც, რომელიც სულ ერთი კვირის გადმოსულია ჩვენს სკოლაში და უკვე გავაფრთხილე, სესილისგან თავი შორს დაიჭიროს. ამბავი მომიტანეს, ამ დებილმა პირველსავე დღეს შესვენებაზე თურმე სესილის უთხრა, იცი, რომ ლამაზი ხარო? სესილიმაც თურმე უთხრა, ვიციო. ხოდა თემუკამაც გაფრთხილება მიიღო ჩემგან – ამ გოგოს ხუთი მეტრის რადიუსში არ მუახლოვდე, თორემ მოგხვდება-მეთქი, იყოს ეს დათას მათემატიკა.

– დათა, გვითხარი, აბა, კონკრეტულად რა არ მოგწონს? – ფიქრებიდან მაბრუნებს იზო მასწავლებელი.

– ვინ მოიგონა, რომ ნულზე გაყოფა არ შეიძლება?

– სასკოლო პროგრამაში ასეა, თუმცა თუ შენ სკოლის დამთავრების შემდეგ მათემატიკის განხრით გააგრძელებ სწავლას, ნახავ, რომ ნულზე გაყოფის დროს უსასრულობას ვღებულობთ.

– ანუ სკოლაში ბავშვებს გვატყუებენ?!

– სასკოლო პროგრამა არ მოიცავს თემებს, სადაც ეს მტკიცდება!

– რა დამტკიცება ამას უნდა, მასწ, ხო გვითხარით, რომ ნულს თუ ნებისმიერ რიცხვზე გავყოფთ, ნულია, ისიც ხო გვითხარით, რომ რიცხვებს სასრული არ აქვს, ანუ გამოდის, ნებისმიერ რიცხვს თუ პირიქით, ნულზე გავყოფთ, უსასრულობაა...

– საინტერესო მოსაზრებები გაქვს, დათა.. ხოდა მისწერე წერილი წიგნის ავტორს...

* * *

სკოლა საუკეთესო ადგილია, მასწავლებლები ხელს რომ არ გვიშლიდნენ. რა კარგი იქნებოდა, მივსულიყავით და კლასებში მხოლოდ ბავშვები ვყოფილიყავით. გასართობებს თვითონ მოვიფიქრებდით. ჩემი კლასელები ხშირად აცდენენ, ხან გრიპი, ხან სიცხე, ხან ეს ახალი კოვიდიც, მასწავლებლები კი ერთს არ გააცდენენ, მაგარ ჯანზე არიან.

ხვალ ორშაბათია, ანუ სასწავლო დღეა. ისე სკოლა არც მასწავლებლებითაა ძალიან ცუდი, განსაკუთრებით შესვენება მომწონს, როცა ბიჭები ერთმანეთს ვუტყაპუნებთ. ხან ხუმრობით, ხან კი მიზეზიც გვაქვს. ახლა კი სერიოზული მიზეზი გვაქვს – ხვალ თემუკა უნდა გაილახოს!

დღეს ეზოში ბიჭები ფეხბურთს ვთამაშობდით. მერე ზაზა მოვარდა, სესილი დავინახე თემოსთან ერთად პარკში. ყველანი გავცვივდით. ზაზამ სადაც მიგვიყვანა, არ დაგვხვდნენ. სესილის მესენჯერში მივწერე, სად ხარ-მეთქი. სახლშიო. მერე მწერს, იმ შენმა სულელმა ძმაკაცმა ენა მოგიტანა, ხო? არაფერი მიმიწერია. კიდე მწერს, თემუკა სულ ერთი წამით შემთხვევით პარკში ვნახე. ისევ არაფერი

მიმიწერია, ის კი ვიცი, ხვალ ვიღაცას მაგრად მოხვდება – ხვალ თემუკა უნდა გაილახოს!

დილით ადრე მისულს კლასის კარებთან დამრიგებელი, ნინო მასწავლებელი, მხვდება შეწუხებული სახით. ისე სხვა დროს წვიმაა, თოვლი თუ კარგი ამინდი, სულ კეთილი ღიმილი დასთამაშებს და ყოველ დილით ისე გვხვდება, ვითომ ჩვენზე უფრო არავინ უყვარდეს და ჩვენზე უკეთესი არც არვინ ენახოს – შეიძლება ნორმალურ ადამიანს გიჟიც კი ეგონოს. ახლა კი შეწუხებული სახით მეუბნება, დირექტორთან უნდა მივიდეთ, შენთან საუბარი სურსო. გაკვირვებული მივყვები და ვიხსენებ, ბოლოს რა დავაშავე. იმას ალბათ ვერ გაიგებდნენ, რომ დღეს თემუკა უნდა ვცემო.

– მასწ, დედას გეფიცებით, ან დაფა გამეტეხოს თუ ან მინა ჩამემსხვრიოს!

– წერილი ვის მისწერე?

– რა წერილი? – ვამბობ, თან ვფიქრობ, მათემატიკის წიგნის ავტორთან ჯერ წერილი არ გამიგზავნია, არადა, მართლა ვაპირებ, ერთი რას მიპასუხებს!

– შავ ყუთში.

უცებ მახსენდება – სკოლაში პირველ სართულზე არის ყვითელი ფერის ყუთი, რომელსაც ყველა შავ ყუთს ეძახის, იმიტომ, რომ ასე აწერია – „შავი ყუთი“ – ეტყობა, იმან, ვინც დააწერა, ფერების აზრზე არ იყო. თვითონ ნინო მასწავლებელმა გვითხრა, თუ რაიმე არ მოგეწონებათ სკოლაში, ან მოგეწონებათ, შეგიძლიათ დაწეროთ, მისამართი დააწეროთ, ამ ყუთში ჩააგდოთ და ვისთანაც გინდათ, მივაო. არა მგონია, იქ ვინმე წერილს აგდებდეს, მე არ დამინახავს, ყოველ შემთხვევაში. ერთხელ, მაშინ მეხუთე კლასში ვიყავი, წერილი ჩავაგდე ყველაზე ბრძნული ტექსტით, რომელიც ალბათ ოდესმე დაწერილა. შინაარსი ახლაც მახსოვს: ბატონო განათლების მინისტრო, მოაცილეთ რა, დირექტორი და მასწავლებლები სკოლას, ისინი გვაიძულებენ სწავლას და ათას სისულელეს და ხელს გვიშლიან, რომ კარგად გავერთოთ. ბოლოს კი მივაწერე – დათა აბზიანიძე, მეხუთე კლასი...

– მობრძანდი, დათა აბზიანიძე? – მეკითხება დირექტორი. საერთოდ ისეთი კითხვების დასმა უყვარს, რისი პასუხიც იცის. მის კაბინეტში პირველად არ ვარ, ზეპირად ვიცი – კედლები სულ სიგელებით აქვს სავსე, ნეტა სად დახვეტა? დიდი მაგიდის და ბორბლებიანი სავარძლის გარდა, აქვს კიდევ წიგნების კარადა, რომელიც ისეა წიგნებით გამოტენილი, ვინმე მწერალმა ახალი წიგნი რომ დაწეროს, არ არსებობს იქ დაეტიოს. ასე რომ, მწერლებმა და პოეტებმა ცოტათი უნდა შეისვენონ და ბუნებაც მოასვენონ – წიგნების ბეჭდვას ხომ უამრავი ხე ეწირება. არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეთქვა, დათა აბზიანიძე რომ ვარ და არა ჯუმბერ ტყაბლაძე, ისედაც ვიცი.

– წერილების წერა გყვარებია, დათა აბზიანიძე!

ეს საიდან მოიტანა? ისე, არა მგონია, წერილების წერა მიყვარდეს. ამ წერილის გარდა, რაზეც ახლა დამიბარეს, ერთადერთი წერილი, რომელიც სესილის მივწერე, მას არც წაუკითხავს, იმიტომ, რომ გაგზავნამდე სულ ნაფლეთებად ვაქციე. ესეც შარშან, მეხუთე კლასში იყო. წერილის შინაარსი, რა თქმა უნდა, მახსოვს. მე, დათა აბზიანიძე, პატივს ვდებდი სესილი ბარათაშვილს, რომ ის გამხდარიყო ჩემი შეყვარებული და სავალდებულო ათი წესი მქონდა ჩამოწერილი, რომელიც უნდა შეესრულებინა. წესების ჩამოთვლა არ მთხოვოთ, სრული კატასტროფაა. ამ წესების მიხედვით, მე გამოვდიოდი მეთოჯინე, წვერგაბურძგნული კაცი, რომელიც როცა ბათუმში დედასთან და კესოსთან ერთად ვიყავი, ბულვარში ვნახე, სესილი კი თოჯინა, რომელსაც ძაფებით ათამაშებენ. მაშინ ვუყურებდი იმ თოჯინას და მინდოდა მაკრატელი მქონოდა და ყველა ძაფი გადამეჭრა და გამეთავისუფლებინა. ვკითხე კიდეც დედას, მაკრატელი თუ ჰქონდა. დედაჩემმა, რად გინდაო. დაიღალა ის თოჯინა, მინდა თავისუფლება ვაჩუქო-მეთქი. თოჯინა ხო უსულოა, სწორედ ეს კაცი ანიჭებს მას სულს და თავისუფლებასო, – მითხრა დედამ. მერე დაამატა: ეს ძაფები ხანაც მოვალეობააო. მაგრად დავიბენი. მერე ცოტა მოგვიანებით მივხვდი, რომ ძაფებმა, ანუ მოვალეობამ შეიძლება თავისუფლება წაგართვას ან, პირიქით, გაჩუქოს. დირექტორი მახსენდება, იქნებ ეს დირექტორიც თოჯინაა. ახლა კი ის ჩემს პასუხს ელის, რა მკითხა? ხო, მახსოვს.

– წერილების წერაზე დიდად არ ვგიჟდები! წელიწადში ერთი-ორი?

– აჰა, წელიწადში ერთი ან ორი და აქედან ერთი განათლების მინისტრს?

– რა, არ შეიძლება? მეგონა, ყველასთან გვქონდა მიწერის უფლება?

– შეიძლება, როგორ არ შეიძლება, მაგრამ შინაარსს გააჩნია! დიახ, ბატონო დავით, განათლების მინისტრი მირეკავს დღეს, შენს სკოლაში მოსწავლეებს დირექტორი და მასწავლებლები ზედმეტი რატომ ჰგონიათო.

ეს „ბატონო დავით“ რაღა იყო. ისე და სადმე არსებობს კი სკოლა, სადაც მეხუთეკლასელი ბიჭი სხვანაირად ფიქრობს? თუმცა ეს არ მითქვამს, რაღაცნაირად სხვებზე გადაბრალება გამომდიოდა. ესღა ვთქვი:

– ეს შარშანდელი წერილია!

– ახლა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ალბათ შენს ასაკში მეც ასე ვფიქრობდი! – ზუსტად ის თქვა დირექტორმა, რასაც სულ ცოტა ხნის წინ ვფიქრობდი და გაიღიმა. მერე აგრძელებს, ოღონდ უკვე დამრიგებელს მიმართა კითხვით.

– როგორ სწავლობს?

– ჭკვიანი ბიჭია, მათემატიკა უყვარს. ამას წინათ იზო მასწავლებელი მეუბნება, დათას მათემატიკურ ნიჭს ვატყობ, ლოგიკური მსჯელობა არ უჭირს, სახელმძღვანელოს ავტორსაც კი ეკამათება და წიგნში ჩასწორება უნდაო. მაგრამ ზოგიერთი საგნის პედაგოგი უკმაყოფილოა, რაც შეუძლია, იმას არ აკეთებსო.

– რას გააკეთებს? წერილებს წერს, სად სცალია! – ამბობს დირექტორი. – ანუ სკოლა გინდა, მასწავლებლები არა?! – ახლა ისევ მე მეკითხება.

– კი, ასეა! – ვამბობ მე.

– იცით თქვენ, ბატონო დავით, რომ ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ არსებულა, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა?

– ანუ რა გამოდის, მასწ, პირველ ბრძენს მასწავლებელი ჰყავდა, ხო?

– ასეა!

– მაგრამ პირველი მასწავლებელი ბრძენი არ იყო.

– ასე რატომ ფიქრობ?

– ბრძენი რომ ყოფილიყო, მაშინ პირველი ბრძენი ხო ის იქნებოდა!

– კი, ასე გამოდის!

– ანუ რა საჭიროა მაშინ მასწავლებელი?

– ეს ვინ ყოფილა! – იღიმის დირექტორი და ნინო მასწავლებელს უყურებს, მერე ისევ ჩემკენ ბრუნდება.

– წელსაც დაწერე რამე?

– ჯერ არა! ისე ვაპირებ ავტორებს მათემატიკის სახელმძღვანელო უნდა ჩავასწორებინო!

– იმათ რაღა დააშავეს?

– ნულზე გაყოფა არ შეიძლებაო...

მერე დირექტორს ვიღაცამ დაურეკა. ტელეფონს დახედა. გმადლობთ, შეგიძლიათ კლასში დაბრუნდეთო, – მე არა, უფრო ნინო მასწავლებელს უთხრა და ჩვენ გარეთ გამოვედით. შენთან სხვა საქმეც მაქვსო, – დამრიგებელი მეუბნება და აგრძელებს, – პირადად გავალებ, თემუკას ადაპტაციაში ხელი რომ შეუწყო და დაიმეგობროო. არაფერი მითქვამს – მოვუწყობ მე მაგას ადაპტაციას-მეთქი, – გულში გავიფიქრე.

კლასში მიბრუნებულს ეს თემუკაა თუ ვირუკა, ოთახში დამხვდა. სესილი არ იყო ჯერ მოსული. მანდატურები ამ დროს სართულებზე არ დადიან, სკოლაში შემოსასვლელ კარებთან დგანან. ბიჭებს ვეუბნები, ყველანი გაყარეთ გარეთ-მეთქი. კახი კარებთან, გარედან დადგა, ზაზა და თორნიკე ამ ვირუკას აქეთ-იქიდან ამოუდგნენ.

– ბიჭო, მომისმინე, გითხარი მე შენ, სესილის ხუთი მეტრის რადიუსში არ მიეკარო-მეთქი?!

– მითხარი! – მეუბნება თემუკა, ვატყობ, ხასიათზე არ არის.

– გუშინ ერთად დაგინახეს?

– დამინახეს!

ახლა წესით უნდა ვაფეთო, ადგილს ვარჩევ, სად ვლეწო, მაგრამ ვხედავ, თვალები უცრემლდება. კი არ ტირის ან ბღავის და რამე, მაგრამ ცრემლები მოსდის. მტირალ კაცს როგორ დავარტყა? სანამ მე გვირილობანას ვთამაშობ, „დავარტყა-არ დავარტყა“, უფრო იქითკენ ვიხრები, რომ დავარტყა კარი იღება და ნინო მასწავლებელი შემოდის, უკან სესილი და მთლად უკან კახი. სამთავრობო დელეგაციაა რა, ტელევიზორში რომ აჩვენებენ, სხვადასხვა ქვეყნის პირები და ცხვირები რომ გვეწვევიან, თან უდროო დროს. ვიღაცამ, რა ვიღაცამ, ალბათ სესილიმ ჩაგვიშვა.

– აქ რა ამბავია?! – მკაცრი ხმით იკითხა დელეგაციის ხელმძღვანელმა.

– არაფერი მასწ, ისე ვსაუბრობდით! – ამბობს ზაზა.

– ისე თუ საუბრობდით, ბავშვები გარეთ რატომ გამოყარეთ და კარები რატომ ჩაკეტეთ?

– არავინ არ გაგვიყრია, მასწ, თვითონ გავიდნენ და კარები დაიკეტა! – ეს თორნიკეა.

– ხო, მასწ, კარები ხან იკეტება, ხან იღება, ჩვენ რა შუაში ვართ! – ამბობს კახი.

– დათა, მითხარი აბა ერთი, რა ხდება?!

– სად რა ხდება, მასწ?

– ნიკარაგუაში! სად და, აქ რა ხდება, რომ ჩაკეტილხართ ოთახში, და რატომ აქვს თემუკას თვალები წითელი?

– გეომეტრიულ ამოცანას ვარჩევდით მასწ, რადიუსზე და ალერგია მისცა, აი, თემუკაც დაგვეთანხმება!

– თემუკა და სესილი გადით და დანარჩენები დარჩნენ!

სესილი და ეს ვირუკა გადიან.

– გაგიჟდით, ხო? ხალხი ხართ თქვენ? ოთხი კაცი ერთზე? დათა, სულ წყალში ჩაყარე, რაც შენზე ოდნავ მაინც



კარგი წარმოდგენა მქონდა. ვამაყობდი, კარგი კლასი მყავს-მეთქი.

– რა ხდება, მასწ? – ვამბობ მე.

– ახლა მოკეტე! ვიცი, რაც გაქვთ ჩაფიქრებული! იცოდეთ, არ გამაგიჟოთ და ვინმემ თემოს რამე არ დაუშავოს!

– რა უნდა დავუშავოთ, მასწ?

– იცით, თითოეული თქვენგანის თავისუფლება, ან თუნდაც თქვენი მუშტის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი ცხვირი.

– ცხვირსაც გააჩნია, მასწ, ზოგს დიდი ცხვირი აქვს! – ვითომ ვხუმრობ.

– მუშტსაც გააჩნია, მასწ... – ამყვა ზაზა.

– ახლა მომისმინეთ, არამზადებო, მათეს სახარებაშია, „ყველა, ვინც აიღო მახვილი, მახვილითვე დაიღუპება“, ადამიანს აქვს ენა და შეუძლია ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტა ენით.

– ხოდა, ვსაუბრობდით, მასწ! – ვამბობ მე.

– თემუკას რატომ ჰქონდა თვალები ცრემლიანი, ოღონდ არ დაიწყოთ ახლა, თვალში რაღაც ჩაუვარდა და მისთანები!

– დედას გეფიცებით, მასწ... ჩემს პატარა დას გეფიცები, თუ ხელი დამერტყას!

– ხო აპირებდით!

ვერც ერთმა ვერ ამოვიღეთ ხმა.

– ჩემი სიკვდილი გინდათ, ხო...

– არა, მასწ...

– დათა, დამპირდი, რომ თემუკას არაფერს დაუშავებ!

– მასწ, ერთს რომ ვეტყვი, ხო უნდა გაიგოს?

– მოიცა და, შენ გესმის მისი?

– რა უნდა მესმოდეს, მასწ...

– კარგი, სესილის უთხრა, ლამაზი ხარო! არ არის ლამაზი სესილი?

– არის!

– ანუ ცუდი თქვა რამე?

– არა, ცუდი არ უთქვამს, მაგრამ არ უნდა ეთქვა...

– შენ უწესებ, რა თქვას და რა არა? რომ ეუბნები, ხუთი მეტრის რადიუსში სესილის არ მიუახლოვდეო, რა ქნას ახლა თემუკამ, ხუთმეტრიანი ფარგლით იაროს?

ესეც გაუგია...

– მასწ...

– იცი, რა, მოძალადე არც სესილის ეყვარები და არც არავის... იცოდე, გავიგებ იმ ბიჭს ხელით შეეხებით, ან ვინმე შეეხება, მე თვითონ გცემ, გინდაც სკოლა დამატოვებინონ, ვერც შენი ძმაკაცები და ვერც ვერავინ ვერ გიშველის...

სულ უბრალო სიტყვების რახარუხია, თემუკაა თუ ვირუკა, უნდა იცემოს. ხო არის, ექიმი რეცეპტს რომ გამოწერს, ამ კაცს გამოწერილი აქვს ცემა. სკოლაში თუ არა, დედამიწაზე ადგილი დაილია? აი, თუნდაც ნიკარაგუაში...

გაკვეთილების მერე კარგი ძმაკაცებივით გადავხვიეთ ხელი თემუკას და ერთი კორპუსის უკან მოფარებულში, არავის რომ არ დავენახეთ, გავედით. დიდად არ გაგვძალიანებია. როგორ არის ანდაზა, ძალა აღმართს ხნავსო. ანდაზაც რა დებილურია, თუ აღმართში გიჭირს, დაღმართში ხანი. ბიჭები წინასწარ გავაფრთხილე, თქვენ ხელს არ გააქანებთ, მარტო მე ვიჩხუბებ-მეთქი.

– თუ გინდათ, მცემეთ, მაგრამ მაინც მომწონს სესილი და არც ფარგლით ვივლი! – თქვა უცებ და თვალები დახუჭა. ახლა მთავარია, არ გამეცინოს, ხომ ვამბობ, დებილია-მეთქი. ველოდები, თვალს როდის გაახელს.

– ე, ჩემი ძმა, გძინავს? – ეკითხება ზაზა.

თემუკამ ჯერ ერთი თვალი გაახილა, მერე მეორე. ისევ ცრემლი მოადგა. ამ ცრემლებმა მომსპო. როგორ მინდოდა, ერთი კარგად მეფეთებინა, არადა, როგორ გინდა, დაარტყა, კაცი ლამის ატირდეს. დაანებეთ თავი – ვამბობ. რატოო, – კახი მეუბნება. მტირალ კაცს ვერ დავარტყამ-მეთქი, – ხმამაღლა ვთქვი. ისე კი ვფიქრობ, რაღაცნაირი ტიპია ეს დებილი, ოთხი კაცი თავზე ვადექით და მაინც თავისას უბერავდა, არ ეშინოდა. წამოვედით. ის დარჩა, ცოტა გაოგნებული. დათაო, – მეძახის. მივბრუნდი, რა გინდა-მეთქი.

– სესილის მაგრად მოსწონხარ! – მეუბნება უცებ.

– ახალი ამბავი! – ვამბობ მე.

– ერთ რაღაცას გეტყვი და ბიჭებმა არ მინდა იცოდნენ, მარტო შენ გეტყვი!

– ესენი ჩემი ძმები არიან, მაინც გაიგებენ!

– მაშინ არ გეტყვი!

მაგრად შეინახე-მეთქი, – ვუთხარი. არადა ინტერესი მწვავდა, რა უნდა ეთქვა! მაინც ვერ მოვითმინე – ბიჭებო, წადით, ამ კაცთან მარტო სალაპარაკო მაქვს-მეთქი.

– რა უნდა გეთქვა? – ვეკითხები, მარტო რომ დავრჩით.

– იცოდა სესილიმ, ჩემი ცემა რომ გინდოდათ და ასე მითხრა, თუ ხელი დაგაკარეს, მით უმეტეს ოთხმა, ცხოვრებაში დათას ხმას არ გავცემო.

აბსოლუტური სისულელე, რა გულუბრყვილოა ეს თემუკა, გოგოების რა ესმის! გოგო რასაც იტყვის, უკულმა უნდა გაიგო! მაგრამ არ მითქვამს ეს. უბრალოდ მივხვდი, რომ ეს თემუკა მართლა არ იყო ცუდი ტიპი...

* * *

დილით სკოლაში წასვლამდე ვსაუზმობდით – ბაბუა არ იყო მხოლოდ, ტელევიზორთან იჯდა. მერე ისიც შემოდის და ამბობს, ომი დაიწყოო. რა ომიო, – მამაჩემმა. რუსეთი უკრაინაში შეიჭრაო, – ბაბუამ. სიჩუმე ჩამოვარდა. კესოც კი გაჩერდა, რომელიც საჭმელს რომ ჭამს, მაშინაც მღერის – ამან, რა თქმა უნდა, ომი არ იცის, რა არის. მე ვიცი. ისიც ვიცი, რომ ჩვენი ქვეყანა ახლაც ომშია და ოცი პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ანუ მეხუთედი – ესეც ვიცი! წილადებს გავდივართ ახლა. ერთხელ ღონისძიება გვქონდა სკოლაში შინდისის გმირებზე, თან დაგვავალეს ნახატები დაგვეხატა ომის თემაზე. სესილიმ საქართველოს რუკა დახატა, ბავშვები ყვავილებით როგორ შედიან მავთულხლართებით შემოღობილ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სადაც ახლა რუსი ოკუპანტები არიან.

...სკოლაში გამოაცხადეს, უკრაინელ ხალხს და ბავშვებს დახმარება სჭირდებაო, ყველამ რაღაცა მოიტანა. მე ჩემი ყულაბა გავტეხე, დიდად მაინც არ მეპიტნავებოდა ის თიხის გოჭი, რომელშიც ველოსიპედის საყიდელ ფულს ვაგროვებდი.

... ტელევიზორი აცხადებს, უკრაინაში უკვე ასამდე ბავშვია დაღუპულიო. კიდევ ერთი წერილი დავწერე და შავ ყუთში ჩავაგდე, ოღონდ მათემატიკის წიგნის ავტორთან არა, პუტინის სახელზე: პუტინო, შეწყვიტე ომი, გაიყვანე შენი ჯარები უკრაინიდან და საქართველოდან. შენ რომ სპეცოპერაციას ეძახი, ეს ომია, ბავშვები იღუპებიან, ოდესღაც შენც ხო იყავი ბავშვი? იცოდე, „ყველა, ვინც აიღო მახვილი, მახვილითვე დაიღუპება“-მეთქი. იქნებ იმანაც წაიკითხოს!

ისევ სესილის სიტყვები მახსენდება ვარსკვლავებზე. თუ მართლა ვარსკვლავები ღმერთის სიცილია, არა მგონია ღმერთს საქმე სასაცილოდ ჰქონდეს – მაშინ რატომ იქნებოდა ომები, რატომ დაიღუპებოდნენ უდანაშაულო ბავშვები? ვუყურებ კესოს, როგორ დარბის და თავის ენაზე რაღაცას მღერის, ხან ბუტბუტებს. მერე უკრაინელ ბავშვებს ვიხსენებ და მთელი მსოფლიოს ბატისტვინა პოლიტიკოსების გამო მრცხვენია.

– არავის გაძალებთ, აქაც საჭირო ხართ, უბრალოდ, მაინტერესებს, უკრაინაში საბრძოლველად ვინ წამოვა, რომ ბავშვები გადავარჩინოთ? – ვპოსტავ ჩვენი კლასის ბიჭების საერთო საიდუმლო ჯგუფში, სადაც თემუკაც დავამატე.

სამი წამიც არ იყო გასული, სწორედ თემუკა იწერება, – მეო. მერე დაემატა თორნიკე და ზაზა. კახი ან ხაზზე არ არის, ან.. ხო აქაც ხო საჭიროა ბავშვების დაცვა. კარგია, კახი რომ რჩება. სესილის ჩავაბარებ, რომ ჩემს ჩამოსვლამდე არავინ აწყენინოს. მივწერე კიდეც, შენ რჩები-მეთქი. კარგიო. მერე დანარჩენებმა მოვილაპარაკეთ, ხვალ დილით საკლასო ჩანთებში წიგნების ნაცვლად მცირე საგზალი ჩაგვეწყო და კლასის ნაცვლად ჯერ რკინიგზის სადგურში მეტროთი გავსულიყავით, იქედან კი აეროპორტამდე ავტობუსს გავყოლოდით და მერე პოლონეთის თვითმფრინავში ავპარულიყავით.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. სახლში არავის არაფერი გაუგია. ავტობუსში ბავშვების მგზავრობა უფასოა, ალბათ ასევე იქნება თვითმფრინავშიც. აეროპორტში ვცდილობთ პოლიციას თვალში არ მოვხვდეთ და მოსაცდელ სკამებზე მოკალათებული ველოდებით, პოლონეთის რეისი როდის გამოცხადდება. საგზლად რაც გვქონდა წამოღებული, ის შემოგვეჭამა და ვატყობ, კიდე გვშია – სადღაც წაკითხული გამახსენდა, ომს რომ დიდი კუჭი აქვს.

– ღმერთო, რა დავაშავე, ეს რა კლასი მყავს?!

ასე მგონია, ციდან მოდის ხმა, ნინო მასწავლებლის ხმა. ფაფუ, ჩვენი ოპერაცია ჩავარდა, მთელი დელეგაცია დაგვადგა თავზე: ნინო მასწავლებელი, სესილი და დირექტორი, რომელმაც მანქანაში გელოდებითო, თქვა და გასასვლელისკენ წავიდა. ბიჭებმა მე შემომხედეს, რა ვქნათო. რა უნდა გვექნა, ავიღეთ ჩვენი ჩანთები და ყრუ დათვის ბელებივით გამოვყევით უკან სესილის და ნინო მასწავლებელს. ერთი ფიქრი მაწუხებს, საიდან გაიგეს? არც სკოლაში რომ არ ვიყავით და არც სახლში, ალბათ კახი გამოტეხა სესილიმ, სხვა ვარიანტი არ იყო – გვაცალოს კახიმ. სესილი ნინო მასწავლებელთან დასკუპდა წინ, ჩვენ უკან ჩავეყარეთ. დირექტორი ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა, კი, აეროპორტში იყვნენო.

– ახლა ამ დროს წესით სად უნდა იყოთ თქვენ?!

გვეკითხება დირექტორი, როცა ტელეფონზე საუბარი დაამთავრა და მანქანა დაძრა, თან ისე, რომ უკან არც იხედება. ისევ ისეთი კითხვა, პასუხი ხომ ისედაც იცის – წესით სად და უკრაინაში!

– ნიკარაგუაში! – ვამბობ მე ჩუმად, გაბრაზებული.

– დათა! – უკან თავს აბრუნებს და თვალებს მიბრიალებს ნინო მასწავლებელი.

– თვითმფრინავების ახლოდან ნახვა გვინდოდა, მასწ! – ამბობს თემუკა.

– ააა, ერთი ამბობს, ნიკარაგუაო, მეორე თვითმფრინავების ნახვაო. თან მატყუებთ კიდეც?! არა რა, ნინო მასწ, ეს ბანდა უნდა დავშალოთ!

– მასწ, უკრაინაში ბავშვები იღუპებიან, დახმარება გვინდოდა! – ამოღერღა თორნიკემ.

– და თქვენ უკვე დიდები ხართ, ხო? თქვენ გგონიათ, ვინმეს თქვენთვის იქ სცალია? – ლამის ყვირის დირექტორი.

– ისე, თორმეტი წლის ხალხი მეფეებიც ხდებოდნენ და სახელმწიფოს მართავდნენ! – თქვა უცებ ნინო მასწავლებელმა.

– ქალბატონო ნინო, თქვენ ამართლებთ ამათ მოქმედებას?

– არ ვამართლებ, მაგრამ ...

– ხვალვე, ნინო მასწავლებელო, დაიბარე ამათი მშობლები, მოკიდონ ხელი თავიანთ ბავშვებს საბუთებიანად და სადაც უნდათ, იქ წაიყვანონ!

– დავიბარებ, ბატონო დირექტორო, ყველა მშობელს და მადლობას გადავუხდი, რომ ამ პატარებს ძალიან დიდი გული აქვთ! და თუ მერე ამ ბავშვებს სკოლიდან გაუშვებთ, მეც დავწერ განცხადებას და მათთან ერთად წავალ!

დირექტორმა ჯერ უკან, ჩვენკენ გამოიხედა, მერე ნინო მასწავლებელს შეხედა. მან წამიერად ჩვენ გამოგვხედა და შევნიშნე, თვალი ცრემლიანი ჰქონდა. ახლა ფანჯარაში იყურება. თემუკაც აჰყვება ახლა ალბათ – ტირილში ბადალი არ ჰყავს. ცოტა ხანს ჩუმად ვიარეთ. სესილიც კი, საერთოდ ენას რომ არ აჩერებს, ახლა ჩუმადაა და დროდადრო ჩვენ გადმოგვხედავს.

აეროპორტის გზიდან ქალაქში რომ შემოვდიოდით, დირექტორმა ხელზე დაიხედა და სამი ხდება უკვეო.

– მგელივით მშია, ნინო მასწავლებელო, აქ გზაზე ისეთი სახაჭაპურე ვიცი, თითებს ჩაიკვნეტთ, გეპატიჟებით, ბავშვებიც მოშიებული იქნებიან! – თქვა უცებ. შევნიშნე, ნინო მასწავლებელს როგორ ჩაეღიმა, ოღონდ მხოლოდ წამიერად. ისევ ჩუმად იჯდა და კვლავ ფანჯარაში იყურებოდა.

– ბავშვებო, ხო გშიათ?! – ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა დირექტორი.

ჩვენც ჩუმად ვართ.

– კარგით, ნინო მასწავლებელო, ახლა შევჭამოთ რამე, მერე დავიბაროთ მშობლები და მადლობა ვუთხრათ! – ამბობს უცებ დირექტორი. სესილი ამაზე კისკისს მოჰყვა, ხოდა, მოდი აბა და ნუ გაიცინებ.

...ეს დირექტორი მხეცი და ორანგუტანგი რომ მეგონა, კაფეში ისეთ სასაცილო სადღეგრძელოებს ამბობდა ლიმონათით, სიცილით მუცელი კინაღამ ამტკივდა. სესილი ძალიან ბედნიერი იჯდა და ფეხებს საქანელასავით იქნევდა, თან პირი ხაჭაპურით ჰქონდა გამოტენილი. ნინო მასწავლებელსაც გუნება გამოუკეთდა.

მერე დირექტორმა ყველანი სახლებთან ჩამოგვარიგა, წინასწარ პირობა ჩამოგვართვა, რომ თორმეტი კლასის დამთავრებამდე კლასიდან არსად გავიპარებოდით. ჩემი და ნინო მასწავლებლის კორპუსები მეზობლად დგას, როცა ვემშვიდობებოდი, ვეუბნები:

– ნინო მასწ, თქვენ ჩემი ყველაზე პირველყოფილი მასწავლებელი ხართ!

– ანუ ქვის ხანის ხო, დათა?

– არა, მასწ პირველყოფილი!

– და პირველყოფილი რატო?

– პირველყოფილი, ანუ უპირველესი, მასწ...

ხედი სამხრეთის მთათა

ტაო იუან მინი. მე-4-მე-5 საუკუნეების დიდი ჩინელი პოეტი. ტანის ეპოქის პოეტები მასში ხედავდნენ განდეგილსა და თრობის მოყვარულს; სუნის ეპოქის პოეტები – დაოს მიმდევარს; მინის ეპოქის პოეტები – უმწიკვლო მოხელეს; ძინის ეპოქისა – სწავლულს, ხოლო ჩვენი თანამედროვენი – გლეხკაცს.

მურმან ჯგუბურია, როგორც პოეტი და შემოქმედი, თავისი მრწამსით ახლოს იდგა იმ შემოქმედებით თავისებურებებთან, რომლებსაც ტაო იუან მინის ლექსებში ვხედავთ. ეს გახლავთ უბრალოება, სისადავე, სინათლე, ტრადიციისა და ნოვატორობის შერწყმა. ერთი სიტყვით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელი ხვდება „თავის“ ავტორს.

ამ პუბლიკაციით პატივს მივაგებთ ჩვენი ძვირფასი მეგობრის, მურმან ჯგუბურიას ნათელ ხსოვნას.

* * *

მე ცალკე სახლი არ ამიგია,
ვცხოვრობ ყველასთან ერთად,
თუმცა არ მესმის დროგის ხრიგინი
და არც ჭიხვინი ცხენთა.

ეს როგორ ხდება, თუ მკითხავს ვინმე,
მე ვუპასუხებ ასე:
სულს აქვს თავისი სახლი და მღვიმე
და მიწა რჩება განზე.

მე დავიხარე და ქრიზანთემა
მოვწყვიტე ბაღის კართან,
ავწიე თავი და დავინახე
ხედი სამხრეთის მთათა.

რა ლამაზია მთათა გრეხილი,
როცა დაისი ბზინავს
და გაწვართული ფრინველთა გუნდი
მიეშურება შინა!

აი, მე რაში ვხედავ ისევე
სინათლესა და სიბრძნეს;
მაგრამ ვერასგზით ვეღარ ვიხსენებ
იმ დავიწყებულ სიტყვებს!..

გენძის მეხუთე თვეა, დედაქალაქიდან ვბრუნდები შინ
და გუილინში მაფერხებს ქარი

მივდივარ, მივალ,
სოფელში ვბრუნდები კვლავ,
და გული მტკივა, –
შეხვედრის სურვილი მკლავს.

დაძველდა სახლი,
გამზრდელიც მოხუცდა თან,
მოწყენა მახლავს, –
ძმებს როდის იხილავს ძმა.

გზა არის გრძელი,
როდის დამთავრდება გზა,
ხშირდება ბნელი,
და მზე ეფარება მთას.

წყაროა, მთები, –
და შიში შემახებს ფრთას.
ვერაფერს ვხვდები, –
მოწყენას ვერ ვართმევ თავს.

სამხრეთის ქარი –
მიფანტავს წამი-წამ ფიქრს,
და როგორც რკალი
მეკვრება ულრანი ტყის.

ბალახი ხშირი,
მიმოკლებს მე თვალის ჩინს,
მიტომაც მწირი –
ძლივ-ძლივას მივცოცავ წინ!

ახლოა თითქოს,
და რაღაც იმგვარად მწყინს,
გული რას ფიქრობს,
ვინ უნდა მიგიხვდეს, ვინ?

ვუყურებ, ვხედავ,
სამხრეთის მთა მიდგას წინ;
ვიცოდე, ნეტა,
როსმე თუ მივაღწევ შინ!

გუიმაოს წელიწადს, ადრიან გაზაფხულზე მაგონდება
ჩემი ბეჩავი და შორეული სოფელი

აზრსა და სინათლეს
მოიცავს ეს ძველი ანდერძი:
„გიყვარდეთ სიმართლე,
ქონებას ნუ დაეხარბებით!”

ცად თვალებს ავაპყრობ,
მაგრამ ის სიმაღლე შორია;
ეს მაქვს საამაყო, –
თავი კვლავ გლეხკაცი მგონია.

თოხი მოპირული
ყანაში ხალისით ხრაშუნებს,
მიცურავს ბინული
და ფაფარს ეზოს უტყლაშუნებს.

ფუსფუსებს ნიავი,
ხან ისმის წვიმების კვარჩხალი,
გული ძგერს სიამით –
და ხნულში ღვივდება მარცვალი.

თუმცა ჯერ ადრეა,
აწონვა წლიური ბარაქის,
გარჯაშიც მადლია
და უქმად ყურყუტი არა ღირს.

ხვნაში და თიბვაში,
ყანაში როდესაც ვტრიალებ,
დრო მიდის ძვირფასი,
და კაცი არ შემაგვიანებს.

სიტყვას არ გამიბამს,
ენით არ შემირთობს აროდეს;
მწუხრზე კი ჟამი-ჟამ,
დავსხდებით და შენ გიხაროდეს!

თან ლექსებს ვღიღინებ,
თან კარებს მივხურავ ჭრიალით,
ხან ეზოს ჭრიჭინებს
ვუსმენ და ღამეა გვიანი.

ეს ლექსი შევთხზე გუიმაოს წელიწადის მეთერთმეტე თვეს
და ვუძღვნი ძინ-იუანს

ვფუსფუსებ აქ ჩემთვის,
და კარი მიფარავს ხის,
სოფელს გავემიჯნე,
აქ ვეღარ მომწვდება ის.

თვალს ვკიდებ გარემოს,
ნეტავი ვახსოვარ ვის?
არ მოდის არავინ,
მზე არი თუ ქარი ქრის...

საღამო ხანია,
ცივია ნიავი მთის,
გვიან კი თოვლი თოვს,
არ ისმის ხმაური წყლის.

დროგი არ ხრიგინებს,
ჩუმია ნაპირი ტყის,
თვალის სინათლეა –
ასე რომ მახარებს მწირს.

გვიან კი სიცივე
დაჰკრავს და ფიქრები მღლის,
შესუდრა ბაღი და
ყინვები მიზაფრავს ხედს.

ბეჩავი სახლა კი
ყრუვდება და თოვლი ცრის,
ისე ვარ, ხანდახან,
დანა ვერ გამიხსნის პირს.

და მხოლოდ ჟამი-ჟამ
გადავშლი ძველისძველ წიგნს,
მარადის, მარადის
წარსული მილესავს ფიქრს.

რაც იყო, წავიდა,
ჩივილი აღარა ღირს,
თანდათან ვეჩვევი
სოფლიურ წესსა და რიგს.

იყო პინძიანი –
და სტომაქს უვლიდა თვისს,
ჭრელია ცხოვრება,
და კაცი გაივლებს ძვირს.

რაცა ვთქვი, ისა ვთქვი,
ათასი ხერხია თქმის,
ვერც ამა სტრიქონთა
ვერავინ ამოხსნის ძირს!

* * *

არსით არავინ,
ჯოხს დავეყრდნობი და ტყეში მივალ,
ბნელია კარავი,
ვუმზერ შემოგარენს და გული მტკივა.

მთის ძირას წყაროა,
ბალახზე გადადის კამკამა ჩქერი,
ჩუმი საღამოა.
მე ვიბან ფეხებს და მშორდება მტვერი...

ღვინო გადავწურე.
საქმე მოვითავე და ვზივარ უქმად,
ქათამი გავწირე,
მე და ჩემს მეზობელს გვექნება ლუკმა.

ღამეა, ხშირდება
ბნელი და გრილია ჰაერი ღამის,
ცეცხლი დაინთება
და არ დაგვჭირდება სინათლე კვარის.

და მოდის ხარება,
და ვწუხვარ, რომ ღამე არაა გრძელი,
დრო მიექანება,
და აი, ცისკარმა გაჰფანტა ბნელი!

* * *

მზე არი, მთვარეა,
მარადი ცვლაა და შფოთია;
გარს ოთხი მხარეა,
და ქვეყნად დროებაც ოთხია.

ქარებმა დაზაფრეს,
ხეების შიშველი ტოტები,
და სცემენ დაფდაფებს,
ცვივიან, ცვივიან ფოთლები...

ო, ნორჩი სხეული,
რაც ჟამმა დახრა და დაღალა,
კულული ხვეული –
ასე რომ შემოსა ჭაღარამ.

ფიქრი გიორდება –
ჩინი გიმოკლდება მზირველი,
გზები ვიწროვდება, –
იგია ჩვენი გამწირველი.

ფუნდუკი მგონია
სახლი მშობლიური, – გუმანით,
სავალი შორია,
და ვარ წასასვლელი სტუმარი.

ავდგები, გავყვები,
გზა საით წამიყვანს, ნეტავი?
მთა მოჩანს სამხრეთით, –
იქ მელის სავანე ნეტარი.

* * *

„ქველი და რაინდი წინ გაიყურება
და უმზერს ოთხი ზღვის კიდეს,
მე ერთი მწყურია, და დედა ბუნებას
ვთხოვ, დიდხანს მაცოცხლოს კიდევ!

შვილების მოვესწრო ქვეყნად დაკაცებას,
და ერთად მოვგროვდეთ ყველა,
მყავდეს შვილთა-შვილი მრავალი, უშქარი,
და ჟამი დიოდეს ნელა.

გვერდით დოქი მედგას და ციტრა-ხმიანი,
ყალამი მეჭიროს ხელში,
ხანდახან ავივსო ჯამი და გადავკრა
შეძრულმა ბუნების ეშხით.

ვიგემო ხარება და სოფლის სიამე,
და სხვათაც ვაგემო ლხინი,
დავწვე ადრიანად და გულმხიარული
ვდგებოდე გვიანი დილით...

ან რა მესაქმება მე სხვათა ცხოვრების,
რას ვაქნევ ოცნებას სხვისას,
ცეცხლი და ყინული რომ ებრძვის
ერთმანეთს,
რომელი მიაღწევს მიზანს?

ყველა გათავდება, ყველა დამშვიდდება,
ყველას მიიბარებს მიწა,
და ვისაც ძალიან სწყურია დიდება,
მოიმკის ოთხად ოთხ ფიცარს.

* * *

მე შემოდგომის ქრიზანთემას გავცქერი ახლა:
რა არის უფრო ნაზი და კოხტა?
ყვავილებს მისას საამური სურნელი ახლავს,
მცირე ხანს ასე ვყურყუტებ ქოხთან.

მოვწყვეტ ყვავილებს და ჩავაფენ ჯამში და ვუცდი,
ვით მინელდება თანდათან დარდი,
ვიცქერი იქით, სად სამხრეთი თიმთიმებს ლურჯი,
და ვეღარ ვამჩნევ, ჟამი ვით გადის.

მარტო ვარ თუმცა და არავის არ ველი დღესაც,
მე მაინც დავცლი ამ სასმისს პირველს.
ამას დავცლი და ხელმეორედ როდესაც შევსვამ,
წახრილი დოქი ედრება ფრინველს.

მზე ჩადის მთებში, და სანახი მოიხვევს ნისლებს,
და სულიერი მიელტვის ბინას,
შინ ბრუნდებიან ჟრიამულით ჩიტები ისევ,
და ტყის უღრანში ბინული ბრწყინავს.

მე ხის კიბეზე ვზივარ ჩუმად, ვუყურებ სოფელს,
და ზუზუნებენ ლექსები გულში,
მოვშორდი ყველას, არ ვიგონებ გარდასულს ოხერს,
და ის მაქვს, რასაც ვნატრობდი გუშინ!

* * *

ინათა ოდნავ,
გავიგონე კაკუნი კარის,
მე ნაჩქარევად
ვიცვამ ტანზე... ნეტა, ვინ არის?
ამ დილა-ბნელზე
ვინ მოვიდა აქ მისი ფეხით?
მოხუცი კაცი,
მეზობელი, კეთილი გლეხი.
მას მოაქვს ძღვენი –
ძველი ღვინო, და ფიქრობს ჩემზე –
რომ არად ვაგდებ
საუკუნის კანონს და წესებს.
„ამ ძველ ქოხმახში
დგახარ შენთვის და არას დარდობ,
ნუთუ დიდების
მოსახვეჭად ეს კმარა მარტო.
კაცი კაცია, სული უდგას
და ეძებს შვებას,
მე მინდა, შვილო,
რომ შენც დაჰყვე ცხოვრების ნებას!”
„მადლობა, მამავ,
ძვირად მიღირს მე სიტყვა შენი,
მაგრამ მე მინდა
მარტოდმარტომ გავლიო დღენი.
გრძელი გზით მოვლა,
აღარაა იქნება კარგი.
თავის ურგები,
ზედმეტია სხვისთვისაც ბარგი.
მოდი, ჩამოვჯდეთ,
ღვინო ვსვათ და ვაქოთ ხორბალი,
არ დაბრუნდება
უკან ჩემი ბედის ბორბალი!”

თარგმნა
მურმან ჯგუბურიამ

ყოფიერების სავანე

ეთიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთმიმართებისათვის რევაზ სირაძის „ქართული კულტურის საფუძვლებში“

„მშვენიერება სასწაულია.“
რევაზ სირაძე

ღრმა კავშირს ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემატიკას შორის ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მიექცა ყურადღება. „ნიკომაქეს ეთიკაში“, ისევე როგორც „დიდ ეთიკაში“, არისტოტელე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სათნოების მიზანი ზნეობრივი მშვენიერებაა. სიკეთე და მშვენიერება მისთვის ერთი მთლიანობაა. არისტოტელეს ეკუთვნის ტერმინი „კალოკაგათია“, რომელიც კეთილისა და მშვენიერის თანამყოფობას ნიშნავს. „არ იქნება შეცდომა, თუ ყოვლად წესიერი ადამიანის მიმართ ვიხმართ გამოთქმას კალოკაგათია, რადგან როცა კაცი ყოველმხრივ კარგია, მასზე ამბობენ, რომ ის მშვენიერიცაა და კეთილიც. მშვენიერია როგორც სათნოება, ისე მისგან გამომდინარე მოქმედებანი“. არისტოტელეს მხედველობაში ჰქონდა ზოგადად კეთილი, რაც საყოველთაოდ კეთილია, და ზოგადად მშვენიერი, რაც ობიექტურად მშვენიერია: „კეთილია ის, ვისთვისაც კეთილი არის ზოგადი კეთილი, მშვენიერი კი არის ზოგადი მშვენიერი. აი, ასეთი კაცია კეთილიცა და მშვენიერიც. მაგრამ ვინც ზოგად სიკეთეს არ თვლის სიკეთედ, ის არ იქნება არც კეთილი და არც მშვენიერი“.

ამდენად, არისტოტელე საუბრობდა ჭეშმარიტი სიკეთისა და მშვენიერების მთლიანობაზე. მისთვის ეთიკური გულისხმობდა მშვენიერებისკენ სწრაფვას. იგი გამოარჩევდა სულიერ და სხეულებრივ სათნოებებს. სულიერს მიაკუთვნებდა გონიერებას, სიბრძნეს, სიამოვნებასა და სხვა, ხოლო სხეულებრივს – სილამაზეს, ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, ძალაუფლებას, პატივს ...

ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული კულტურის საფუძვლები“ რევაზ სირაძე ცალკე არ გამოყოფს ეთიკურის და ესთეტიკურის ურთიერთმიმართების საკითხს, მაგრამ კულტურის ცნების განსაზღვრებასა და მთელ მის კონცეფციას ქართული კულტურის საფუძვლების შესახებ, განმსჭვალავს სიკეთისა და მშვენიერების განუყოფლობის იდეა. მეცნიერის დასკვნით, „რაც ესთეტიკურია, შეუძლებელია ეთიკურიც არ იყოს. არ ვარგა ის სილამაზე, რომელსაც სიკეთე არ ახლავს“. იგი, პირველ ყოვლისა, მიჯნავს კულტურასა და ცივილიზაციას. კულტურა, განსხვავებით ცივილიზაციისგან, სულიერი ფენომენია. მისი უმთავრესი ნიშანია სიკეთე. სიკეთის გარეშე ყალიბდება ფსევდოკულტურა ან ანტიკულტურა. „კულტურა ესაა შინაგანი სიკეთით ცხოვრების უნარი, პიროვნების შინა სახე არა-მეტაფორული, არამედ არსობრივი მნიშვნელობით... არსებითად კულტურა „სულითა ხოლო საცნაურია“.

კულტურის ძირითად ნიშნად მეცნიერი მიიჩნევს პიროვნების მიმართებას სულიერი ღირებულებებისადმი, სულიერ ფასეულობათა შეგრძნების უნარს. ამ თეორიის საფუძველი კი ის არის, რომ ქართულ კულტურას არსებითად და დიდწილად განსაზღვრავს ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ქრისტიანობის არსი. „ყოველივეს სიკეთე ანიჭებს სახეს, მის გარეშე ყოველივე უსახურია და უმსგავსო, ანუ ღვთის სახეს მოკლებული“. მეცნიერის შენიშვნით, ყოფითი კულტურის ეთიკური ფასეულობაც ქრისტიანობით განისაზღვრებოდა საქართველოში, დაწყებული პურობის თანამდევი ეთიკით, დამთავრებული საქორწინო ცერემონიალური რიტუალით და ამ ყოველივეს ახლდა თავისი ესთეტიკა.

არისტოტელესეული „უმაღლესი სათნოება“, „ზოგადი კეთილი“ და „ზოგადი მშვენიერი“ ქრისტიანულ თეოლოგიაში ჭეშმარიტი სიკეთე და მშვენიერებაა, რომლებიც აბსოლუტური ერთის ძირითადი არსობრივი მსაზღვრელებია სიყვარულსა და სიბრძნესთან ერთად. ცხადია, მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი ერთმანეთს გულისხმობენ და ერთმანეთისგან გამომდინარეობენ. უმაღლესი სიბრძნე სიყვარულით მიიღწევა. ღმერთი ჭეშმარიტი სიკეთეა, ჭეშმარიტი მშვენიერებაა („მშვენიერება შეიმოსა“). მშვენიერია ის, რაც სახიერია, სიკეთეა. ჭეშმარიტი მშვენიერების განცდა საღვთო სიბრძნის წვდომის უნარს ნიშნავს. წმინდა გრიგოლ ნოსელის განსაზღვრება სიკეთის ბუნებისა თითქმის თანხვდება არისტოტელეს შეხედულებას, რომლის მიხედვით, სიკეთეს ერთი სახე აქვს, ბოროტებას – მრავალგვარი. „ჭეშმარიტი სიკეთე ბუნებით მარტივი და ერთსახოვანია და უცხოა ყოველგვარი ორმაგობისა და დაპირისპირებულთა შეუღლებისათვის, ხოლო ბოროტება ჭრელია და შენილბული“.

ძველ ქართულ ენაში „კეთილისა“ და „მშვენიერის“ სემანტიკური მნიშვნელობები ერთმანეთს ფარავს:

„კეთილი – ქველი, შუენიერი, უმჯობესი, სულნელი, კარგი, საპატიო, მხნე, საამო“ (აბულაძე 1973: 195).

„კეთილი – „შუენიერი, კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშვენიერი (აბულაძე 1973: 508).

„სახიერი – „ქველის-მოქმედი“, კეთილი, კეთილისმოქმედი, ტკბილი“ (აბულაძე 1973: 383).

„სახიერება – სიკეთე, კეთილის-მოქმედება, სიმშვიდე, მოწყალება“ (აბულაძე 1973: 385).

„შუენიერი – კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშვენიერი“;

„შუენიერება – სიკეთე, სილამაზე“.

სასულიერო მწერლობაში სიკეთე განუყოფელია მშვენიერებისგან. პერსონაჟის მშვენიერებას და მის საქმეებს მისივე ქმედებანი განსაზღვრავს. გრიგოლ ნოსელის მიხედვით, ღვთის სახიერებამ ადამიანს მიანიჭა სიბრძნე და გონიერება, ანუ მსგავსება, „ხატი თავისი საკუთარი ბუნების მშვენებით შემოსა“. ადამიანი არის სახიერი, „შუენიერი“, რამდენადაც ინარჩუნებს იგი თავის პირველსახეს, ხატობას ღვთისას. ჰაგიოგრაფის მიზანი პერსონაჟის გარეგნული იერსახის აღწერა არ არის, ამიტომაც არ გვხვდება ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში პერსონაჟთა პორტრეტები, მაგრამ წმინდანის სახე შეუძლებელია მშვენიერი არ იყოს, რადგან იგი ღვთის მადლითაა აღბეჭდილი. „წმინდანის სულიდან წამოსულ სინათლეს ძალუძს განწონოს „ჭურჭელი სულისა, სხეული, განწონოს სამოსელიც და მიეფინოს ირგვლივ. ასე იხილვება წმ. გრიგოლი, ჯავახეთის კრებაზე თავმოყრილთაგან... წმინდანი მშვენიერების მოტრფიალეა და მშვენიერია თავად“ (გ. ფარულავა). ამ მშვენიერების წყარო სულიერი საწყისია, ამიტომაც სიყვარული და სიკეთე მისგან განუყოფელია.

ცნობილია, რომ რუსთაველის ეთიკური კრედო მჭიდრო კავშირშია ესთეტიკასთან. ზნეობრიობა მშვენიერების გამსაზღვრელ ძირითად ფაქტორად გვევლინება პოემაში. მკვლევარი გიორგი ნადირაძე სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს, როდესაც შენიშნავს, რომ რუსთაველისთვის ადამიანური განცდისა და ქცევის ესთეტიკური ღირსება ემყარება ეთიკურს, ე. ი. მშვენიერია მხოლოდ ის, რაც ზნეობრივია. არც ერთი ადამიანური მოვლენა არ გამოიწვევს ესთეტიკურ მოწონებას, არ ჩაითვლება ლამაზ განცდად ან ლამაზ საქციელად, თუ იგი არ აკმაყოფილებს მორალურ გრძნობებს.

რუსთაველი ასახავს სამეფო კარის ცერემონიალურ კულტურას, მაგრამ მისთვის უპირველესად საინტერესოა ადამიანის „შინა-არსი“, ამიტომაც შენიშნავს რევაზ სირაძე, რომ „პერსონაჟების სახეთა რაობა არსებითად ვლინდება არა სამეფო კართა ატმოსფეროში, არამედ უშუალოდ ბუნების ფონზე, სამეფო პალატებიდან შორს, ცისქვეშეთში, სადაც ყოველგვარ აზრს კარგავს პიროვნებათა რეგალიები და რჩება მხოლოდ კაცად-კაცური და ქალად-ქალური ღირსებანი, რჩება ის, რაც მათ მიანიჭა ღმერთმა და არა სამეფო კარმა“.

პერსონაჟთა გარეგნულ მშვენიერებას, რომელსაც ასე ჰიპერბოლურად აღწერს რუსთაველი, მათი მსოფლმხედველობრივ-ეთიკური მრწამსი განსაზღვრავს და მათივე ქმედებები და ურთიერთობები ადასტურებს, ამიტომაც უკავშირდება მათ სახეებს მშვენიერების, სიკეთისა და ძლიერების სიმბოლოები: მზე, ლომი, ვარდი, ნათელი და სხვა... სადაც ზნეობა ნაკლოვანია, ნაკლოვანია გარეგნული ხატიც და პერსონაჟი „თვალად ნასია“.

ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობით რუსთაველი, ცხადია, ეხმიანება არისტოტელეს ზემონახსენებ დებულებას სიკეთისა და მშვენიერების მთლიანობის შესახებ, ამავე დროს, იგი აგრძელებს სასულიერო მწერლობის ტენდენციას, რომლის მიხედვით, მშვენიერებას განსაზღვრავს სულიერი სათნოებანი. საგულისხმოა, რომ გარდა ფილოსოფიური ნააზრევისა, სამყაროს ესთეტიკური წარმოდგენა აახლოვებთ რუსთაველსა და იოანე პეტრიწს.

მშვენიერება სიკეთესა და ჭეშმარიტებას უკავშირდება რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც. ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა...“ სილამაზეს სუბიექტურ ცნებად მიიჩნევს, ის არ არის „ზოგადი “ მშვენიერება, ხორციელების „ნიჭია“, ცვალებადი და წარმავალი. მშვენიერება ღვთაებრივია, უცვლელი და უბერებელი. ის სულის თვისებაა, მას მიემართება ცნებები: „ნათელი“, „უკვდავება“, „სიყვარული“, „სასუფეველი“. სწორედ მშვენიერ სულთა შორის იბადება ჭეშმარიტი სიყვარული.

ყოფიერების სახეობრივი კონცეფცია, რომელსაც რევაზ სირაძე ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად მიიჩნევს, გულისხმობს ესთეტიკური ხედვის პოტენციალს, რადგანაც ყოფიერების აღქმა სახეობრივად სხვა არაფერია, თუ არა რეალობის აღქმა ესთეტიკური კატეგორიებით. მატერიალურ საგნებსაც კი აქვთ სახეობრივი მნიშვნელობა, რადგან ყოველივე არსებული რაღაცის სახეა. ამ კონცეფციის საფუძველიც ბიბლიურია. ადამიანი – ხატი ღვთისა – თავისი არსით სახეობრივია.

ამ პრინციპით ყველაფერი წუთისოფლისეული სახეობრივია, მათ შორის დროც. წარმავალი დრო მარადისობის ხატია. მას აშინაარსებს, აზრს სძენს სიკეთე. სიკეთის გარეშე დრო ფუჭია. „ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ამქვეყნიურ მოვლენებთან, ადამიანის რაიმე საქმიანობასთან ან მთელს მის ცხოვრებასთან დაკავშირებული დროის საზრისი, მისი მნიშვნელობა უნდა განიზომებოდეს იმით, თუ ისინი როგორ მიემართება მარადიულობას, როგორ მნიშვნელობს დროის მარადიულ დინებაში და ცხოვრების შემდგომი მარადისობისათვის. ადამიანის მიერ ამქვეყნად განვლილი დრო უნდა ემსახურებოდეს მისი სულის დამკვიდრებას სასუფეველში ანუ მარადისობაში. ამიტომ ამქვეყნიური საქმიანობისათვის განკუთვნილი დრო ფასდება სიკეთით. სიკეთეა წარმავალი დროის ფასეულობის განმსაზღვრელი“. ვფიქრობთ, რომ ესაა დროის ესთეტიკაც. დრო მშვენიერია თავისი წარმავლობის გამო, მშვენიერია იმიტომ, რომ ზედროულის ხატია და იმიტომაც, რომ მისი განმსაზღვრელი სიკეთეა. სახეობრივია სივრცეც, დროისა და სივრცის მთლიანობაც და ცნება „წუთისოფელიც“, რომელიც ამ მთლიანობას საუკეთესოდ ასახავს, როგორც ენობრივი მსოფლმხედველობის შესანიშნავი ნიმუში.

ენა, ენობრივი მსოფლხედვა, როგორც „ყოფიერების სავანე“ (ჰაიდეგერი) ერის კულტურისა და ცნობიერების ამსახველია. „ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვის საფუძველია სიყვარული. ესაა „აგაპე“, სიკეთით აღვსილი სიყვარული“. ამიტომაც სათქმელი უნდა განასახოვნებდეს სიკეთეს. ადამიანს სიყვარულით აღვსილის ენა მოაქცევს ქრისტიანად, როგორც თვითონ ენის „მოქცევა“ ხდება სიყვარულით.

რევაზ სირაძემ აღნიშნულ ნაშრომში უდიდესი ეთიკური უნივერსალიები და, ამავე დროს, ქრისტიანული საღვთისმეტყველო სათნოებანი – რწმენა, იმედი და სიყვარული – ეროვნული კულტურის კონტექსტში გააერთიანა. იგი კულტურის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად როგორც პიროვნულ, ასევე ეროვნულ დონეზე იმედს მიიჩნევდა, იმედს, რომელიც ზნეობრივი ვალდებულებაა.

ქართული კულტურის შემადგენელია მითოსი და ქვეყნის ისტორია („მითოსი როგორც კულტურული მემკვიდრეობა“, „ისტორიის ესთეტიკა და კულტუროლოგია“). მეცნიერის აზრით, მითოსი სიცოცხლისუნარიანია ყველა დროში უპირველესად ესთეტიკური ზემოქმედების წყალობით, ხოლო ისტორიული მოვლენა თუ ფაქტი რჩება ერის მეხსიერებაში, აქტუალობას არ კარგავს აწმყოშიც, თუ კონკრეტულ ისტორიულ ღირებულებასთან ერთად, ეთიკური მნიშვნელობაც გააჩნია. ასეთი ფაქტები ესთეტიკურ მნიშვნელობასაც იძენენ, რადგანაც ახლავთ ამაღლებულის განცდა, ასეთია, მაგალითად, ცოტნე დადიანის თავდადება ან ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი ღვაწლი. ასეთები არიან ჩვენს ცნობიერებაში დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე.... ისინი ზოგადეროვნულ სახე-იდეებად იქცნენ.

ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობის იდეას ადასტურებს რევაზ სირაძის მიერ მშვენიერების ამგვარი განსაზღვრება: „მშვენიერება სასწაულია, ისაა იდუმალებით მოცული და მიმზიდველი „რაღაც“. ეს იდუმალება ეხსნება და ემორჩილება სულითა და ხორცით ძლიერთ, ვისაც ძალუძთ ამ სასწაულით ტკბობა. აქედანვე სათავე ედება მშვენიერებისათვის მოწამებრივ თავდადებას. და იგივე მიიყვანს ადამიანს ბევრ სასურველ და არასასურველ თავგანწირვამდე. ქვეყანას ამშვენებენ გმირები, რომელთაც უნდა იხსნან ამქვეყნიური მშვენიერება და თუ არ არსებობენ ამგვარი გმირები, მაშინ ქვეყნიერების ხსნაც აღარ ღირს“.

ლია კარიჭაშვილი
თამარ სეფაშვილი

№5

მთავარი თემა: მოთხრობის ჟანრი.

„ნაღდ ლიტერატურას სწორედ მოულოდნელობა ქმნის და ერთადერთი მოლოდინი, რაც მცირე პროზის მკითხველს აქვს, ფორმის სიწმინდეა... ამბავი განსაზღვრავს ფორმას და არა პირიქით“. – რუსუდან რუხაძე;

– მოთხრობის ჟანრი ბოლო დროს ძალიან იჩაგრება, თითქოს თვალში ეპატარავებათ, ცხვირს უბზუებენ, მაღალ ლიტერატურად არ მიაჩნიათ. – ინტერვიუ დავით გორგილაძესთან (ესაუბრა ირაკლი კაკაბაძე);

აგრეთვე:

ზვიად რატიანის ლექსი „წავიდეთ, შვილებო, – საქართველო უნდა გიჩვენოთ“;

გოგა ქობალიას მოთხრობა „მოგზაურობა ქალაქში“;

მათე ნიკლაურის წერილი ხავიერ მარიასის რომანზე „ბერტა ისლა“;

გოდე გორგილაძის მოთხრობა „მედეა და თონის პური“;

ნატო ინგოროყვას ახალი ლექსები;

დათო ტურაშვილი სამოგზაურო ჩანაწერებით;

ბუბა კუდავა, „მებრძოლი საფლავები“ – მეფეთა საძვალეების ისტორია და საქართველოს ერთიანობის საკითხი;

ნონა კუპრეიშვილის „მეფისტო და სხვები (კლაუს მანი, „მეფისტოფელი“. ერთი კარიერის რომანი)“;

ნოდარ არონიშიძე, „კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის პოლიტიკის რამდენიმე ფრაგმენტის გამო“;

ილია ჭანტურიას მოთხრობა „მკვლელები“;

ეკა ქევანიშვილის წერილი „ომში გადარჩენილი სიტყვები“. უკრაინელი მწერლის, ოსტაპ სლივინსკის „ომის ლექსიკონის“ შესახებ;

გიორგი შარაშენიძე ზაალ სამადაშვილის ახალ კრებულზე „რასაც ყველა ვერ ხედავს“.



№6

„გამოცემის შემდეგ არასოდეს წამიკითხავს ჩემი არც ერთი წიგნი თავიდან ბოლომდე, არც ვაპირებ ამის გაკეთებას“. – ამბობს არჩილ ქიქოძე თინათინ ჭავჭავაძესთან ინტერვიუში.

როგორ იქცა ობად, ანუ როგორ დაობდა სახელგანთქმული საბჭოთა მეცნიერი, იოსკას მამა, უშიშროების მაიორი. ალეკო შუღლაძის მოთხრობა.

„სხვას ეძებდნენ და მის ძებნაში მე მიპოვეს“. ანნა ჯავახიშვილის ლექსები.

ლელა კურტანიძის ლექსებიდან: „ღმერთი დროში განიბნია. რა უნდა ვაკეთო ამ უღმერთო სამყაროში!“

ისევ დათო ტურაშვილი სამოგზაურო ჩანაწერებით.

ბუბა კუდავა, „გარდაცვალების გეოგრაფია“: – საკვირველია პირდაპირ: ერთიანი საქართველოს თითქმის არცერთი მეფე არ გარდაცვლილა დასავლეთ საქართველოში. ისინი სიცოცხლეს ძირითადად აღმოსავლეთში ასრულებდნენ...

თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია ესპანურ ენაზე. შეადგინეს და თარგმნეს რუდოლფო ჰესლერმა და ლანა კალანდიამ. „პირველად გვაქვს შესაძლებლობა, ესპანურ ენაზე გავეცნოთ ზოგიერთ ყველაზე ემბლემურ ავტორს ქვეყნისა, რომელიც ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობს. ჩვენი მიზანია, – ამბობს მთარგმნელი“, – მკითხველს უცნობი სამყაროს კარი გავუხსნათ. ამ წიგნით ვცდილობთ ესპანურენოვან სამყაროში არსებული სიცარიელის შევსებას.

უილიამ გონსალესის მცირე რეცენზია-წარდგინება მკითხველთა წინაშე.

მარიამ ჯანელიძის წერილი ზაზა ბურჭულაძის რომანზე „ჩემი სიმღერა“.

დიდი ტრუმენ კაპოტე უფრო დიდი მარლონ ბრანდოს კინემატოგრაფიული ცხოვრების მემატიანე: „ჰერცოგი თავის სამფლობელოში“. როგორ მუშაობდა მსახიობი იაპონიაში, ჯოშუა ლოგანის ფილმ „საიონარას“ გადაღებაზე. ჟურნალისტური ნარკვევი თუ მოთხრობა: რა მნიშვნელობა აქვს, კარგია.

საადი შირაზელი, რამდენიმე თავი „ბუსთანიდან“. სპარსულიდან თარგმნა გიორგი ხულორდავამ.

ბესიკ ხარანაულის ლექსი „შენია სული საქართველოსი“. მეტაფორებად გადაღებული თანამედროვეობა: „წყალი არ გაიცრა, მიწა არ ამოშრა, მარილმა თითქოს არ მისცა ადგილი და ღმერთმა მიმოწმა კვლავ სიტყვა თავისი – ვითარმედ: შენია სული საქართველოსი!“

კანონი და კანონზომიერება

რომან კენკიშვილი

დღეს ქართველი ხალხი ვირტუალური სამყაროსა და ლოდინის რეჟიმში ვცხოვრობთ. ყოველივე ამ უბედურების მიზეზია უმაღლეს დონეზე აყვანილი ტექნოლოგიები: რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი. ამ ყუთებში ჩამწყვდეულ ეშმაკებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ჩვენი დედაეკლესია, რომლის უპირველესი ვალი ხალხის მაღალი ზნეობისა და მორალის შენარჩუნებასა, ვერ ახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას. იმას, რასაც ჩვენი მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლები ჰკადრებენ მართმადიდებელ ქრისტიანებს, ვერ ბედავენ და არ ჰკადრებენ მუსლიმებს. ალაჰისა თუ მუჰამედის ცუდად მოხსენიებისთვის ამ სარწმუნოებების წარმომადგენლები სიცოცხლის ფასად სთხოვენ ყველას პასუხს. ამ ბოლო დროს გახმაურებული თურქული სერიალები, რომლებსაც თვალს ვერ სწყვეტენ და ტელევიზორებს არ შორდებიან ჩვენი დიაცები და დიაც-მამაკაცები, არ მიიღო პაკისტანმა იმ მოტივით, რომ მუსლიმი ქალები ასე არ უნდა იცვამდნენ და იქცეოდნენო. ნებისმიერი მთვლემარე ადამიანისათვის მისაღებია მხოლოდ ის, რაც მისი ყურისათვის ადვილი მოსასმენი და თვალისათვის იოლად აღსაქმელია. ის იაფფასიანი პროდუქცია, რასაც დღეს ჩვენი ტელევიზიები სთავაზობენ საზოგადოებას, მომხმარებელი პირდაპირ, გადამუშავების გარეშე ღებულობს. ყველაზე დიდი ბოროტება, რასაც ეს ტელევზიები სჩადიან, არის ისედაც ორად გახლეჩილი საზოგადოების კიდევ უფრო გაყოფა. მოძებნიან დაპირისპირებულ მხარეებს შემოსხამენ მაგიდასთან და იწყებენ ბჟუტურს. ნეტავ თუ უნახავს ვინმეს ამ ბჟუტურით გაკეთებული და გამოსწორებული საქმე.

მაინც, რით გვმოძღვრავენ ეს ჩვენი სასიქადულო რადიო-ტელევიზიები?

ბევრი რამ უდევთ „სამოძღვრებო“ პროგრამებიდან. მათგან მთავარია პიროვნების თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია, დემოკრატიზმი.

პიროვნების თავისუფლება. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენ, ქართველებს, გვაქვს გამოთქმა – გიჟი თავისუფალია. ჩვენი სომეხი მეზობლების შეფასებით, ქართველები უფრო გიჟვრაცუები ვართ. ისინი მართალი არიან, მათ თვალში ასეთნაირად გამოვიყურებით. თუ რატომ, ამას შემდგომში მოგახსენებთ. რაც შეეხება თავისუფლებას, ქართველი კაცი არასდროს ყოფილა თავისუფალი, მას ყოველთვის თან სდევდა უდიდესი მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე, მოვალეობა წინაპრის წინაშე, ოჯახის, მშობლის, შვილის, სალოცავის, მეგობრის, მეზობლის, მიწის, მამულისა და ასე შემდეგ, უსასრულოდ. ქართველ კაცს არასდროს არ ჰქონდა ასეთი დიდი ფუფუნების უფლება – თავისუფალი ყოფილიყო. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ორგანულად, გაუცნობიერებლად იჯდა ქართველი კაცის გენში. სწორედ ამ გენმა და მოვალეობებმა მოიყვანა ჩვენი ერი და ქვეყანა დღემდე.

დროის ამ პატარა მონაკვეთში, დემოკრატიის მშენებლობის პერიოდში რა მოვახერხეთ და რა თავისუფლება მივეცით ადამიანებს? გავათავისუფლეთ სამშობლოს წინაშე მოვალეობებისგან, ქვეყნის ტერიტორიები დაკარგული გვაქვს, ჩვენ სხვა ქვეყანაში ვაომებთ ჩვენს ბიჭებს, ქვეყანა დანგრეული გვაქვს, ჩვენი ხალხი სხვას უშენებს ქვეყანას. ერი გასამრავლებელია, სოფლები დაცლილია, ჩვენი ულამაზესი ენის მაგივრად სხვა ენებს ვამკვიდრებთ, ქრისტიანული ცხოვრების წესის ნაცვლად სხვა გაურკვეველ წესებს ვიღებთ. რასაც კაცობა ერქვა და ვამაყობდით, რაც ძნელი სატარებელი იყო, იმისგანაც გავათავისუფლეთ პიროვნება. საშოვარზე გაგზავნილი ცოლების, დების, დედების გამოგზავნილი ფულებით ნაყიდი მანქანებით დავგრიალებთ და თავს ვიწონებთ, მოხუც დედ--მამას უპატრონოთა სახლებში ვაბარებთ ან სულაც ქუჩაში ვყრით. ამასთან დაკავშირებით, მახსოვს, იყო ასეთი მოთხრობა (დაწყებით კლასებში გვასწავლიდნენ): მოხუცი მამის თავიდან (ოჯახიდან) მოსაშორებლად შვილმა დაწნა გოდორი, ჩასვა მამა, აიყვანა ერთი მთის წვერზე იქ დასატოვებლად. როცა უკან დაბრუნება გადაწყვიტა, მამამ ურჩია, გოდორი თან წაეღო, რათა მის შვილს გოდორს დაწვნა არ დასჭირვებოდა მის იქ ამოსაყვანად). სამწუხაროდ, ამ სიბრძნეებს დღეს ალბათ ვერსად ამოიკითხავთ. თვითონ სიბერეზე არ ფიქრობენ.

კიდევ ბევრი რამ გაკეთდა პიროვნების გასათავისუფლებლად. აქედან ხაზგასასმელია ის ერთი დიდი „სიკეთე“, რაც თავის დროზე ჩვენს ახალგაზრდებს გაუკეთა ჩვენმა ხელისუფლებამ, ეს არის: ნულოვანი ტოლერანტობა უფროსებს, პირველი მიიჭერი სუფრასთან, უმცროსს ღვინო, უფროსს წყალი, ცოცხალი თავით არ დაუთმო ადგილი უფროსს საზოგადოებრივ ტრანსპორტში. უფროსს გამარჯობის თქმის დროს პირველმა გაუწოდე ხელი და ასე შემდეგ.

არ უნდა მოსტყდეს ხელი, ვინც, ვიღაც ტვინნაღრძობის მიერ კანონების მიღების დროს ამ წინადადებას ხმა მისცა? მათ ხომ წარმოდგენაც არა აქვთ რა ბედნიერებას აკლებენ ჩვენს ახალგაზრდებს. ბავშვს რომელსაც შეუძლია სიკეთე გააკეთოს და ბედნიერად იგრძნოს თავი, ამის საშუალებას არ აძლევენ. ამბობენ, მაგრამ არ მჯერა, თურმე სასწავლო პროგრამითაც კი ყოფილა გათვალისწინებული, რომ პატივი არ უნდა ვცეთ უფროსებს, გაჭირვებულს არ უნდა მიაწოდოთ წყალი, დავრდომილი არ უნდა წამოვაყენოთ და ასე შემდეგ. ეს ხომ მარტო ქრისტიანული კი არა, ზოგადსაკაცობრიო მორალის უარყოფაა.

ვალდებულება ოჯახის წინაშე. ოჯახი – ეს ერის გამრავლების, პიროვნების უკვდავების, გენის მომავალი თაობებისათვის გადაცემის საფუძველია. ბუნებას ცოცხალი ორგანიზმების უკვდავება, შთამომავლობაში გენეტიკური კოდის გადატანით აქვს გადაწყვეტილი. ალბათ სასწაულებია იმ ცხოველისა თუ ფრინველის მოქმედება, რასაც ისინი მომავალი თაობის შექმნაგაზრდისთვის სჩადიან. არსებობს ობობების გარკვეული სახეობა, რომლებშიც გამრავლების აქტის დროს მდედრი მამრს ჭამს. იცის ეს მამრმა ობობამ, მაგრამ იმდენად ძლიერია მისი გენის გამრავლების ინსტინქტი, რომ ის ამაზე მიდის. ხვადი ლომი ბოკვერებს უხოცავს ძუ ლომს და აიძულებს მისი გენის გამრავლებას, შაშვი თავს შეაჭმევინებს მელას, ოღონდ გადაარჩინოს თავისი ბარტყები.

ძლიერი ოჯახი და ოჯახები ქვეყნის ძლიერების წინაპირობაა. იმის გამო, რომ ადამიანი დედამიწაზე არსებულ ცხოველთა სამყაროს ნებისმიერ სახეობაზე მორალით ყველაზე დაბლა დგას და მარტივად იცვლება გარემოებებისგან დამოკიდებულებით, თუ არ არსებობს რაღაც შემაკავებელი ძალა, ადვილია და სწრაფად ხდება მისი დეგრადაცია. გასაგებად რომ ვთქვათ, მაიმუნის გაადამიანება არის ძნელი, თორემ ადამიანის გამაიმუნებას დიდი დრო და ძალისხმევა არ სჭირდება. მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში ევროპაში შემოჭრილ ახალ ამერიკული კულტურას თან შემოჰყვა ამ კულტურის ერთ-ერთი განუყრელი ნაწილი – „თავისუფალი სიყვარულის“ ცნება. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს საბჭოთა კავშირს რკინის ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, ამ კულტურის გავლენა მაინც აღწევდა ჩვენამდე.

ოჯახი – ეს არის აგური ქვეყნის მშენებლობისთვის. ჩვენს შემთხვევაში, მორყეული გვაქვს საძირკველი „ენა, მამული, სარწმუნოება“, აღარ გვაქვს, უკვე გვაკლია აგური...

გავიდა ისტორიული თვალსაზრისით სულ მცირე, რაღაც 50-60 წელი და ჩვენ უკვე მოწმენი ვართ თეთრი რასის, როგორც ევროპელებს უწოდებენ, გადაშენებისა. ევროპაში მათი ჩანაცვლება ხდება თურქული (გერმანიაში), აფრიკულ – არაბული (საფრანგეთი, იტალია) რასის წარმომადგენლებით. საფრანგეთის არმიაში უკვე არა ფრანგული წარმოშობის ფრანგი ჯარისკაცები მსახურობენ. თუნდაც ფეხბურთის ნაკრები...

დიდი ხნის განმავლობაში თავისუფალი სიყვარულისგან რკინის ფარდით დაცული ევროპის, ან ყოფილ სსრკ-ში შემავალი ქვეყნების მოსახლეობას დღეს ცხვრებივით ევროკავშირისაკენ მიერეკებიან. აუცილებელ პირობად უყენებენ „თავისუფალი სიყვარულის“ მქონენი შევიდნენ ამ კავშირში, რომელიც ალბათ სულ მალე დაიშლება. ჩვენნაირ ქვეყნებში გადასხმულია დესანტები, არასამთავრობო ორგანიზაციების სახით. ამ მიზნებისათვის ამზადებენ სათანადო ნიადაგს...

სიტყვის თავისუფლება. სიტყვის თავისუფლებას ხომ ნუღარ იკითხავთ. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ძველს იმდენი ახალი სახე დაემატა, რომ ყველა ჩემი ოჯახის სტუმარი მგონია და მათი ბჟუტურის მოსმენისგან თავს ეშმაკის ყუთის გამორთვით ვახერხებ. ბჟუტურობს ყველა, დიდი თუ პატარა. მეგონა, ამდენი მუქთახორისგან და უსაქმურისაგან თუ ქვეყანა გათავისუფლდებოდა, მაშინ რაღაც გვეშველებოდა. მეცნიერებმა, რომლებიც ცდას ატარებდნენ თაგვებზე, მღრღნელებს შეასწავლეს, თუ როგორ შეიძლება გარკვეული ქმედებებითა და შრომით საკვების მოპოვება. ცდების დროს აღმოჩნდა, რომ თაგვების მთლიან მასაში ოთხმოცი პროცენტი საკუთარი შრომით მოიპოვებდა საკვებს, ოცი მუქთახორობდა. მოაცილეს რა თაგვების ძირითად მასას არსებული მუქთახორები, მათ ნაცვლად მყისვე წარმოიშვნენ ახალი მუქთახორები და, რაც მთავარია, შენარჩუნდა იგივე პროპორცია. ეს ბუნების კანონია და ალბათ ადამიანთა საზოგადოება გვერდს ვერ აუვლის. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენთან ეს პროცენტი გაცილებით მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე ეს თაგვებშია. ამის სერიოზულ საფუძველს მაძლევს ჩვენს ორგანიზაციაში ჩატარებული საკონკურსო ღონისძიება. გამოცხადებული იყო ვაკანსიები რამდენიმე ინჟინერზე, ტექნიკოსზე, ლაბორანტზე, ერთი მდივნის და ერთ ბიბლიოთეკის გამგეზე. საინტერესო იყო შემოტანილი განცხადებების რაოდენობები ვაკანსიების მიხედვით. მდივნის თანამდებობაზე ოთხასზე მეტი, ბიბლიოთეკარის-80-ზე მეტი, რაც შეეხება ტექნიკური პროფილის ვაკანსიებზე (ინჟინერი, ტექნიკოსი, ლაბორანტი) შემოტანილ განცხადებებს პრაქტიკულად არც ერთი არ იყო ამ დარგის სპეციალისტი.

ჩვეულებრივ პირამიდაში, რომლითაც აწყობილია ფუნქციონირებადი ქვეყნები, ხალხის მასები ასეა გადანაწილებული: (მშრომელი) პირამიდის ფუძე 70%, ძალოვანი ორგანოები (ჯარი, პოლიცია და სხვ.) – 20% და 10% პროცენტი ვინც, ყოველივე ამის მმართველია.

სიტყვის თავისუფლებაც მასების მმართველობის ფორმის ერთ-ერთი ელემენტია. ჩვენს სიტუაციაში მყოფზე იტყვიან: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო“. ხალხი იმ დონემდე მიიყვანეს, „ყეფის“ თავიც კი არა აქვს. დიდმა ილიამ თავისი გულისტკივილი ასეთნაირად გამოხატა: „შენ პირუტუვი ხარ და მე მეტყველი, ეგ, ჩემო ლაბავ (ლაბა ეს უღელში შებმული ხარია), ნუ შეგშურდება, რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება. აბა, რას გვარგებს ჩვენ ეს გუთანი, რომე აჩეჩოს მარტო მიწანი და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს, რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას“.

გვეუბნებიან და გვარწმუნებენ, რომ ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტები. ხალხი დემოკრატიისათვის მოსამზადებელია და ამას გარკვეული დრო სჭირდება.

მარტო ჩვენი ქვეყნის უბედურება კი არა, ყველა დიდი და პატარა ქვეყნების უბედურებაა ის, რომ მთელ დემოკრატიულ მსოფლიოს ხალხებს მართავს „ადამიანთა“ მცირე ჯგუფი. არადა დემოკრატიის ჭეშმარიტი არსი ხალხის მართველობაშია, რაც არსებული კანონებით, პრაქტიკულად შეუძლებელია. ადამიანთა გენეტიკური პროგრამები ბუნებას გათვლილი აქვს ურთიერთდაქვემდებარების პრინციპზე. ადამიანთა დაჯგუფებებში იერარქიული წყობები გარდაუვალია, რადგან ამ სფეროში ადამიანებს სხვა რაიმე პროგრამები არ გაგვაჩნია. ყოველთვის, როცა თუნდაც ორ ადამიანს შორის წესრიგის დამყარება გვინდა, ერთ-ერთს უფროსად ვნიშნავთ, ანუ ვიყენებთ ურთიერთდაქვემდებარების პრინციპს.

ადამიანი, რომელმაც სტიქიურად მიიღო ხელმძღვანელი მდგომარეობა, თუ ის ჭკვიანი, ნიჭიერი, კეთილი და მზრუნველია, ჯგუფს დიდ წარმატებას მოუტანს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ დომინანტი შეიძლება გახდეს საზოგადოებისთვის ძალზე საშიში, ამორალური და ფსიქიკურად დაავადებული პირი. საკმაოდ ხშირად ხდება, რომ ბავშვობაში სუსტი ყმაწვილი დაჩაგრული იყო და ხშირად აგებდა შეტაკებებს თანატოლებთან, რის გამოც დაუგროვდა აგრესიულობის მუხტი და „ზემოთ“ ყოფნის სურვილი. როცა გაიზრდება, იწყებს ბრძოლას რანგისათვის ინტრიგებით, სხვისი დევნითა და შევიწროებით. თუკი მოახერხა ძალაუფლების მოპოვება, მას უმსგავსოდ გამოიყენებს.

კაცობრიობა დიდი ხანია მიხვდა ამ საფრთხეს და ამ ბუნებრივ თანდაყოლილ ინსტრუქციებს ერთ იდეას – ჯგუფში ყველა ადამიანის თანასწორობას უპირისპირებდა. ბევრ ჯგუფში ბრბო რაიმეთი გამორჩეულ ადამიანებს აძევებდა ან ხოცავდა, სხვაგან სთავაზობდნენ ყოველგვარი დაქვემდებარებების აკრძალვას. შედეგად ღებულობდნენ ანარქიას, რომლის დროსაც ძალაუფლებას აუცილებლად საშიში, ამორალური და ფსიქიკურად დაავადებული პირიც კი ღებულობდა.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ აზრი ერთია, ჯგუფს მართავს პიროვნება. არსად არ თქმულა, რომ ომი მოიგო პილიტბიურომ, პარლამენტმა, დარბაზმა, კონგრესმა, ყოველთვის სახელდება კონკრეტული პიროვნებები. გავიხსენოთ, რა მაღალი პროცენტებით ავირჩიეთ გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი. მაღალი პროცენტით არჩევის უფლება არ მოგვცეს საზღვარგარეთელმა „მეგობარმა“ ქვეყნებმა ივანიშვილისა, თორემ არც მას დავაკლებდით ხმებს. ადამიანის გენეტიკური პროგრამები თხოულობენ პიროვნებას. შეხედეთ, რა მაღალი ნდობით სარგებლობს დღეს ჩვენი უწმინდესი, შევხედოთ ხალხის დამოკიდებულებას აწ გარდაცვლილი მამა გაბრიელის მიმართ.

ადამიანისა და ახლო მდგომი სახეობების ქცევის შესწავლა საფუძველს იძლევა, რომ იარარქიები წარმოიქმნება არა მხოლოდ შეგნებული მოქმედების შედეგად, არამედ თავისთავადაც და სპონტანურად.

სპონტანურად წარმოქმნილი იერარქიებია მოზარდთა იერარქიები, რომლებიც წარმოიქმნება ყველგან, სადაც კი რამდენიმე მოზარდია; არაოფიციალური იერარქიები არმიაში – ნორმალური არმია იერარქიის პრინციპითაა აგებული, მაგრამ რაკი იგი გამუდმებით ახალგაზრდებით ივსება, მასში გარდაუვალია „არასაწესდებო“ იერარქიები; არაოფიციალური იერარქიაა ციხეში – იგი ისეთივე წარმოშობისაა, როგორიც არმიასა და საბავშვო ბაღებში; აგრეთვე ბანდების, ყაჩაღების, მაფიის მეკობრეებისა და სხვათა იერარქიული სტრუქტურა. სუსტად გამოხატული საყოფაცხოვრებო იერარქიები – არსებითად მამაკაცური იერარქიები, დღესაც არსებობს რაციონალურად აგებული არმიების სტრუქტურაში, საეკლესიო იერარქიებში, ბერთა ორდენებში და სხვადასხვა დაწესებულებაში. აქ სუბორდინაცია თითქოს კანონიერია, მაგრამ პარალელურად კიდევ ორი არაოფიციალური სტრუქტურა არსებობს. ერთს შეადგენს ჭკვიანი მცოდნე პირდაპირი წესიერი ადამიანები. მათ ჰყავთ ბუნებრივი ლიდერი და არ გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული დაქვემდებარება. აქვთ მრავალი შინაგანი თავისუფლება. მათთან მიდიან, როცა გადასაწყვეტია რთული ამოცანა, მისაღებია არატრივიალური გადაწყვეტილება.

არის მეორე სტრუქტურაც „შესტიორკებით“ გარშემორტყმული „პახანის“ მეთაურობით. ისინი საკმაოდ ექვემდებარებიან ერთმანეთს და ერთად მოქმედებენ.

ადამიანისათვის იერარქიული აგებულების აღიარების გარდაუვალობა სულაც არ ნიშნავს მისი ნებისმიერი ფორმით გამართლებას, რადგან ეს პროგრამები პრიმატების ველური ჯოგისათვის შეირჩა და არა ცივილიზებული ადამიანებისათვის. იყო ასეთი პრეზიდენტი ბოკასა, რომელიც თავისი მინისტრების ხორცს პირდაპირი გაგებით მიირთმევდა. რაკი ვიცით, სადამდე შეიძლება მიიყვანოს იერარქიების უკონტროლო წარმოშობამ, რაც ჩვენ უკვე ჩვენს თავზე გამოვცადეთ, საჭიროა, ვაკონტროლოთ ისინი და სათანადო გეზიც მივცეთ.

ჩვენთვის სატყუარად შემოგდებული დემოკრატია, თანაც იმ ქვეყნებისგან, სადაც წინასწარ დაშვებულია უმუშევრობის გარკვეული პროცენტი, სადაც მუშა მთლიანად მიბმულია თავის მეპატრონეზე და არ იცის, როდის მოისვრის სამსახურიდან. თუ საზღვრებს იქით არ ვიყურებით, ნუთუ ჩვენს თავსაც ვერ ვხედავთ, რანი ვიყავით და რას დავემსგავსეთ, რას დაგვამსგავსეს ამ მამაძაღლმა სეთურებმა, ქალაქსა თუ სოფლად ლაღი ქართველების სახეზე ალალ ღიმილს ვეღარ დაინახავ.

▶▶ დასასრული იქნება

▶▶ დასასრული. დასაწყისი "ლს„ № 2-8

შალვა საბაშვილი

წერის მაღალი კულტურისათვის

46. **ერთი ქართული სიტყვის ორი კურიოზული ფორმის შესახებ.**

ეს სიტყვა არის **„ადამიანი“**. პრესაში მას ორჯერ შეემთხვა გაუგონარი ამბავი. ჯერ ერთმა ავტორმა რაღაც საქმეზე მიმავალი სამი ადამიანი მოიხსენია, როგორც **„სამადამიანი ჯგუფი“.** ეს აშკარად დამაეჭვებელი ორსიტყვედი თითქოსდა შედგენილია იმავე პრინციპით, როგორითაც „სამთავიანი დევი“, „სამგროშიანი ოპერა“, „სამდღიანი კონფერენცია“ და სხვ., მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში დაბოლოება „იანი“ ბოლო სამ შემთხვევაში ერთვის საწყის ორსიტყვიან კომპლექსებს: „სამი თავი“, „სამი გროში“ და „სამი დღე“, რაც ბუნებრივია, ამოწერილ ნიმუშში კი - კომპლექსს „სამი ადამი“. ავტორს კი „სამი ადამის“ კი არა, „სამი ადამიანის“ სიმრავლე ჰქონდა მხედველობაში, ამიტომ უნდა დაეწერა **„სამადამიანიანი ჯგუფი“,** ანუ მან სიტყვას ერთი „იან“ დააკლო. ეს ცდომილება არც თუ იოლად შეიმჩნევა. მეორე ავტორმა კი ერთმანეთს შეადარა ლაბორატორიულ სინჯარებსა და ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ერთი და იმავე შინაარსის პროცესები (არ ვაზუსტებ მათ!) და დაასკვნა, რომ პირველი მათგანი **„უფრო ადამიანიანურია, ვიდრე (მეორე)“.** უნდა დაეწერა კი **„უფრო ადამიანური“**, ანუ მან განსაზღვრებაში ერთი „იან“ დამატებით შეიტანა. აქაც ცდომილების აღმოჩენას რაღაც მცირე ძალისხმევა მაინც სჭირდება (ასე რომ არ იყოს, იგი არც ავტორებს გამორჩებოდათ და არც რედაქტორებს). ვერ ვიტყვი, რომ ამ ორმა შეცდომამ ერთმანეთი გააბათილა - „იან“-თა რაოდენობა მთლიან ქართულ საგაზეთო სივრცეში კი გასწორდა, მაგრამ იქ თითოეული ეს შეცდომა მაინც გასასწორებელი დარჩა (იმედია, მკითხველი ოდნავ მაინც გავამხიარულე!).

ჩემი წერილების სერიის მორიგი პორცია დასასრულს მიუახლოვდა, ამიტომ მინდა მკითხველებს ვუთხრა, რომ ქართულ პერიოდიკაში მე მარტო ხარვეზებს არ ვხედავ. მრავალ შესაშური პროფესიულობით შესრულებულ წერილს ვხვდები იქ, განსაკუთრებით ლიტერატურული პროფილის გამოცემებში. გასაოცარია „ასავალ-დასავლის“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ ავტორთა წერის ხელოვნება და რედკოლეგიის ყურადღებიანობაც: უზარმაზარი მოცულობის ნომერში თუნდაც ერთი კორექტურული შეცდომის მოძებნაც კი ლამის უიმედო საქმეა. დიდ კმაყოფილებას მანიჭებს ენის სიწმინდის საკითხებზე დაწერილი არაერთი ავტორის სტატიები. დაუმცხრალი ინტერესით ვკითხულობ პაატა ნაცვლიშვილის „შთანაწერებს“ „ლიტერატურულ საქართველოში“ და სხვაგანაც, რომლებშიც ენის სტრუქტურის მახასიათებელ მრავალ მიგნებას წავწყდომივარ. ასევე ჩამითრია „პოეტური გადანაცვლების“ მის მიერვე განსახილველად გამოტანილმა ფენომენმა, რომელიც ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებზე მეტყველებს (ამ ფენომენში ჩემი დამატებითი ჩაძიებისას მოიძებნა 6,7,8,9 და მეტსიტყვიანი წინადადებები, რომლებიც შემადგენელი სიტყვების ყველა შესაძლო გადანაცვლების შედეგად თავდაპირველი წინადადების გრამატიკულ (სემანტიკურ) აზრს ინარჩუნებენ, მაშინ, როდესაც ერთი წინადადების სახეცვლილებათა რიცხვი ათეულ- თუ ასეულათასობით გამოისახება - მსგავსი მოქნილობა ვეჭვობ მსოფლიოს რომელიმე სხვა ენას გააჩნდეს). აღარ ვეხები პოეტურ, პროზაულ თუ ესეისტურ ნაწარმოებთა ავტორების დიდ მიღწევებს ენობრივ სფეროშიც. ჩემი შენიშვნების ადრესატი ძირითადად მხოლოდ საშუალო-სტატისტიკური საგაზეთო ჟურნალისტიკა იყო, რომელთა ავტორები დააბნია ინფორმაციის ნიაღვარმა და ვეღარ ახერხებენ ენობრივ ნორმათა დაცვას. თუმცა მკითხველი დარწმუნდა, რომ გრამატიკული ხარვეზები, სამწუხაროდ, ყველაზე უფრო მაღალი რანგის მოღვაწეთა თხზულებებშიც მოიძებნება.

წერილთა ამ ციკლის ბოლოს კი მეორედ მინდა აღვძრა საკითხი ერთი ყველასთვის ცნობილი კანონიკური მიმართვის მცირეოდენი, მაგრამ მაინც აუცილებელი დაზუსტების საჭიროების შესახებ.

47. ზეციური მამის სახელით მაღალი რანგის საეკლესიო პირების მიმართვებს საეკლესიო საზოგადოებისადმი ჩვეულებრივ წინ უძღვის ხოლმე კანონიკური წინადადება: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“. ამ წამძღვარების მიზანია მრევლს განუმარტოს, რომ მისდამი მიმართული ტექსტის არსი რელიგიური აზრის უმაღლეს მატარებელთა – ზეციური მამის, ძისა და სულიწმინდისაგან მომდინარეობს. ამ თემაზე ერთ-ერთი მორიგი დაფიქრების დროს დავაფიქსირე, რომ მოყვანილი მიმართვა ენობრივად მთლად ზუსტად ვერ ასახავს მის ეს ესაა მოყვანილ გასაცხადებელ შინაარსს.

სახელდობრ. 1. რაღაც ცხადდება სამი სუბიექტის სახელით. 2. გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობა – საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს (სახელით მამის, სახელით ძის, სახელით სულიწმიდის, ანუ „სულის წმიდის“). 3. ყველგან საზღვრულსაც და მსაზღვრელსაც ემატება ემფატიკური „ა“: (სახელითა მამისა, სახელითა ძისა, სახელითა სულისა წმიდისა). 4. ბრუნება ხდება არქაული (ძველი ქართულის) წესით, როცა მითითებულ ბრუნვაში ისმება როგორც საზღვრული (ვთქვათ, „სახელი“), ისე მსაზღვრელი („ძისა“), ასე რომ „სახელი ძისა“ მოქმედებით ბრუნვაში იღებს სახეს: „სახელითა ძისათი“ („ძე“-ს საბოლოო ჯამში დაერთო ორმაგი, ნათესაობით-მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები). სულ კი უნდა მიგვეღო: „სახელითა მამისათი, ძისათი და სულისა წმიდისათი“.

და უკვე გამოიკვეთა სხვაობა დამკვიდრებულ ფორმასთან „სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა“. „მამისათა“, „ძისათა“ და „წმიდისათა“ არ არიან მოქმედებითი ბრუნვის ფორმები. ისინი ნათესაობითს უფრო ჰგვანან, თუმცა ამ ბრუნვაში ჩასმულია არა „მამისა“, „ძისა“ და „წმიდისა“, არამედ „მამისანი“, „ძისანი“ და „წმიდისანი“, რაც არაფრით არაა გამართლებული. ასე, რომ ზემოსადახელებული შეცდომა ცხადია. ამის შესახებ საკმაოდ დაწვრილებით ვესაუბრე მკითხველს ამ სერიის ერთ-ერთ ძველ წერილში. შემდეგ ეს აზრი სხვა გზითაც დამიდასტურდა, როცა ახლობელმა ლინგვისტმა (ლალი კობიაშვილი) მამცნო, რომ წარსულში იხმარებოდა ფორმა “სახელითა მამისაითა, ძისაითა და სულისა წმიდისაითა“ (მე ეს ფაქტი არ ვიცოდი, რადგან სათანადო ლიტერატურა ხელთ არ მომხვედრია). საქმე იმაშია, რომ „მამისაითა“ და მომდევნო სიტყვები, განსხვავებით „მამისათა“ და დანარჩენ სიტყვათაგან, სწორედ მოქმედებითი ბრუნვის ფორმებია. ანუ, როგორც ჩანს, „ძველ“ დროში განსახილველი მიმართვა-წამძღვარების სწორი ფორმა იხმარებოდა, ამჟამად გაბატონებული, გრამატიკულად ხარვეზიანი ტექსტი კი გაცილებით გვიანდელი წარმოშობისაა. ეს ხარვეზი შეეძლო გამოეწვია ქართული ანბანის გამარტივების შემდეგ „არქაული „ი“ (იოტა) ასოს ამოგდებას, რაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ მიზნად სიტყვების „მამისაითა“, „ძისაითა“ და „წმიდისაითა“-ს „გაახალგაზრდავებას“, დამოკლებას, საუბრის თანამედროვე სტილთან დაახლოებასაც ისახავდა (თუმცა, შესაძლოა, განსახილველი ფრაზის აზრის ბოლომდე ჩაუწვდენლობასთანაც ყოფილიყო დაკავშირებული), უარყოფითი შედეგი კი გამოიღო, რადგან გაუმართლებლად შეცვალა ბრუნვა!

ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ მიმართვის ბოლოხანს დამკვიდრებული ფორმა ქართულ გრამატიკას ეწინააღმდეგება და შესაცვლელია. აქ რელიგიური აზრის არავითარი გადასინჯვა არაა, საუბარი ეხება მხოლოდ ენის ნორმების აღდგენას, რაც გარდაუვალი და უპირველესია.

გადასაწყვეტია მხოლოდ ორი რამ:

1. რომელი ვარიანტი ავარჩიოთ სამი შესაძლო სწორი ფორმიდან: ა) „სახელითა მამისათი, ძისათი და სულისა წმიდისათი“ (ამჟამინდელის ოდნავ განახლებული ვარიანტი). ბ) „სახელითა მამისაითა, ძისაითა და სულისა წმიდისაითა“ (შესაძლო პირვანდელი ფორმა). გ) „სახელითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა“. შევნიშნავ, რომ ყველაზე თანამედროვე ფორმა იქნებოდა „მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით“. პირადად მე ზოგიერთ ახალ პუბლიკაციაში შემხვედრია ვარიანტი გ), რომელიც ჩვენი ეპოქისთვის ყველაზე მისაღები მგონია. მასში აზრის უკიდურესი სიზუსტე ქართული სიტყვაწყობის არქაულ ელფერთანაა შერწყმული.

2. ვინ და რა ფორმით მიაწოდოს ყველაზე შესაბამის რელიგიურ წრეს აქ მოტანილი განხილვის მასალები. იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღება მათი პრეროგატივაა, არავითარი ეჭვი არ მეპარება.

განდეგილობა ქართულ ხასიათში

მარცხი არა წაქცევაში, არამედ წაქცეულად დარჩენაშია.

მერი პიკფორდი

ცხოვრებას, თავისი არსით, არ აქვს წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობა, ის უფრო ცარიელი ტილოა, რომელიც ჩვენს უნიკალურ შტრიხებს ელოდება – თითქოს ნახსენები მნიშვნელობის ჩვენგან შესაძენად – ამბობს აღმოსავლური ანდაზა. მაგრამ ცხოვრება მეტად კომპლექსურია, დროთა განმავლობაში ტილოები გროვდება, სხვადასხვა ფერში, სხვადასხვა ჟანრში და ისინი სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალად იქცევიან. მასალად, რომლითაც კედლებს ვაგებთ ჩვენს ირგვლივ და მათში ცხოვრებას ვიწყებთ. მაგრამ რატომაა, რომ ზოგი, სავსე მასალით ხელში, მაინც უსახლოდ რჩება და ჩერდება, ზოგი კი აშენებს და სახლისგან საკანი გამოდის?

მინდა ჯემალ ქარჩხაძის „რაჰათ-ლუხუმზე“ დაყრდნობით განვიხილო განდეგილობა ქართულ ხასიათში და დავამტკიცო, რომ მარცხი არა წაქცევაში (სახლისგან საკნის აშენებაში), არამედ წაქცეულად დარჩენაშია.

ვფიქრობ, რომ სტამბულში მოხეტიალე უცხოელი, რომელიც მოხუც სულეიმანს ამბავს აყოლებდა, მისგან არა რაჰათ-ლუხუმს, არამედ ინფორმაციული საზრდოს სამშენებლო მასალას ყიდულობდა იმ საგნის შესახებ, რომელსაც საქართველო და ქართველები ერქვა. ხანდახან, ხდება, რომ მონაყოლი სიმართლეს არ შეესაბამება და ინფორმაციული მასალაც, რომელიც გონებას გადაეცემა, ხდება ის დამპალი საყრდენი, რომელიც საბედისწერო გამოდგება ხოლმე ადამიანის სიცოცხლეში. ხდება ის, რაც ომან ფაშას დაემართა. მან უცდომელ-დასაყრდნობ სიმართლედ მიიღო ის, რაც ქართველების შესახებ ალი-მირზამ დაარიგა და თავი დააკარგვინა.

„გურჯისტანი ტკბილია, როგორც იქაური ყურძნის მარცვალი, ნელ-ნელა უნდა დააჭირო კბილი და ისე გასრისო, რომ სისხლის ყოველ წვეთს გემო ჩაატანო“, – იძახის მეფე სვიმონისგან მსტოვრობისთვის დასაჭურისებული ალი-მირზა, რის შემდეგაც მთხრობელი ორ ქართველს გვაცნობს, ორნაირ შემთხვევას. პირველი მოღალატეა, რომელიც ალი-მირზას აღწერის ყველა კრიტერიუმში ჩაჯდა. მეორე კი მღვდელია, რომლის ხასიათმაც არცერთი კრიტერიუმი არ დააკმაყოფილა. პირველმა გურჯმა ალი-მირზას სიტყვას გვირგვინი დაადგა. მეორემ კი ის წამში მონა-მათხოვრად გადააქცია. მუხლებზე დაჩოქილი ომან ფაშა მთელი ლაშქრის წინ იმცირებს თავს. ის ვერ ეგუება ერთ კაცთან დამარცხებას. მღვდელი კი სადღაც სივრცეში მდუმარედ იცქირება. ის არ გამოხატავს სიხარულს, შეძლება მიღწევადაც არ მიაჩნია. რაც გააკეთა – სინდისის მქონე ხალხისთვის, სწორი ქცევა ხომ ერთადერთი არჩევანია.

ალი-მირზას აღწერილი ქართველის ხასიათში ისეთი „მამხილებელი“ დახასიათებაა, როგორებიცაა ორგულობა, შურიანობა, ამპარტავნება, გულუბრყვილობა, ნაკლზე მითითების ვერ ატანა და ბევრი სხვა ყოვლად უარყოფითი თვისება. მაგრამ ეს დახასიათება ცრურწმენა და ტყუილი აღმოჩნდა – მღვდლის საქციელმა გატეხა ალი-მირზას აღწერილი ქართული ბუნება. გატყდა მისი სიმართლე ქართული ხასიათის შესახებ და მასთან ერთად გატყდა ყველაფერი, რაც კი ომან ფაშა იყო – მისი სიდიადე და სიბრძნე, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, მითი ყოფილა. თუმცა, რა თვისებებშიც საჭურისმა ქართველის ბუნება მოაქცია, სიმართლეს რომ თვალი გავუსწოროთ, მართლაც აღმოჩნდება ერთზე მეტ ქართველში და ალი-მირზას ნათქვამს ბევრი მტკიცებულება გამოუჩნდება, რაც გამოიხატა კიდეც ნაწარმოებში. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მთავარი სიცრუე (რაც ალბათ თვითონაც ვერ გაეგოთ ალი-მირზასა და მისთანებს) აქ თვისებები კი არაა, არა! მთავარი სიცრუე და ხაზგასასმელი სიტყვა, რომელშიც ხმლით მოსულები შეცდნენ, იყო სიტყვა ქართველი. სიტყვა ქართველი იმიტომ, რომ ის მხოლობით ფორმაში იყო ნახსენები.

ქართველი არ არის ერთი და ერთფეროვანი, ის მრავლობითი და მრავალნაირია და ესაა სწორედ ის წამყვანი და დომინანტური თვისება. ესაა თვისება, რომელსაც შეგვიძლია დავარქვათ მასობრივი ინდივიდობა. ხასიათი, რომელშიც პიროვნული განსჯა ბედნიერების შესახებ ყველაფერ დანარჩენზე მაღლა დგას. პიროვნულ ბედნიერებაში, შეიძლება მხოლოდ საკუთარი თავიც მოიაზრებოდეს, ოჯახი ან ახლობლების მცირე წრე. მაგრამ შეიძლება მთელი ქვეყანაც ჩაეტიოს პიროვნებაში, თუკი ის მას დაიტევს, როგორც დაიტია მღვდელმა და მნიშვნელოვანწილად მარტომ დაამარცხა მტრის რაზმი – მან სულიერად გატეხა ისინი. მაგრამ ინდივიდობა ნიშნავს იმას (რომელიც მღვდლის შემთხვევაშიც კარგად ჩანს), რომ ადამიანი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და, რაც მთავარია, მას აქვს უნარი დამოუკიდებლად, ანუ სულ მარტომ, მიიღოს გადაწყვეტილება ისეთი უზარმაზარი, საქვეყნო საკითხების შესახებ, რომლებსაც, როგორც წესი, ყრილობა ხალხი ესაჭიროება ხოლმე.

მაგრამ არსებობს უარყოფითი მხარეც. პიროვნების აზრი ხშირად დანარჩენი ადამიანების აზრს არ ემთხვევა, უპირისპირდება კიდეც. უარყოფითი აქ ისაა, რომ პიროვნებას გააზრებული აქვს ამის შესახებ – მაგრამ არ ვიცით, მიიყვანს თუ არა მისი განსჯა სწორ შედეგამდე (სწორ პროცესს რომ თავი დავანებოთ). თავის წარმოდგენაში თვითონ ინდივიდად, დანარჩენები კი ბრბოდ აღიქმებიან და შენდება ყრუ და ეკლიანი კედელი მასა და საზოგადოებას შორის.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ის მოღალატე ქართველიც ინდივიდია. ბეჭებში სწორი, ამაყი და ამპარტავანი, მასზე ზემდგომი იერარქიის არამღიარებელი და საკუთარ ნიჭსა თუ მახვილგონიერებაში დარწმუნებული. ეს თვისებები იმ ადამიანთა კომპლექსია, რომლებმაც ინდივიდობის გემო იგემეს, მაგრამ პიროვნებად ვეღარ შედგნენ.

მოღალატის აღწერაში ავტორს ერთი ფუნდამენტური დეტალი აქვს ჩართული. ქართველი თავისი საქციელის ახსნას იწყებს. თანაც იმის წინაშე იმართლებს თავს, ვისაც სულ არ უნდა აინტერესებდეს, ის მართალია თუ მტყუანი თავისი ქვეყნის წინაშე. მოღალატეს გამართლება აქვს თავის თავთან და გამართლების ქონა თავისთავად ნიშნავს აღიარებას სულ მცირე იმისა, რომ ის არამართებულ საქციელს სჩადის. პრაქტიკულად, რასაც გურჯი ამბობს, ისაა, რომ ქვეყნის გამყიდველად არ ჩათვალონ, რასაც აკეთებს მხოლოდ კონკრეტული მეფის, რომელმაც მას უსამართლოდ (სულ მცირე მისი გაგებით) წაართვა ადგილ-მამული, შურისსაძიებლად აკეთებს. მეფეები ხშირად კარგავენ ხოლმე საკუთარ ხალხზე მართვის ლეგიტიმურობას და ადამიანები ერთმანეთთან, ხანდახან უცხოელებთანაც, პირს კრავენ მის გადასაყენებლად, მაგრამ ამას არც შურის საძიებლად და არც ფულის სანაცვლოდ აკეთებენ. ამ გუჯმა კი ფულიც აიღო და იმავდროულად არც ქართველობაზე თქვა უარი – გავიხსენოთ ადგილი, სადაც ფულის ამღები ამაყად იხსენიებს საკუთარ თავს ქართველად – „ქართველი კარგად ვერ გცოდნია, თორემ ისიც გეცოდინებოდა, რომ ქართველის სიტყვა კლდესავით მტკიცეაო“, – თავის თავზე პასუხობს ომან ფაშას. ერთი მხრივ, გაუგებარია მისი გაგება ქართველობაზე მაგრამ, მეორე მხრივ, ნათელია, რომ მისი „ტილოები“ – აზრები, არეულია. ყრუ კედელი, კი რომელიც მასსა და საზოგადოებას შორის აღვმართეთ რამდენიმე პარაგრაფის წინ, რომლის გადალახვაც აუცილებელია მღვდლის – ანუ გამმარჯვებლის სიმაღლებდე ასასვლელად, მაღალი და ურყევია, ვინაიდან ეს კედელი ტვინშია ხშირად ინდივიდობის შუა გზაზე შეჩერებულ ადამიანებში აღმართული.

საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ ქართველი ინდივიდუალია, რომელმაც თუ იცის ან სჯერა რაიმე საქციელის სისწორის, მისთვის არ არსებობს ადამიანთა ოდენობა, რომელსაც ის ანგარიშსა და ხათრს გაუწევდა იმ მოქმედებაზე ხელის აღებით, რაზეც გული ეუბნება, რომ სწორია. ის მარტო გააკეთებს მთელი ქვეყნის გასაკეთებელს, თუ მას ეს საქმე სწორად მიაჩნია და ეს მოტივი საკმარისი აღმოჩნდება მიზნამდე მისასვლელად, როგორც მოხდა მღვდლის შემთხვევაში. მასობრივი ინდივიდობა კი დადებითი მოვლენაა, რადგან პოზიციური მრავალფეროვნება მეტ განსხვავებულ აზრებს აჩენს, ისინი კი მეტი ბჭობის საჭიროებას ქმნიან და ასე, საქართველოში, ადგილზევე, იბადება პატარა მსოფლიო.

ლუკა გაღდავაძე

ეპოქა, ფაქტი, საგანი და კიდევ სხვა

ჟაკლინ სირაძე

(ისტორიის მკვლევრის, ლიტერატურისმცოდნისა და მთარგმნელის **მაია ცერცვაძის** მიერ გამოცემული წიგნის: ელისაბედ ერისთავის „მემუარების“ მიხედვით *(გამომცემლობა „არტანუჯი“, რედაქტორი როსტომ ჩხეიძე).*

არქეოლოგები და ლიტერატურის ისტორიკოსები

ჩვენ ვიცნობთ არქეოლოგებს, რომლებიც არტეფაქტებით აღადგენენ უძველეს ცივილიზაციებს, თუ ისტორიიდან ამოშლილ, დავიწყებისთვის განწირულ ქალაქებს.

ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს ლიტერატურაშიც, როცა მკვლევარი ასე რუდუნებით, სიყვარულით, შრომისმოყვარეობის წყურვილით ატანილი, ხანგრძლივად ჩაჰკირკიტებს ამა თუ იმ შემოქმედის ბიოგრაფიას, შეისწავლის მის პირად წერილებს, ან შტუდირებას უკეთებს მის ქმნილებებს.

ამის საუკეთესო მაგალითია ლიტერატურისმცოდნე და ისტორიკოსი, მთარგმნელი, ისტორიის დოქტორი, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის მკვლევარი მაია ცერცვაძე, რომელმაც სულ მოკლე დროში თავისი ნიჭის, ინტუიციისა და ღრმა ანალიზის მეშვეობით მოახერხა ქართული საზოგადოებისათვის არაერთი ახალი და, რაც მთავარია, უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენა, თუ გამოკვლევა შეეთავაზებინა.

ლიტერატურისთვის, და არა მარტო ამ საგნისთვის, ასეთი გამოკვლევები ფასდაუდებელი მასალაა, რადგან რაც უნდა იგავმიუწვდომელი, ელვარე ნიჭითა და ინტუიციით დაჯილდოებული პიროვნება კითხულობდეს წიგნს – ის მას სათანადოდ ვერ შეაფასებს, თუ არ იცნობს ნაწარმოების შექმნის კონტექსტს – კონტექსტი კი თავისთავში უამრავ ნაშრევს გულისხმობს, თითოეული ნაშრევი კი, თავის მხრივ, საკმაო რაოდენობის ინფორმაციას იტევს, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ ამა თუ იმ ნაწარმოების ქვედინებები.

ამ გამოკვლევისთვის არ არის საკმარისი მკაცრი ლოგიკა. არა, ამ პროცესს ასევე სჭირდება პოეტური აღმაფრენაც. იქნებ ინტუიციით სხვადასხვა ჰიპოთეზა ააგოს, მაგრამ იქვე, საბოლოო ნაბიჯი, მეცნიერული მიდგომაა ლოგიკითა და ანალიზით აღჭურვილი, ინტუიციით უკვე აგებული ჰიპოთეზების გადამოწმებისათვის.

ეს დაახლოებით ისე ხდება, როგორც არქეოლოგები უძველესი ძეგლების შექმნის სავარაუდო თარიღს მხოლოდ მასზე განთავსებული წარწერების დაუღალავი შესწავლისა და ანალიზის შემდეგ დაადგენენ.

ასეთი „არქეოლოგიური მუშაობის“ – ასეთი კითხვის გზას გვთავაზობს მაია ცერცვაძე ახლახან გამოცემული წიგნით: ელისაბედ ერისთავის „მემუარები“. მკვლევარმა მასში ცვლილებები შეიტანა. რათა ტექსტი მკითხველისათვის უფრო ადვილად გასაგები გამხდარიყო, ასევე დაუსურათებელი მოგონებები დაასურათა შინაარსის შესაბამისად და ჩასვა ოთხკუთხა ფრჩხილებში. რუსული ტექსტები თარგმნა და სამეცნიერო აპარატი თან დაურთო, რითაც მან აღადგინა არა მარტო ელიზბარ ერისთავის ქალიშვილის, ელისაბედ ერისთავის გარემოცვა და მისი გენეალოგიური შტო, არამედ ამ გარემოცვაში მოქმედ არისტოკრატთა ყოფა-ცხოვრებაც, ამ ეპოქაში გაბატონებული მიმდინარეობები, მოდა, მასში მოქმედი საზოგადო მოღვაწეები თუ მწერლები, ამ დროში აღიარებული ქმნილებები, რის მეშვეობითაც, მაია ცერცვაძეს დავესესხები, მოახდინა „ეპოქის რეკონსტრუქცია“. წიგნს ასევე ერთვის ფოტოალბომი, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, ასევე, გენეალოგიური ტაბულები.

ორი კონტექსტი – პიროვნებისა და ქვეყნის ისტორია

მოგონებათა კონტექსტში უნებლიედ იკვეთება ჩვენი ობოლი, ტანჯული ქვეყნის ისტორიაც, რომლიდანაც მოისმის, ნინო ხოფერიას რომ დავესესხოთ: – **„წარმავალი არისტოკრატიის რეკმიემის ცნობილი ინტონაცია“** *(ხაზგ. – ჟ.ს.).*

ელისაბედ ერისთავის მწუხარე ცხოვრებამ მომაგონა მეფე ლირი, რომელმაც ბავშვური გულუბრყვილობით დაიჯერა, რომ ძალაუფლების მქონე ადამიანი და ძალაუფლებადაკარგულიც ერთი და იმავე „წონისაა“, და რომ შესაძლებელია მეფის ძალაუფლება ისე გადააბარო, გააჩუქო, რომ არც არაფერი შეიცვალოს შენს ცხოვრებაში.

ელისაბედიც მეფე ლირივით გულუბრყვილო იყო, რადგან თავისდაუნებურად იმ „ძალაუფლებას ფლობდა“, რომელიც ასე ნიშნეული იყო ქსნის ერისთავთა არისტოკრატიული წრისათვის: – სიმდიდრე და ცხოვრების სისასტიკისგან დაცულობა. ის იზრდებოდა გარშემორტყმული მოახლეებით, გამზრდელი ქალებით, მასწავლებლებითა, თუ ძვირფასი ნათესავებით. მის დედ-მამას ხუთი შვილი ჰყავდა, რომლიდანაც ის (როგორც უკვე აღვნიშნე) უმცროსი ქალიშვილია. მისი ჩანაწერები ნაწილობრივ აღადგენს მის გარემოს. ქართლში, ქ. გორში ის ასე აღწერს თავის სახლს – მამამისის კაბინეტი, ორი სასტუმრო ოთახი წითელი და მწვანე მორთულობებით, დედამისის საწოლი ოთახი, მისი მასწავლებლის ოთახი, გამდელის ოთახი (იასამნისფერი) და დიდი შუშაბანდი ვენეციური შუშებით იატაკამდე. შუშაბანდში მშვენიერი ლიმონის ხეები, ალოე, აპელსინი, კაკტუსები... მათი მებაღე ვინმე ფრანგი ანრია, ... მათი სიმდიდრის შესაფასებლად ალბათ იკმარებდა რამდენიმე საგნის გახსენება:

„<...> ყანწები, დიდი ვერცხლში მოჭედილი ჯაჭვებით შემკული, ერთი მინისა, ვარაყიანი ზედ აწერია, რომ **სოლომონ მეფის** *(ხაზგ. – ჟ.ს.)* ნაქონია [(სავარაუდოდ იგულისხმება სოლომონ III) (გამეფებამდე დავითი) (1772-1815); იმერეთის მეფე 1789-1810 წლებში, სოლომონ I-ის ძმის არჩილის ძე. მისი დედა იყო ერეკლე II-ის და დედოფალ დარეჯან დადიანის ასული ელენე) *(მაია ცერცვაძის შენიშვნა-კომენტარი №364;)*].

ყოველ ამბავს „ამოჰყვება“ ახალი წყარო

ელისაბედის „მემუარებში“, როგორც ამას მკვლევარი მაია ცერცვაძე აღნიშნავს, ხუთასამდე სილუეტი იკვეთება, თავად მემუარისტი (ელისაბედ ერისთავი, მეფე ერეკლე II-ის შთამომავალია თამარ და ანასტასია ბატონიშვილების მხრიდან, დედით და მამით ქსნის ერისთავი *[კომენტ. მ. ცერცვაძე, იბეჭდ, შემოკლ, ვერსია]*. ამ ხუთასი პირიდან მრავლად არიან განსაკუთრებით ის ქსნის ერისთავები, რომლებიც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: მისი თავკაცი ელიზბარ ერისთავი (მთხრობელის მამაა), გიორგი, დავითი, ივანე, რევაზ შალვას-ძე ერისთავები; ასევე სხვა წევრები: მანანა ერისთავ-ორბელიანისა, კონა ერისთავი; პოეტი ქალები: მარიამ და ეკატერინე ერისთავები, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია. ეს მხოლოდ არასრული სიაა ამ საგვარეულოს წარმომადგენლებისა. ნათესავ-მეგობრები და მოყვარენი ბაგრატიონ-მუხრანელის, ორბელიანთა, ბარათაშვილთა, ჭავჭავაძეთა და სხვა სათავადოს გამორჩეული წარმომადგენლები. ასევე სხვა ისტორიულ პირთა გალერეა: – ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ, ალექსანდრე, დიმიტრი, ვახტანგ, ყაფლან, მანანა, მაიკო, მარიამ, კოლა ორბელიანების, დავით ჭავჭავაძის, ლევან მელიქიშვილისა და სხვა ასევე გამორჩეული საზოგადო მოღვაწეთა სახელები.

აი, ამ ფართო სპექტრის საზოგადოების თითოეული წევრის არა მარტო იდენტიფიცირება, არამედ ამ პირთა ნაშრომების, მათი ღვაწლის, თუ გამორჩეული საქციელის აღნუსხვა, თუ შეფასება მოახერხა ჩვენმა მკვლევარმა.

ზნეობრივი პრინციპები და მაღალი სულიერება

ამ წიგნის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მთხრობელის გულწრფელი, გონიერი და დაკვირვებული მზერა ისე აღწერს ამბებს, რომ მასში ისევ და ისევ ლიტმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიისთვის ახალი, მნიშვნელოვანი მასალები აღმოჩნდება. მაგალითად, როცა ელისაბედ ერისთავი აღწერს თავისი ოჯახის ყოფას, თავისთავად ამით ქართული საზოგადოების სახე და მისი მაღალი სულიერებაც იხატება. ჩვენ აღფრთოვანებულნი ვკითხულობთ, თუ როგორ ადრე იღვიძებენ კარალეთში ელისაბედის დედა და დიდედები, რათა ხანგრძლივი ლოცვით განვლონ დილა. ამ დროს ჯერ კიდევ მოზარდი ელისაბედი და იქ მყოფი ახალგაზრდობა დილის საუზმეს გეახლებათ, და მხოლოდ ამის შემდეგ შედიან დედასთან და დეიდებთან, რათა მათ ხელზე კოცნით მიესალმონ და თავიანთი პატივისცემა გაუმჟღავნონ. ამ რიტუალს მოჰყვება საქმიანობა, მეცადინეობა და ასევე მხიარულება. დეიდა ელენე ან საბანს კერავს, ან სხვა რაიმე ხელსაქმით არის დაკავებული, დეიდა ქეთევანი წიგნებს კითხულობს, უმთავრესად რუსულ ენაზე, ხოლო დეიდა სოფიო პეტერბურგიდან გამოწერილი გაზეთების კითხვით იქცევს თავს. ...ასეთია XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართული არისტოკრატიის მაღალი სულიერების ამსახველი ყოფა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სურათები.

მაია ცერცვაძე არა მარტო ყველა პირის იდენტიფიკაციას ახერხებს, არამედ ახერხებს მათი ახლო სამეგობრო წრე უკეთ გაგვაცნოს და მათი საქმიანობის შესახებ სანდო ინფორმაცია მოიპოვოს. აქედან ერთ-ერთია ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის დედის შესახებ კომენტარი. *[ქეთევან ერისთავი – შალვა ერისთავისა და ეკატერინე ორბელიანის ასული. ქეთევანის მამა – ტიტულარული მრჩეველი შალვა ერისთავისა, ქეთევანის ძმა პოეტი, ი. კოზლოვის „შეშლილი“-ს მთარგმნელი რევაზ შალვას ძე ერისთავი. ქეთევან ერისთავი, ამავე დროს ნათესავი და ახლო მეგობარია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელმაც მას მიუძღვნა ლექსი „ქეთევან“ (მაია ცერცვაძის კომ. იბეჭდება შემოკლებით).*

კოლონია და ჩვენი სახე

ჩვენი საბრალო და ობოლი ქვეყნის ტრაგედია მუდამ ის იყო, რომ ისტორიის დიდი წილი სხვა ქვეყნის კოლონიად ყოფაში გავატარეთ. სულ ვიბრძოდით, სულ თავის გადარჩენის გზებს და თავისუფლებაზე ვოცნებობდით, და ჩვენს წინაშე მუდამ ორი არჩევანი იდგა:

– ან, ჩვენი დამპყრობლისგან შეგვეთვისებინა მისივე კულტურა, სწავლებანი, თუ ტრადიციები ისე, რომ ჩვენი სახე არ დაგვეკარგა, ან გავმხდარიყავით მონური პლაგიატორი დამპყრობლის კულტურისა, მისი ზნე-ჩვეულებისა, თუ რელიგიური მრწამსისა.

ერთი მხრივ, უზომო პატრიოტიზმი იკვეთება ელისაბედ ერისთავის სიტყვებში, როცა ის კარალეთზე საუბრობს. ის ამბობს, რომ აქ, ამ ადგილას სუფევს დიდი თამარის სახელი, რომ მისი აჩრდილი დასტრიალებს მის ციხე-სასახლეს, რომელსაც შემორჩა სახელი ნაკარვები, სადაც იკრიბებოდნენ მისი გმირები და კიდევ, გულისამაჩუყებელი ფაქტი, რომ მისი თეთრი ცხენი იქვეა დასაფლავებული. ალბათ ამის გამოა, რომ ეს ტექსტი ოდნავ წამღერებული სტილით არის დაწერილი.

ოლივერი, მარჯორი და კიდევ სხვა

წიგნში მოთხრობილია ორ განსაკუთრებულ ქართველოლოგზე, ერთია ოლივერ უორდროპი, დიპლომატი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე *(1919–1921 წლებში ინგლისის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დამოუკიდებელ საქართველოში) (მ. ცერცვაძის კომენტ. შემოკ. კომენტ.)* და, მისი და მარჯორ უორდროპი, რომელმაც არა მარტო იმოგზაურა საქართველოში, არამედ აღწერა თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები, რომლის ხელნაწერი დღიურების სახით ინახება ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში *(მ. ცერცვაძის კომენტ. შემოკ. კომენტ.)*. მას თარგმნილი აქვს ქართულიდან ინგლისურ ენაზე ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“.

წიგნში ასახულია ოლივერ უორდროპის ხშირი სტუმრობა ელისაბედ ერისთავის უმცროსი დის, ნინო ერისთავ-ქობულაშვილის სახლში, ეგზარხოსის (დღევანდელი ერეკლე II-ის) მოედანზე *(კომენტ. მ. ცერცვაძის)* დიდი ბებიის – თეკლა ბატონიშვილის სასახლეში. სასაცილოა და გულისამაჩუყებელიც ელისაბედ ერისთავის მოგონება, თუ როგორი ხშირი სტუმარი გახდა ოლივერ უორდროპი და როგორ აიძულებდა ელისაბედ ერისთავს, ეთარგმნა მისი ბიძის, ვახტანგ ორბელიანის ლექსები.

თუმცა, ისევ და ისევ იჩენს თავს მისი „კოლონიალური“ ცნობიერების დამღა:

„თუმცა ინგლისელი იყო, მაგრამ ვერა მალავდა თავის აღტაცებას საქართველოზე.“ (ხაზგ. – ჟ.ს.)

განსაკუთრებით უცნაურია 1949 წლის 12 იანვრის ჩანაწერი, რომელშიც ის წერს:

– „ჩვენს პატარა ქალაქ გორში დაიბადა დიდი სტალინი. დასწყვიტა ჯაჭვები, შეარყია რუსეთი და მოჰფინა ნათელი სწავლა-განათლებისა მთელ რუსეთს ვიდრე ტუნდრამდის. ჩვენმა პატარა საქართველომაც გაიღვიძა და მიჰყო ხელი ძველ კულტურას: გაიმართა უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, ქანდაკების და მხატვრობის აკადემია, მწერალთა კავშირი, მწერალთა მუზეუმი და სხვადასხვა დადგენილება და ა.შ. და ა.შ.“ *(ელისაბედ ერისთავი, „მემუარები“ გვ. 79).*

ეს საკმოად დიდი ტექსტია სტალინზე და აქ ჩამოთვლილია ასევე ჩვენი დიდი მოღვაწენი. უცნაურია, რომ არისტოკრატი ქალი, რომლის ცხოვრება სწორედ თებერვლის რევოლუციის შემდეგ ასე დიამეტრალურად შეიცვალა უარესობისკენ, ხოტბას ასხამს ამ ცვლილების შემოქმედს – სტალინს.

მე ასე მგონია, რომ ამაში ისევ „კოლონიალური“ ცნობიერების დამღა უნდა ამოვიცნოთ. ასევე ის სიმპათიით იხსენებს იმ ფილიპე მახარაძეს, რომლის პუბლიცისტურმა წერილებმა იდეოლოგიურად შეამზადა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა *(ამონარიდი მ. ცერცვაძის კომ.)*, რადგან ის *(ფილიპე მახარაძე – შენიშვნ. – ჟ.ს.)* „ავადმყოფ ანასტასია წერეთელ-თუმანოვას <...> რაც შეეძლო ყველაფერს უკეთებდა.“

და ესეც იმდროინდელ ქართული არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა გახლეჩილ, გაორებულ ცნობიერებაზე მეტყველებს, რომელიც ისევ და ისევ დაღლილი ერის, მისი კოლონიალური წარსულის „დამსახურებად“ მიმაჩნია.

ერთი კომენტარი უდრის ერთ სამეცნიერო სტატიას

და აი, ამ ამბავ-თავგადასავლებით, ისტორიებით დახუნძლული ელისაბედ ერისთავის „მემუარებიდან“ ჩვენმა ნიჭიერმა მკვლევარმა მაია ცერცვაძემ, ხან ინტუიციის მოთხრობით, ხან კი „გამომძიებლის“ ჟინით ამოქმედებულმა, ამ მემუარების ისტორიათა ნაშრევში ჩამალული, დავიწყებისთვის განწირულ პირთა იდენტიფიკაციასთან ერთად, უამრავი ამბავი, თავგადასავალი, ისტორიული მოვლენა თუ საზოგადოებისთვის ასე მნიშვნელოვანი ფაქტი აღმოაჩინა, ან აღადგინა და საჭირო მასალებით შეავსო.

შეიძლება ითქვას, რომ ხშირად **მისი ერთი კომენტარი სამეცნიერო სტატიის ფარდია.**

ასევე აუცილებლად უნდა აღვნიშნო მისი ფართო დიაპაზონი. მას, ლიტერატურის კვლევასთან ერთად, გადათარგმნილი აქვს არაერთი ამერიკელი თუ ინგლისელი მწერალი: ო'ჰენრი, დორის ლესინგი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, შერვუდ ანდერსონი, სხვა მწერალთა ნაწარმოებები. ასევე მისი სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი წარმატებული მიმართულებაა ნაწარმოების პერსონაჟთა პროტოტიპების დადგენა (მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით), ასევე თავად სამეცნიერო კვლევის ტექსტებში პოეტიკის საკითხების დამუშავება, თუ არაერთი ბრწყინვალე ორატორობის ნიმუშით აღსრულებული საჯარო ლექცია, მაგალითად, „მე არ დამკარგავს სამშობლო“ – „ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის ემიგრანტი მკვლევარი ლადო ბელიაშვილი.“

ნაცნობი სერბეთი უცნობი თვალთახედვით

გორდანა ვლაჯიჩ – აღიარებული სერბი მწერალი და კრიტიკოსი, 15 წიგნის ავტორი. წერს პროზას და პოეზიას უფროსებისთვის და ბავშვებისთვის. გორდანა დაიბადა სერბეთის ქალაქ პანჩევოში. ამჟამად გახლავთ სერბეთის მწერალთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

დუშიცა ივანოვიჩი – სერბული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ჟურნალისტი და მწერალი. დაიბადა სერბეთის ქალაქ ლოზნიცაში 1960 წელს. წერს პოეზიას, პროზას, კრიტიკულ სტატიებს, კვლევებს ლიტერატურათმცოდნეობაში. გახლავთ თოთხმეტი პოეტური და პროზაული კრებულის ავტორი. მისი პოეზია თარგმნილია შვიდ ენაზე.

დედა

ადგილიდან ვერ ვიძვრი დედა,
დედი, ვერ ვიძვრი.

კარებთან მესმის
ავბედითი ყმუილი
არ შემიძლია
ასე ვერ ვყმუი.

მოკუნტული ვწევარ
მაცახცახებს
არ ვენდობი დამშეულ მგელთა ხროვას
ამ გარინდებასაც ვეღარ ვუძლებ.

ყნოსვით გრძნობენ გოგონების ყოყმანს
იციან როგორ ფართხალებს გული.
მცივა საბანქვეშ
მაქციების წინამძღოლის მაბრუებს სუნი.

გამყინვარების ჟამი დაბრუნდა ვფიქრობ
და მეცოდება
გათოშილი ქუჩის ძაღლი.
ვერ ვყმუი ასე.

ზღურბლზე ვდგები
და საკუთარ ძვალს
ვუდებ საღრღნელად
დედა, ვერ ვიძვრი ადგილიდან,
ვერ ვიძვრი, დედი.

ვრცელოლოდინის ლოლინი

ყველაფერი გადის მოლოდინში.
მოლოდინი გათენების
მოლოდინი მოსვლის,
მოლოდინი გასვლის
მოლოდინი გაჩერების
მოლოდინი.

ყველაფერი გადის მოლოდინში.
მოლოდინი მიმტანის
მოლოდინი ფოსტალიონის,
მოლოდინი ექიმის,
მოლოდინი დამლაგებლის,
მოლოდინი.

ყველაფერი გადის მოლოდინში.
დაელოდე, ესეც გაივლის.

ქალაქი

იყო ერთი ქალაქი და ქალაქში იყო სახლები.
ამ სახლებში ოთხკუთხა მაგიდები.
მაგიდებზე გაცვეთილი მუშამბები.
მუშამბებზე დახეთქილი ხელები.
და ხელებში ჩარგული თავები
საკუთარ სიკვდილს მოთმინებით მომლოდინე
მორჩილ ქალთა თვალები,
მხოლოდ მუშამბის თარგს რომ აირეკლავენ.

ჩემს შვილს

დაე პური იყოს თვალები შენი,
და თვალები შენი იყოს ხორბალი.

დაე ხორბალი იყოს შენი სიმართლე,
და სიმართლე იყოს ნაყოფი შენი.

დაე ნაყოფი იყოს შენი მტევანი,
თითები – მიმტევებლობა შენი.

დაე მიმტევებლობა იყოს ხიდი,
და ხიდი იყოს გზა ედემის.

დაე ედემი იყოს შენი გონება
და გოი შენი იყოს რტო პალმისა.

დაე რტო იყოს სინათლე შენი,
და ნათელი იყოს ჯვარი.

ჯვარი იყოს პური შენი,
და პური იყოს შენი თვალები.

მოოცვილი

იყავ ნება შენი
განთიადიდან მიძინებამდე
ლტოლვიდან
ნაყოფიერების ზეობამდე
დიდი ტკივილიდან განკურნებამდე
იყავ ნება შენი
უკუნითი უკუნისამდე
მაშინაც, როცა ვეღარ განვჭვრეტ
შენს იდუმალ გზებს
იყავ მწყემსი ჩემი
თვალნი ჩემი
მომეც გული შენმიერი
რწმენა უპირობო
იყავ ნება შენი
და აღავსე სული ჩემი
ღვთიური სიყვარულით.

მქონდა კი სახლი?!

მქონდა კი სახლი
ცამდე ფანჯრებით
ტოტებით მინებდაკაწრული

ახლა ის სახლი დაკარგულია
ჩემი არ არის, ტოტები გახმა
ცა ჩაინთქა დედამიწაში

მქონდა კი სახლი
კედლები დგანან
საძირკველი გამოვიყოლე

დიდ ტბათა ქვეყანაში,
სადაც სახლები კუნძულებზე იზრდებიან
თავშესაფარს ვეძებ და ნიადაგს
ხრეშისა და ბეტონისთვის.
თითებში შუა ტალახიანი,
რუხი ქვიშა იზილება
ძველი სახლის საძირკველი
დაშლას იწყებს.

დიდი ნიაღვრების ქვეყანაში
წიწვოვანი ტყეებით შემოსილი
პატარა სამყაროები დაცურავენ
და მე მივცურავ
მათ მივყვები.

ლოგიკა ნიოგვცით

მაღალი ცის ქვეშ
ამფითეატრში
ჩვენ ოსტატურად
ვთამაშობთ დუეტს

რთული როლები გვანდეს
და ვთამაშობთ ისე ლაღად
თითქოს არ ვიყოთ მსახიობები
ვერც ფორმა გვზღუდავს
თითქოს აქ, ამ სცენაზე დავიბადეთ
ამ დეკორაციაში
ამ ნიღბით

თავდავიწყებით ვთამაშობთ
ამავე დროს
ვამსხვრევთ ცხოვრებას.

ალექსანდრა მიხაილოვიჩი (1969). სერბული ლიტერატურის მასწავლებელი. მუშაობს პროზაში და პოეზიაში. 6 წიგნის ავტორია. მუშაობს საბავშვო ლიტერატურაშიც. მისი რომანი სერბეთის დედოფალ ნატალიას შესახებ გერმანიაში დაიდგა.

GLI SCALINI (ფიბი)

გაშლილი სივრცე,
ფართო, ტევადი,
ფონი – ფართო პერსპექტივა
ეს ტილოზე.
რეალობა: ჯიუტი, მკაცრი
სწორი, მერე ვიწრო,
მჭიდრო, უფრო ვიწრო
და ნათელი კენწეროში
ცრემლივით წმინდა

ძალისხმევებს როდი ვითვლით,
აღმასვლას ვსაზღვრავთ მხოლოდ
– წარმატებით.
ყველას უნდა,
მსუბუქად აირბინოს,
უფრო მარტივი კი იქნებოდა,
სულ რომ არ იყოს.
ლაღად ივლიდი სწორზე,
სულ წინ და სულ წინ
დაუღალავად
შენს ხელთაა დრო
და არა ილუზია
მაგრამ მაინც
ყველა ზევით უნდა
ზევით მიიწევს.

გონება ხატავს, ქარგავს,
მტვერი, ოფლი, წვიმა
და საკუთარ ხელში
გამოწურული შენი ცხოვრება
სულ ეს არის.
და როს ქანცგაწყვეტილი
მოექცევი კიბის თავში
ან ტილოს ფსკერზე
იქ რას იპოვნი – ბევრს ვერაფერს.

ყვავ და ცოცხალ ნარჩენები

ჯერ იბადება სურვილი,
მერე შემოდგამენ ჯეზვეს
მერე ადუღებულ სიტყვებს გადმოასხამენ
თითო კოვზს ჩაყრიან
და ჩამოსხდებიან
წყვილად
შეიძლება სამნი
შეიძლება – მეტნიც...
ასე რომ, ერთი საუბრობს,
მეორე დუმს
ან ოხრავს
ყველანი სხედან
მიმოფანტული.
თხუთმეტი წუთი ფიქრი, ყოყმანი,
თანხმობა და კამათი დაუნდობელი
რომელიც მოსდევს აღიარებას.
მერე მოდის ის ვინც ითვლის
სიგარეტის ნამწვებს,
ფერფლს აგროვებს
და ჩვევებზე მიუთითებს
მუსიკის ფონზე,
ჩართულია ნოტების და
მოგონებების მთელი ორკესტრი.
მოხარშულმა სიტყვებმა
თავიდან შეიძლება
ენა დაგიწვას,
მაგრამ ყოველი სიტყვა
ისეთი ნაზი,
თვითმყოფადი,
მარტოსული,
ფარული და იდუმალია.
ყოველ ჯერზე რისკზე მიდიხარ,
შანსი მოგეცეს, თუნდაც პატარა,
სწორედ ამისათვის ასწორებ საათს,
ამ ცხოვრებისთვის.

ძალდატანების და
სტრესის გარეშე
ვერაფერს იზამ.
რა გაეწყობა,
ყველაფერი თავისით ხდება.
ბოლო ერთია –
ნარჩენები, ჭუჭყი, ნალექი ...
შენ აყირავებ მათ,
თითს აჭერ სურვილს,
და არაფერი...
იგი არ წვეთავს
მოიზლაზნება შავი ნალექი,
სხვა არაფერი...

ასეა და ასე იქნება.
ამიტომ, შემდეგ ჯერზე
ჩაუთქვი სურვილი,
დადგი ჩაიდანი,
გადმოღვარე სიტყვები...
მერე თავიდან
გაიმეორე რამდენჯერმე
თუნდაც მილიარდჯერ.
და ასე უსასრულოდ –
სავალი გზის დასასრულამდე.

თარგმნა მანანა დუმბაძემ

გიორგი ზუბიტაშვილი

მცირე მანიფესტი

მაინც ლექსებით უნდა ვიუბნო,
ვით ამბავს ჰყვება სიო მავალი,
ლექსია ჩემი მწირი საუფლო –
ჩემი წარსული და მომავალი!
რაც უკან დარჩა და რაც წინ მელის,
ის სტრიქონ-სტრიქონ უნდა ავაგო
და სულის მწველი ამოძახილი
ლექსებად უნდა ვილაპარაკო!
თუნდ არა ღირდეს ჩალად და გროშად,
მე რომ მგონია ბადახშად, ოქროდ,
მაშ, ჩამითვალეთ პოეტურ ხოშად,
ლექსით სიცოცხლე მაცადეთ ოღონდ!
ხოლო სიცოცხლე თუ ლექსს თან ახლავს,
როგორც კაცის გზას ტყვია მრავალი...
ნუ გამიწყრებით, ლექსია რადგან
ჩემი წარსული და მომავალი!

* * *

ისევ თოვლი,
ისევ მთების ქარიშხალი,
შავი ღამე შავი ძაძით დაიბინდა,
ხეთ სიშიშვლეს ადგას
მთვარის ნაპერწკალი,
ვით არასდროს,
ახლა შენთან ყოფნა მინდა!
დაითოვლა ბილიკები და სახლები,
გადათეთრდა ფერდობები საიაე,
იწვებიან, იწვებიან ცეცხლ-სანთლები,
ოცნებებიც დავწვი, გავაქარნიავე.
გარეთ ურჩი ამინდების ქირქილია,
სიმძიმილის კოცონს მწუხრი მიელვარებს...
ვიცი, ჩემი გულწრფელობა სირცხვილია,
არას ვიტყვი...
მაშ, რა ვუყო, აბა, თვალებს?!
ისევ თოვლი,
ისევ მთების უძრახველი
ზღვა-სიჩუმე, წამით მისიც შემეშინდა,
ბევრი მზის და
ბევრი მთვარის ვარ მნახველი,
მაგრამ ახლა შენთან ყოფნა უფრო მინდა!

* * *

სათიბიგორზე დაიწვა ღამე,
დათოვლილ მთებში ნისლია შავი...
სხვათა ბილიკზე სული ვაწამე
და ჩემს ბილიკებს წავართვი თავი!
სხვათა ბილიკზე ვიბრძოლე მრავლად,
არ დამიზოგავს ღონე და ძალი,
ჩემი კერია? – ვაქციე ნავლად –
დაქვრივებული ის პატარძალი!
არა! დღეიდან მივხედავ მინას,
მოსწყინდა მამულს დედაჭინჭარი,
ვილოცებ იმ ღმერთს, პაპა რომ ფიცავს,
მეც რომ ერთი მყავს დასაფიცარი!
ქვას ქვაზე დავდებ, ავაგებ ნიშას,
როგორც წინაპრებს უგიათ გრემი,
არ დავხარბდები სამშობლოს სხვისას,
ერთი მტკაველიც მეყოფა ჩემი!

***

ჩამოვიარე სამზეო,
ავ-კარგის მეტი რა ვნახე?!
დავრგე ვაზიც და ეკალიც,
ორთავე გავავენახე!
ორივეს წილი ჩემია,
სიმწრისა ოფლი მე ვღვარე:
კარგიც და ცუდიც ამ ხელით
ცეცხლივით ავაელვარე.
ვაზს მადლის წყალი დავუსხი,
ეკალს – შხამ-გესლი მდუღარე,
ერთით სულს შვება მივეცი,
მეორით – დავამწუხარე!
კარგი თუ ცუდი მეტია
მაგის არა ვარ მცნობარი,
ჩემ მერე იტყვის, ე, მაგას
ავ-კარგთა შესამკობარი!

***

აელვარდნენ ასკილები
წყაროს პირას...
დგას სიჩუმე უპირო და
არც რის მთქმელი,
ნისლურ ფიქრი ქარს და სიოს
შორეთს მიაქვს,
ფიქრი მძიმე,
უთქმელი და უძრახველი.
უკან ჩემი ნაკვალევი
ცრემლმა შალა,
ვით ამბავი სამიჯნურო –
გულთ ისარი,
ვერ მომდრიკა,
დრომ ვერაფრით ვერ დამღალა,
ამ წალკოტში მეფეც მე ვარ, –
კეისარიც!..
აელვარდნენ ასკილები
წყაროს პირას,
თმა გაშალეს ტირიფებმა –
ცხრა ნაწნავი...
მზეცა ვნახე, მთვარეც ვნახე,
ნახვად ღირდა,
მხოლოდ შენღა დამრჩი, ღმერთო,
სანახავი...

***

მოდის წყარო ბროლისფერი,
სათუნგე და სადალალე,
მაგრამ, ქალო, ამ მხარიდან,
თურმე ნისლებრ აიყარე!
ვინ აავსებს ახლა კოკას,
ან ვინ დაკრეფს ყვავილს ამდენს...
ვინ მომიტანს თიხის დოქით
ალერსს, ცრემლებჩამონადენს?!
ვის დაუთმე ვერცხლის ღილი,
ან ასკილი ჰყვავის რისად?!.
თუ შენ არ ხარ, დე, აპრილი
იქცეს არცა რაის ღირსად!
მაგრამ მაინც მოდის წყარო,
ჩემი სულიც მას ეკვეთა
და იმ წყაროსა ჰგონია,
რომ ერთხელაც მოხვალ ჩემთან!

დავით ნაჭყებია

***

იფიქროს ამ გულმა ისე, როგორც უნდა,
იყოს დაკოდილი და ცრემლმორეული,
სასოწარკვეთისგან მეასედ შეძრწუნდა,
არ ჩანს ათინათი, მკრთალი, შორეული.

ის მხოლოდ ერთი დღით, ერთი დღით დადუმდა,
ოდეს გარდამოხდა ზეციდან გრძნეული,
ვფიცავ, რომ ეს ტრფობა მე სულაც არ მსურდა,
ისე შემოვიდა, როგორც მთვარეული.

ღრო და ციყვრიოლი

ფანჯრიდან ჩანან აყვავებული
ატმის ხეები ნაზი ტოტებით,
გული ისევ კრთის გახელებული,
ზღვა სიყვარულის შემობოტებით.

ხე განიძარცვა, დადგა სიცივე,
წვიმის წვეთები ეცემა მინებს.
დავჯექი მარტო, ბევრი ვიცინე,
გრძნობებმა ასე რომ ჩაირბინეს.

ზვიადი გამცხოვრებიანცდმი

ოდეს ბილწნი შევიყვარეთ
და მოვკალით დიადი,
ვისაც სურდა მოყვასისთვის
საუკუნო ხმიადი,
აღიგავა ნათელი და
დაშთა ბნელი, წყვდიადი,
ვერ ვიგუეთ, ვით გვჩვევია,
წრფელი შვილი ზვიადი.



გამომცემლობა „მწიგნობარმა“ დასტამბა ახალგაზრდა პოეტის, **თორნიკე გოგნიაშვილის** ლირიკული კრებული, რომელშიც შესულია ავტორის მიერ ბოლო წლებში შექმნილი საუკეთესო ლექსები. წიგნს უძღვის რედაქტორის წინასიტყვაობა, რომელშიც ვკითხულობთ:

„ბედი ხომ ბედია. წესით, მას ვერ შექმნი, ვერ მოიყვან, ვერ იქონიებ, მაგრამ თორნიკე გოგნიაშვილი სხვა კაცია, ამ წესს არ სცნობს, არ აღიარებს და თვითონ ქმნის, თვითონ ჭედავს, თვითონ აყალიბებს თავის ბედს ლიტერატურაში.

ასეთი მებრძოლი კალმოსანი ჯერ არ შემხვედრია. სულ შფოთავს, სულ შინაგან ჭიდილსა და ძიებაშია. ეძებს ფორმებს, იდეებს, მოტივებს, სიტყვებს, ფრაზებს, სახეებს. და, რაც მთავარია, ეძებს საკუთარ თავს, საკუთარ შესაძლებლობებს, საკუთარ იდეალს.

საზოგადოდ, არსებობს ცხოვრება და ლიტერატურა, ან ცხოვრება ლიტერატურით, ისევე როგორც ცხოვრება ლიტერატურაში. არცერთი მისთვის არ არსებობს. ის არის ლიტერატურაში და მორჩა. მხოლოდ სიტყვასთან, სიტყვისთვის, სიტყვაში.

ეს მისი პირველი სერიოზული განაცხადია, რომელიც მარტო წიგნი კი არა, გულია, ლექსისთვის დაბადებული ადამიანის გული.

გავა დრო, კიდევ არაერთ წიგნს დაწერს და გამოსცემს თორნიკე, იპოვის ახალ მიმართულებებსა და გამოხატვის საშუალებებს, მიაღწევს ახალ სიმაღლეებსა და სივრცეებს, მაგრამ შეუცვლელი იქნება ეს წიგნი – თრთოლითა და იმედით შედგენილი საგზაო რუკა დიდ ლიტერატურაში.

თორნიკეს აქვს ერთი ლექსი სათაურად „თქვენ...“ აქ არის ასეთი სტრიქონები:

თქვენ კარგად იცით, აღარ ველი უკვე დიდებას,
გადამეწურა მე იმედი აღიარების,
ჩემი ლექსები ჩემს სამშობლოს აღარ სჭირდება,
თქვენ თუ გჭირდებათ, ქალბატონო, ლექსები ჩემი?

ასეთი ლექსები შემთხვევით არ იწერება, ანაზდეული იმპულსებით არ ჩნდება ასეთი ეჭვი და თავდაჯერება, ამას აქვს მიზეზი, საფუძველი, წინაპირობა და ეს გახლავთ ნიჭი.

ნიჭიერი პოეტის გამბედაობა ეტყობა ამ კრებულს. ამიტომ მოგვწონს, ამიტომ ვენდობით, ამიტომ გვეიმედება“ (ივანე ამირხანაშვილი).

გამომცემლობა „საარმა“ ილიას ფონდის ეგიდით, პრემია „საგურამოს“ ბიბლიოთეკის სერიით, დასტამბა ლერი ალიმონაკის თხზულებათა სრული კრებულის მე-2 ტომი, რომელშიც შესულია ავტორის კრიტიკული და ესეისტური წერილები ლიტერატურის აქტუალურ თემებზე.

ტომი ექვსი ნაწილისგან შედგება, ესენია – „არდავიწყება მოყვრისა“ (დრო და ადამიანები), „ქართულად ნათარგმანები“ (პოეტური და პროზაული თარგმანების კრიტიკული განხილვა), „დიალოგები“ (ავტორის ათი ინტერვიუ ტერენტი გრანელის პოეზიისა და ლიტერატურის სხვა საკითხებზე), „დრო და დრამები“ (ეპისტოლური ჟანრის პუბლიცისტური ნააზრევი), „შვიდი დღის ქრონიკა“ (დღიურები და ჩანაწერები სადღეისო თემებზე), „წიგნისათვის „ნაფეხურები“ (ეტიუდები ავტორის თანამედროვე მწერლებზე, მეგობრებზე, გამორჩეულ ადამიანებზე).

მალე გამოვა ლერი ალიმონაკის თხზულებათა მესამე ტომი.

პრემია „საგურამოს“ ბიბლიოთეკის სერიით უკვე გამოცემულია რევაზ სირაძის ექვსტომეული, ბაჩანა ბრეგვაძის, ელიზბარ ჯაველიძის, თეიმურაზ დოიაშვილის, გიორგი გოგოლაშვილის, თამაზ ჩხენკელის, ორ-ორი ტომი, ლევან ბრეგაძის ექვსი ტომი.

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **გელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG0000000161665862

გაზეთი გამოდის 2 კვირაში ერთხელ

დაბეჭდილია შპს **„საარის“** სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე
მღვდლის 57

ISSN 2720-8540

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 **E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com**